www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ოთხშაბათი, 6 ოქტომბერი, 2004 წელი. №237 (786)

ფასი 50 თეთრი

### ამბები

**რა ელის მას, ვინც ტყეს არ უნახავს შვილებს**



შუახევის რაიონის გამგებელმა კაბინეტი ნიღბიანების თანხლებით დატოვა.

A2

### ეკონომიკა

**მთავრობა საგადასახადო კოდექსს "გადახედავს"**

ქართველმა პარლამენტარებმა საქართველოს მთავრობას გუშინ საგადასახადო კოდექსთან დაკავშირებული შენიშვნების პაკეტი გააცნეს და, მიუხედავად იმისა, რომ კახა ბენდუქიძემ შენიშვნების უმეტესობას პოპულისტური უწოდა, უკვე ცნობილია, რომ მინიმუმ ოთხ მნიშვნელოვან საკითხთან და მთელ რიგ ტექნიკურ მომენტებთან დაკავშირებით მთავრობამ საკუთარ პოზიციას გადახედა.

A4

### უცხოეთი

**შირაკს ამერიკის სპეცსამსახური უსმენს**



ბუშმა პირდაპირ განუცხადა შირაკს, რომ არ ეთანხმებოდა არც ერთ მოსაზრებას, რასაც იგი ერაყთან დაკავშირებით გამოთქვამდა.

A5

### სამართალი



**შავი ფულის გათეთრებაში სახელმწიფო მოხელეებიც იყვნენ ჩართულნი**

თბილისის პროკურორის გიორგი ლვინიაშვილის განცხადებით, კაკუბერს ბრალად ედება კომპანია "მაგთიკომთან" კაბალური ხელშეკრულების გაფორმება, რის გამოც სახელმწიფო ბიუჯეტმა 2 მილიონი ლარი იზარალა.

A7

### ამინდი

| | 6/10 | 7/10 |
|---|---|---|
| თბილისი | 16 | 19 |
| ქუთაისი | 22 | 28 |
| ბათუმი | 19 | 27 |
| სოხუმი | 21 | 27 |
| ფოთი | 21 | 28 |
| თელავი | 13 | 18 |
| ზუგდიდი | 23 | 31 |
| გორი | 13 | 18 |
| ახმეტა | 14 | 18 |
| ქიათურა | 18 | 22 |
| გაგრა | 19 | 26 |
| სამტრედია | 21 | 28 |

**უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში**

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8200 |
| ევრო | 2.2337 |
| გირვანქა სტერლ. | 3.2503 |
| რუბლი | 0.0623 |

# პატარა სენსაცია სტრასბურგში

**საქართველო-რუსეთის ურთიერთობები საერთაშორისო თანამეგობრობის ყურადღების ცენტრში ექცევა**

ნინო გომართელი

სტრასბურგში ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის საშემოდგომო სესიის გახსნისთანავე სენსაცია მოხდა: ბიურომ გაითვალისწინა ქართული მხარის თხოვნა და, დაჩქარებული წესით, ქართულ-ოსური და ქართულ-აფხაზური კონფლიქტების კონტექსტში, საქართველო-რუსეთის ურთიერთობების საკითხზე დებატები დღის წესრიგში შეიტანა.

აღნიშნული დებატების ერთ-ერთი მიზანი მოსკოვსა და თბილისს შორის შუამავლობისთვის სამუშაო ჯგუფის შესაძლო ჩამოყალიბება იქნება.

ამგვარად, პირველად საქართველო-რუსეთს შორის ურთიერთობები ორმხრივ ფორმატს სცილდება და საერთაშორისო ორგანიზაციის მსჯელობის საგანი ხდება.

ქართული დელეგაცია უკვე სტრასბურგში იმყოფება, დღეს კი მათ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე შეუერთდება, რომელიც 7 ოქტომბერს გამართულ დებატებზე მთავარი მომხსენებელია.

დისკუსიაში მონაწილეობის მისაღებად სტრასბურგში არ ჩავა რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს არც ერთი სპიკერი. აქედან გამომდინარე, ნინო ბურჯანაძის ოპონენტი იქნება რუსეთის დუმის ფრაქციის, პარტია "როდინას" წარმომადგენელი ნატალია ნაროჩნიცკაია.

ამას გარდა, ამავე დღეს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის საშემოდგომო სესიაზე დაგეგმილია ჩეჩნეთის საკითხზე დებატების გამართვა, რაც იმის პროგნოზირების საშუალებას იძლევა, რომ დღე საკმაოდ ხმაურიანი იქნება. მართალია, რუსეთის მხარის აზრით, სამი მოხსენებიდან ორი, ანდრეას გროსის (პოლიტიკურ საკითხებზე) და თადეუშ ივინსკის (იძულებით გადაადგილებულ პირებზე) "ობიექტურია", ანუ რუსეთის კრიტიკას ნაკლებად შეიცავს, მთავარი მაინც ჩეჩნეთში ადამიანთა უფლებების მდგომარეობაზე რუდოლფ ბინდიგის მიერ მომზადებული მოხსენება იქნება, რომელიც რუსეთის მხარის შეფასებით, "არაადეკვატურად და დაუსაბუთებლად მკაცრია". 7 ოქტომბერს დებატებზე სიტყვით გამოვა ჩეჩნეთის ახლადარჩეული პრეზიდენტი ალუ ალხანოვიც.

საქართველო-რუსეთის ურთიერთობების საკითხის ორმხრივი ფორმატიდან გამოსვლას და საერთაშორისო ორგანიზაციის მსჯელობის საგნად გადაქცევას, ქართველ ექსპერტთა უმრავლესობა ქვეყნის ახალი ხელისუფლების მიერ წარმოებული საგარეო პოლიტიკური კურსის უდიდეს წარმატებად მიიჩნევს, პოლიტიკოსთა უმრავლესობა კი მისგან მნიშვნელოვან შედეგებს ელის.

გაგრძელება A3 გვერდზე

# რუსეთი ღელავს

ხათუნა გაბიევი

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მიმდინარე წლის რიგით მეოთხე სესია ივნისში არჩეულმა ევროპის საბჭოს გენერალურმა მდივანმა ტერი დევისმა გახსნა ოფიციალური მიმართვით. სესიაზე გუშინ განიხილეს სერბეთში, ჩერნოგორიასა და აზერბაიჯანში დემოკრატიული ინსტიტუტების ფუნქციონირებისა და სომხეთის მიერ საკუთარ თავზე აღებული პასუხისმგებლობის შესრულების საკითხები. შედგა მონაკოს ევროპის საბჭოში მიღების ცერემონია. თავისი ქვეყანა პრინცმა ალბერტმა წარადგინა.

საპარლამენტო ასამბლეის საშემოდგომო სესიაზე ერთ-ერთი მთავარი თემა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა და ჩეჩნეთში პოლიტიკური, ადამიანის უფლებების დაცვისა და ჰუმანიტარული ვითარების საკითხების განხილვაა. ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხების განხილვა დღეს დაიწყება. დღევანდელ სესიას დაესწრება ჩეჩნეთის ახალი პრეზიდენტი ალუ ალხანოვიც, რომლის ინაუგურაცია გუშინ სამშობლოში მოკრძალებულ პირობებში შედგა. სიტყვით კი იგი ხვალ გამოვა, კონკრეტულად - ჩეჩნეთის საკითხის განხილვისას. სტრასბურგში იმყოფებიან, ასევე, ინგუშეთის ლიდერი მურად ზიაზიკოვი და გენერალური პროკურორის მოადგილე სერგეი ფრიდინსკი, რომელიც ჩრდილოეთ კავკასიის პრობლემატურ საკითხებში კომპეტენტური პირია.

სესიაზე ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის განხილვის ინიციატორი რუსეთის დელეგაცია იყო, რომელსაც რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს საერთაშორისო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე კონსტანტინ კოსაჩევი ხელმძღვანელობს.

გაგრძელება A3 გვერდზე

# გახანგრძლივებული თაფლობის თვე

**ხელისუფლება, მედია, საზოგადოება**



ბესო გულაშვილის ფოტო

მაია ქალაგანიძე

თითქმის ერთი წელი გავიდა. გასულ 23 ნოემბრამდე ყველაფერი ადვილი იყო - საზოგადოება არასამთავრობო ორგანიზაციებსა და მედიას აქტივობას და არაპოპულარული ხელისუფლების წინააღმდეგ "ხელჩართულ" ბრძოლას უკვეთდა. დღეს შეკვეთები შეიცვალა. საზოგადოების მოლოდინებისგან რაღაც გამართლდა და რაღაც - არა. საზოგადოებრივად აქტიური ადამიანებიდან ზოგი მეტად ჩანს, ზოგი - ნაკლებად, ზოგი ხელისუფლებაშია, ზოგი - არა. და ეს ყველაფერი თითქმის ერთ რეაქტიულ წელიწადში მოხდა. სად არიან დღეს არასამთავრობოები? დათმეს წამყვანი პოზიციები თუ გვეჩვენება? გვესაუბრება "თავისუფლების ინსტიტუტის" ერთ-ერთი ლიდერი და ჯერ კიდევ დირექტორი - **ლევან რამიშვილი.**

გაგრძელება B1 გვერდზე

# "აფხაზეთში "ვარდების რევოლუციის" სუნი ტრიალებს"

**ინტერნეტინტერვიუ სოხუმელ ახალგაზრდასთან**

ნინო გომართელი

აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ გუშინ საპრეზიდენტო არჩევნების წინასწარი შედეგები გამოაქვეყნა, რომლის მიხედვითაც, ჯერჯერობით, ოპოზიციის კანდიდატი სერგეი ბაღაფში იმარჯვებს. მან 34 ათას 932 ამომრჩევლის ხმა მოიპოვა. მას არც ისე დიდი რაოდენობის ხმებით ჩამორჩება ვლადისლავ არძინბას რჩეული და რუსეთის ფავორიტი რაულ ხაჯიმბა - 30 ათას 120 ხმით.

აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ მონაცემებში არ შედის გალის რაიონის სამი საარჩევნო ოლქის მონაცემები, რომელთაგან ორი ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ უკვე გააუქმა, ხოლო მესამის გათვალისწინება-არგათვალისწინებაზე ჯერ კიდევ მიდის მსჯელობა.

ამის ფონზე, ისედაც არსებული დაძაბულობა კიდევ უფრო მძაფრდება და თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტობის კანდიდატი რაულ ხაჯიმბა არჩევნების შედეგების გაუქმებას მოითხოვს. მისი კონკურენტი სერგეი ბაღაფში კი ამ მოთხოვნას აბსურდულს უწოდებს და ამის შესაძლებლობას კატეგორიულად გამორიცხავს.

**"3 ოქტომბრის არჩევნების შედეგების გაყალბების მცდელობას არ დავუშვებთ. მეორე ტურის ჩატარება აბსურდული და საფუძველს მოკლებულია,"** - აცხადებს იგი.

მის საარჩევნო შტაბთან კი მომხრეები იკრიბებიან, რომლებიც ხაჯიმბას პრეზიდენტად გამოცხადებას მოითხოვენ.

აფხაზეთის მოსახლეობა შეშფოთებული და დამფრთხალია, ზოგიერთი მათგანი იმასაც კი ამბობს, რომ შესაძლოა, შიდა კონფლიქტმა ძალიან სერიოზული სახე მიიღოს.

მოსახლეობის უმრავლესობა ერიდება ქართველ ჟურნალისტებთან საუბარს, თუმცა არ ერიდებიან იმის გაცხადებას, რომ **"აფხაზეთში ვარდების რევოლუციის სუნი ტრიალებს".**

გაგრძელება A2 გვერდზე

**1**

**იურიდიული ოფისი „გაპი" და გაზეთი "24 საათი"**

**ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.**

**2**

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო კუპონის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპის" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი კუპონები. ქსეროასლები არ განიხილება). უფასო შეკითხვის კუპონები გამოქვეყნდება ყოველდღიურად, გაზეთის A7 გვერდზე, ხოლო ამომწურავ პასუხს მკითხველი მიიღებს ყოველ ხუთშაბათს გაზეთ "24 საათის" მეშვეობით.

მკითხველი, სურვილის მიხედვით, ავსებს უფასო შეკითხვის კუპონის ქვემოთ გამოქვეყნებულ ანკეტას. ამავდროულად, სასურველია მკითხველმა მიუთითოს საკონტაქტო ტელეფონი, რათა საჭიროების შემთხვევაში, მოხდეს შეკითხვის დაზუსტება.

**3**

ყუთები განთავსებულია ქალაქ თბილისში მეტროს ქვემოთ ჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური "დელისი");
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "სოფტშენის" შენობის I-ლი სართული გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის კუპონი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს აგრეთვე ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ.77 იურიდიული ოფისი "გაპი".

A2 ამბები A3 მთავარი თემა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 პროექტი
B2 რევიუ B3 რევიუ B4 სპორტი B5 სპორტი B6 ევროისტორია B7 კვირის TV პროგრამა B8 სხვადასხვა

# "აფხაზეთში "ვარდების რევოლუციის" სუნი ტრიალებს"

პირველი გვერდიდან

ჩვენმა გაზეთმა გასაუბრება მხოლოდ ერთ ახალგაზრდასთან მოახერხა, რომელიც ბლიცინტერვიუზე მხოლოდ მას შემდეგ დაგვეთანხმდა, რაც პირობა მიიღო, რომ მისი სახელი და გვარი არ გახმაურდებოდა, მიუხედავად იმისა, რომ რესპონდენტის პასუხები საკმაოდ მშრალია, მისი საუბარი სოხუმის მოსახლეობის განწყობას ნამდვილად ასახავს.

**- რა ვითარებაა ამჟამად აფხაზეთში?**

- ჯერჯერობით სიმშვიდეა. მერე რა მოხდება, ვნახოთ. ჯერ არ არის ცნობილი, ვინ გაიმარჯვა. ისე კი ვნერვიულობთ. არავინ იცის ამ ყველაფერს რა შეიძლება მოჰყვეს.

**- შენ ვის მიეცი ხმა?**

- რაულ ხაჯიმბას, რადგან მომწონს და ის სხვებზე უკეთესია, სწორი პოლიტიკის გამტარებელია. სხვები მარტო საკუთარ ჯიბეზე ფიქრობენ. მიიღებენ თანამდებობებს და ხალხი აღარ ახსოვთ. არ მეთანხმები?

**- მე არ ვიცი, მე შორიდან ვაკვირდები მოვლენებს, შესაძლოა, მართალიც იყო...**

- ისე დარწმუნებული არც მე ვარ, მაგრამ მე ასე მგონია.

**- როგორ ფიქრობ, ვინ გაიმარჯვებს?**

- იმედი მაქვს, რომ - ხაჯიმბა, მაგრამ... შესაძლოა, მეორე ტური გაიმართოს.

**- ამბობენ, რომ ხაჯიმბას მხარდამჭერებზე უარყოფითად იმოქმედა წინასაარჩევნო პერიოდში რუსეთის გააქტიურებამ და აშკარა მოწოდებებმა, მხარი დაეჭირათ იმისთვის, ვინც რუსეთს სურდა...**

- შეიძლება ასეც ითქვას. რუსებმა მართლაც გადააჭარბეს, მაგრამ რა აზრი აქვს, ვისაც ხაჯიმბასთვის ხმის მიცემა სურდა, ეს გააკეთა კიდეც და ვისაც არ უნდოდა...

ისე, უკვე დღეს, ჩვენზე აღარაფერია დამოკიდებული.

**- რას ფიქრობ მის ოპონენტზე, სერგეი ბაღაფშზე? მართალია, რასაც ამბობენ, რომ იგი პროქართული ორიენტაციისაა?**

- კაცმა არ იცის. რას გაიგებ, ვინ რას ფიქრობს გულში. მაგრამ არა მგონია, მას ბევრი მხარდამჭერი ჰყავდეს, მისი ბიზნესიდან გამომდინარე. თუმცა შეიძლება, ვცდებოდე კიდეც.

**- რა განწყობაა სოხუმში საქართველოს მიმართ?**

- ჩვენ არ ვართ საქართველოს წინააღმდეგნი. პირადად მე ბევრი მეგობარი მყავს მანდ. მაგრამ რუსეთის შემადგენლობაში ყოფნა მინდა. ჩვენ უკვე რუსეთის მოქალაქეები ვართ.

**- როგორ ფიქრობ, რატომ არის ამგვარი დამოკიდებულება? რა შეუძლია რუსეთს აფხაზეთს მისცეს, რასაც ვერ შეძლებს საქართველო?**

- განვითარება.

**- საქართველო ამას ვერ უზრუნველყოფს?**

- ხედავ, რა ხდება აჭარაში? მოსახლეობა აბაშიძის დაბრუნებას ითხოვს. რა განვითარებაზეა საუბარი?!

■ ■ ■

აფხაზეთში მიმდინარე მოვლენებს საერთაშორისო თანამეგობრობაც დიდ ყურადღებას უთმობს. ევროპის თანამშრომლობისა და უსაფრთხოების ორგანიზაცია შეშფოთებულია კვირას აფხაზეთში გამართული საპრეზიდენტო არჩევნებით და მათ არალეგიტიმურსა და მიუღებელს უწოდებს.

**"ეუთო მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და არ ცნობს აფხაზეთის დამოუკიდებლობას, ისევე, როგორც - 3 ოქტომბერს გამართულ არჩევნებს,"** - აცხადებს ეუთოს მოქმედი თავმჯდომარე, ბულგარეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სოლომონ პასი.

მისი თქმით, მოსახლეობის დიდი ნაწილი აფხაზეთის ფარგლებს გარეთ იმყოფება და არჩევნებში მონაწილეობა არ მიუღია, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს არჩევნები არალეგიტიმური და მიუღებელია.

ამერიკის შეერთებული შტატები კი არ ცნობს აფხაზეთის დამოუკიდებლობას და მოელის, რომ ნებისმიერი აფხაზური ხელისუფლება მოლაპარაკებების მაგიდას დაუბრუნდება ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დასარეგულირებლად. ამის შესახებ გუშინ ვაშინგტონში ჟურნალისტებს განუცხადა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალური წარმომადგენლის მოადგილემ ადამ ერელიმ, 3 ოქტომბერს თვითგამოცხადებულ რესპუბლიკაში გამართული საპრეზიდენტო არჩევნების კომენტირებისას. ამასთანავე, მისი თქმით, საქართველოსთან, რუსეთთან და ეუთო-სთან ერთად აშშ გააგრძელებს მუშაობას, რათა მხარი დაუჭიროს მოლაპარაკებებს აღნიშნული საკითხის მოსაგვარებლად.

# ეუთო-ს ბიუჯეტი - ქართველი პოლიტიკოსების ახალი თავსატეხი



ქართველი პარლამენტარები შეშფოთებით განიხილავდნენ ეუთო-ს საქართველოს მისიისთვის ბიუჯეტის შემცირებას.

ლევან ხერხეულიძის ფოტო

გიორგი ასანიშვილი

*საქართველოს ხელისუფლებას მოულოდნელად ახალი საზრუნავი გამოუჩნდა: ამიერიდან მას, ქვეყნის ბიუჯეტის პარალელურად, ეუთო-ს ბიუჯეტზეც მოუწევს ფიქრი. ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეიდან დაბრუნებული საგარეო ურთიერთობათა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე კოტე გაბაშვილი შეშფოთებულია იმით, რომ ამ ორგანიზაციის 2005 წლის ბიუჯეტში საქართველოსთვის გამოყოფილი თანხების 21-დან 18 მილიონ ევრომდე შემცირებაა ნავარაუდევი. ამაში ქართველი პოლიტიკოსები რუსეთის ხელწერას ხედავენ.*

**"ეს ძალიან სახიფათო და ქართული მხარისთვის მიუღებელი რამ არის. საქართველოში ეუთო-ს მისიისთვის ფულის დაკლება და მისი ბიუჯეტის შემცირება ნიშნავს საქართველო-რუსეთის სახელმწიფო საზღვარზე კონტროლის შემცირებას,"** - აცხადებს კოტე გაბაშვილი და არაადეკვატურად მიიჩნევს იმას, რომ რუსეთი, ერთი მხრივ, ტერორიზმთან ბრძოლის ლოზუნგებით გამოდის, მეორე მხრივ კი, მხარს უჭერს ეუთო-ს ბიუჯეტში ამ მიზნისთვის გათვალისწინებული სახსრების შემცირებას.

**"არ უნდა დავუშვათ, რომ ეუთო-ს ბიუჯეტი საქართველოს სახელმწიფო საზღვრის მონიტორინგის ხარჯზე შეიკვეცოს. მეტიც, ჩვენ ვითხოვთ, რომ ეუთო-ს კონტროლი ცხინვალის რეგიონზეც გავრცელდეს,"** - აღნიშნავს საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე.

მისივე თქმით, მდგომარეობის შესაცვლელად საქართველოს ხელისუფლებას საკმაოდ ძლიერი ბერკეტი გააჩნია. კერძოდ, ეუთო-ს ბიუჯეტი კონსენსუსის წესით მიიღება და ამიტომ ოფიციალური თბილისის პოზიციის გათვალისწინება აუცილებელია.

კოტე გაბაშვილის აზრით, ახლა საჭიროა, მუშაობა დიპლომატიური არხებით წარიმართოს. იგი სთხოვს საგარეო საქმეთა სამინისტროს, რომ ამ მიმართულებით მუშაობა გააააქტიუროს. დეპუტატის განცხადებით, აღნიშნულ საკითხზე ინტენსიურად იმუშავებენ თავდაცვისა და უშიშროების, აგრეთვე ევროპასთან ინტეგრაციის საპარლამენტო კომიტეტებიც.

თავის მხრივ, თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ნიკა რურუაც ადასტურებს, რომ ეუთო-ს მონიტორინგის პროგრამა საქართველო-რუსეთის სახელმწიფო საზღვარზე წარმატებით ხორციელდება და მისი შეწყვეტა ან შესუსტება დაუშვებელია. მისი მტკიცებით, ამ პროგრამის ჩაგდებით რუსეთია დაინტერესებული.

**"მოსკოვს სურს, რომ საქართველოს საზღვარი ეფექტურად არ კონტროლდებოდეს და გაურკვეველი ელემენტებისთვის ჩვენს ქვეყანაში შემოღწევის შესაძლებლობა არსებობდეს. შემდეგ კი ამის საფუძველზე გაკეთდეს განცხადებები, თითქოს საქართველო ტერორიზმის ბუდეა,"** - შენიშნავს ნიკა რურუა.

საქართველოს "ხარჯზე" ეუთო-ს ბიუჯეტის შესაძლო შემცირების საკითხს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძეც შეეხო. იგი იმედოვნებს, რომ საქართველოში ეუთო-ს მონიტორინგის პროგრამა არათუ შემცირდება, არამედ კიდევ უფრო გაფართოვდება და სოფიაში დაგეგმილ ეუთო-ს მომავალ შეხვედრაზე ეს საკითხი საქართველოს სასარგებლოდ გადაწყდება.

**"ეუთო-ს ელჩების წინაშე ორი კვირის წინათ დავსვი საკითხი საზღვრის მონიტორინგის გაფართოებასთან დაკავშირებით. მათ რუსეთის ელჩს ჰკითხეს: რა დოკუმენტის საფუძველზეა რუსეთი მისიის გაფართოების წინააღმდეგი? მაგრამ პასუხი ვერ მიიღეს. რუსეთი მხოლოდ ზოგადად აცხადებს, რომ ეუთო-ს მისია არაეფექტურია და ის უნდა შეწყდეს,"** - განაცხადა პარლამენტის სპიკერმა პრეზიდენტ სააკაშვილთან გუშინ გამართული შეხვედრის შემდეგ.

ამავე საკითხზე ნინო ბურჯანაძე დახურულ კარს მიღმა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარეებსაც ესაუბრა.

## მაღალჩინოსნები ქონებას ყიდიან და უკანონოდ აქირავებენ

ფინანსურმა პოლიციამ "საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო აკადემიის" რიგი თანამდებობის პირების მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების არაერთგზის ბოროტად გამოყენების ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე აღძრა. როგორც ფინანსურ პოლიციაში განაცხადეს, აღნიშნული აკადემიის რექტორმა იჯარის ხელშეკრულება გააფორმა კერძო უმაღლეს სასწავლებელთან, შპს "თბილისის სამედიცინო აკადემიასთან" და კერძო სტრუქტურას ქირით მისცა აკადემიის შენობის 200 კვადრატული მეტრი, რომლის ღირებულებაც წელიწადში 800 დოლარით განისაზღვრა. კერძო უმაღლესი სასწავლებელი ამ თანხას აკადემიის ანგარიშზე რიცხავდა და აკადემიას მოიხმარდა კიდეც; თუმცა, არსებული კანონმდებლობით, ეს დაუშვებელია. ჯერ ერთი, წლიური იჯარის ღირებულება ქონების მართვის სამინისტროს უნდა განესაზღვრა და თანხაც ქონების მართვის შესაბამისი სამსახურის ანგარიშზე უნდა ჩარიცხულიყო. როგორც ფინანსურ პოლიციაში აღნიშნავენ, ამჟამად მიმდინარეობს საგამოძიებო ღონისძიებები კონკრეტული დამნაშავე პირების დადგენის მიზნით.

ფინანსური პოლიციის თანამშრომლებმა ასევე ამხილეს, თავდაცვის სამინისტროს კუთვნილი შპს "აჭარის ტექნიკური სპეციალისტების მომზადების ცენტრის" თანამშრომელი ევგენი ქათამაძე, რომელიც ცენტრის კუთვნილი პნევმატური კონსტრუქციის გაყიდვაშია ეჭვმიტანილი.

როგორც ფინანსურ პოლიციაში აცხადებენ, ქათამაძემ აღნიშნული კონსტრუქცია დაჭრა და ჯართად გაყიდა, რისი უფლებაც მას არ ჰქონდა. სისხლის სამართლის საქმე ქათამაძის მიმართ მითვისების მუხლით აღიძრა.

*24 საათი*

## განათლების სფეროს და "სუპერ ქანჩს" ერთი სახის რეკლამა არ უნდა ჰქონდეს

უკანასკნელ პერიოდში მომრავლდა სარეკლამო სახის განცხადებები თუ სტატიები, რომლებშიც ესა თუ ის ორგანიზაცია აბიტურიენტებს 2005 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის მომზადებას სთავაზობს. სამწუხაროდ, ზოგიერთი მათგანი დაუშვებელი მეთოდებით ცდილობს აბიტურიენტებისა და მათი მშობლების ყურადღების მიპყრობას.

ასე, მაგალითად, სარეპეტიტორო სკოლა "სტს"-ის წარმომადგენელთან ინტერვიუში ვკითხულობთ: "ჩვენთან მუშაობენ პედაგოგები, რომლებიც თავად მიიღებენ მონაწილეობას მისაღებ გამოცდებზე ტესტების შედგენაში".

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი, რომელიც პასუხისმგებელია საგამოცდო ტესტების მომზადებასა და მისაღები გამოცდების ჩატარებაზე, კატეგორიულად აცხადებს:

**- ცენტრის არც ერთი თანამშრომელი არ მონაწილეობს სარეპეტიტორო საქმიანობაში;**

**- ნამუშევრების გასასწორებლად მოწვეული პედაგოგები არ ქმნიან საგამოცდო ტესტების კითხვებსა და დავალებებს და არ ფლობენ კონფიდენციალურ ინფორმაციას;**

**- უახლოეს მომავალში გამოვა შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში მომზადებული კრებულები, რომლებიც დაეხმარება აბიტურიენტებს, მოემზადონ ტესტირებისთვის.**

P. S. რაც შეეხება განცხადებაში მოტანილ ციტატას, როგორც "სტს"-ის ერთ-ერთმა კურატორმა კახა კორძაიამ განაცხადა, ის სიმართლეს არ შეესაბამება და "სპეციალიზირებული ტესტირების სკოლაში" არ მუშაობენ სპეციალისტები, რომლებიც მუშაობენ შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში, მისაღებ გამოცდებზე ტესტების შედგენაში მონაწილეობას იღებენ ან შემდგომში მიიღებენ. **24 საათი**

## კულუარები

# ერთიანობა და წინააღმდეგობები

თამარ ასათიანი

ყველაზე ოპტიმისტური გათვლებით, "ნაციონალებისა" და "გაერთიანებული დემოკრატების" პირველი დამფუძნებელი ყრილობა ამ თვის ბოლოს უნდა გაიმართოს. თუმცა ჯერ არარსებული პარტიის პოლიტსაბჭოს წევრების ნაწილი მაინც აცხადებს, რომ არ არის გამორიცხული, "პოლიტშეუღლების" ოფიციალურმა თარიღმა გადაიწიოს. ამის მიუხედავად, პოლიტსაბჭოს წევრებს უკვე დაურიგდათ ჯერაც არარსებული პოლიტიკური ძალის პარტიული მანდატები.

ჩვენი ინფორმაციით, პოლიტიკური გაერთიანება "ნაციონალური მოძრაობა - დემოკრატების" პოლიტიკური საბჭოს დღევანდელი შემადგენლობა ასე გამოიყურება: **მაია ნადირაძე, ბესო ჯუღელი, აკაკი ბობოხიძე, გიგა ბოკერია, გივი თარგამაძე, ნოდარ გრიგალაშვილი, გია ხევიაშვილი, დათო ზურაბაშვილი, ზურაბ ჯგუბურია, გიგი წერეთელი, გია ნაცვლიშვილი, ბიძინა ბრეგაძე, მარიკა ვერულაშვილი, ხათუნა გოგორიშვილი, მიხეილ მაჭავარიანი, ედვარდ სურმანიძე, ელდარ შენგელაია, დავით ტყეშელაშვილი, გიორგი გაბაშვილი, ელენე თევდორაძე, მალხაზ ბეგიაშვილი, გიორგი არველაძე, დავით კირკიტაძე, ბეჟან კალანდაძე, გოჩა კუპრავა, ლევან მხეიძე, ვანო მერაბიშვილი, ზურაბ მელიქიშვილი.**

როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, უკვე დასრულებულია "ნაციონალური მოძრაობა - დემოკრატების" წესდებასა და რეგლამენტზე მუშაობა. ჯერჯერობით, ამ დოკუმენტებს მხოლოდ მომავალი პარტიის პოლიტსაბჭოს წევრები იცნობენ.

საკმაოდ რთული სათქმელია, ნოემბრის რევოლუციის შემდგომ რატომ გაჭიანურდა ამ ორი ძალის გაერთიანება; თუმცა, როგორც პარტიული ლიდერები აცხადებენ, ამის შეფერხების მიზეზი ქვეყანაში ბოლო დროს განვითარებული მოვლენები გახდა. შესაბამისად, შიდაპარტიული ცხოვრების ასაწყობად არც სააკაშვილისა და არც ჟვანიას გუნდელებს ჯერ არ ეცალათ.

სხვათა შორის, იურიდიული სტატუსის არქონის მიუხედავად, პარტიის შიგნით ყველა წამყვანი თანამდებობები დანაწილებულია; მეტიც - პოლიტიკური გაერთიანების შიგნით უკვე იკვეთება დაპირისპირებები გარკვეულ პარტიულ დაჯგუფებებს შორის.

ამ ბოლო დროს მასმედიის ყურადღების ქვეშ ერთ-ერთი საკადრო ცვლილება მოექცა, რომლის თანახმადაც, პარლამენტის ვიცე-სპიკერი მიხეილ მაჭავარიანი პარტიის რეგიონული მდივანი გახდა. იქვე გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს სულ მალე მიხეილ მაჭავარიანი გაცილებით მაღალ პარტიულ მწვერვალს დაიკავებდა და პარტიის "გენსეკი" გახდებოდა, რასაც ავტომატურად მოჰყვებოდა ამ სავარძლის დღევანდელი მფლობელის გიორგი არველაძის "ჩაჩოჩება".

ამბობენ, "ასეთი საკადრო" წმენდა უახლოეს მომავალში პარტიაში ჯერ მოსალოდნელი არ არისო, თუმცა ისიც ფაქტია, რომ გიორგი არველაძის ბოლოდროინდელმა საჯარო გამოსვლებმა თავად პარტიის შიგნითაც გარკვეული უკმაყოფილება და აგრესია გამოიწვია. პარტიის სტაჟიან წევრთა შორის განსაკუთრებული გაღიზიანება ამ პოლიტიკოსის არც თუ ზრდილობიან გამოსვლას მოჰყვა (იგულისხმება ივლიანე ხაინდრავას "კრიტიკა"). ამავე დროს, როგორც ამბობენ, პარტიის შიგნით არველაძე ნამდვილად არ სარგებლობს მაღალი რეიტინგით და არ არის გამორიცხული, მას უახლოეს მომავალში შემცვლელი მოუძებნონ. სულაც არ იქნება გასაკვირი, ეს რომ მიხეილ მაჭავარიანი იყოს. მისი შანსები რეალურია, იმის გათვალისწინებით, რომ მაჭავარიანს პარტიის "გენსეკობის" საკმაოდ დიდი გამოცდილება აქვს და სულ უფრო მეტად უახლოვდება პარტიის ე. წ. სააკაშვილისეულ ფრთას.

თუმცა, როგორც ჩანს, უახლოეს მომავალში განსაკუთრებით მძიმე დღეები ერთ-ერთ პარტიულ აქტივისტს - გიორგი ხევიაშვილს დაუდგება. მართალია, ხევიაშვილი პარლამენტარია და, შესაბამისად, მას თანამდებობის დაკარგვა არ ემუქრება, მაგრამ იგი მალე პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიმღები ჯგუფის მიღმა აღმოჩნდება. მეტიც: გია ხევიაშვილს, რომელსაც პარტიამ ქვემო ქართლის რეგიონული ორგანიზაცია ჩააბარა, უკვე ღიად ადანაშაულებენ ამა თუ იმ თანამდებობებზე საკუთარი კადრების ლობირებაში (განსაკუთრებული აქცენტი მხარეში პრეზიდენტის რწმუნებულზე - გივი მაზმიშვილზე კეთდება).

# რა ელის მას, ვინც ტყეს არ უნახავს შვილებს



შუახევის რაიონის გამგებელმა კაბინეტი ნილბიანების თანხლებით დატოვა.

შორენა ბოგირაიშვილი
"24 საათი-აჭარა"

ის, რომ ხე-ტყის უკანონოდ გაჩეხვა და რეალიზაცია აჭარის რეგიონში ყველაზე გავრცელებული და მომგებიანი ბიზნესია, ამას მთავრობაც, სამართალდამცავი სტრუქტურებიც და უბრალო მოსახლეობაც კარგად ხედავს. გუშინ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შს მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, სამმართველოს უფროსის გიორგი პაპუაშვილის უშუალო ხელმძღვანელობითა და მონაწილეობით, ხულოსა და შუახევის რაიონებში სპეცოპერაცია ჩაატარეს, რომლის შედეგადაც დაკავებულნი არიან ხულოს რაიონის გამგებელი ოთარ ცეცხლაძე, შუახევის რაიონის გამგებელი ნოდარ ქარცივაძე და მოადგილე თემურ დავითაძე. ისინი ეჭვმიტანილნი არიან სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებაში. **"ოპერაციის ჩატარებას მოკვლეული მასალები უძღოდა წინ. გამგებლები და მოადგილე ეჭვმიტანილები არიან სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებაში - ეს დაკავშირებულია ხე-ტყის უკანონო ჭრასთან, უკანონო ბიზნესთან. საუბარია არა მარტო გამგებლებზე, არამედ იმ პიროვნებებზეც, რომლებიც დღესაც აგრძელებენ ხე-ტყის უკანონო ჭრას. ეჭვმიტანილები კონკრეტულ ფაქტთან დაკავშირებით დავაკავეთ - ხელვაჩაურში, მახოს ხიდთან, დაკავებული იქნა ხე-ტყის მასალა ყოველგვარი საბუთის გარეშე. ამ საქმეს უშუალოდ გამგებლები და მათი მოადგილეები კურირებდნენ. სწორედ მათი მითითებებით ამ მანქანებმა უპრობლემოდ გაიარეს ყველა საგუშაგო. მათ კაბინეტებში ჩატარებული ჩხრეკის შედეგად ამოიღეს გარკვეული თანხები უცხოურ და ეროვნულ ვალუტაში. თანხის რაოდენობას გამოძიება დაადგენს. ჩვენი ვარაუდით, ეს ადამიანები თანამდებობებზე დანიშვნისთანავე აქტიურად შეუდგნენ ამ უკანონო საქმიანობას. მინდა, ვაუწყო საზოგადოებას, რომ მსგავსი ღონისძიებები გაგრძელდება. ვიმუშავებთ იქამდე, ვიდრე ბოლომდე არ ამოიძირკვება ხე-ტყის უკანონო ჩეხვა-გატანა. გამოძიება აბსოლუტურად ყველა გარემოებას სრულყოფილად გაარკვევს და ყველა პირის მოქმედებას მიეცემა სამართლებრივი შეფასება,"** - განაცხადა **გიორგი პაპუაშვილმა.**

ამ დაკავებასთან დაკავშირებით აჭარის გარემოსა და რესურსების დაცვის სამმართველოში შემდეგ კომენტარს აკეთებენ. **"შევისწავლეთ ხულოს რაიონის ტყეები, კერძოდ ბეშუმის უბანი, სადაც გამოვლენილი იქნა ხე-ტყის უნებართვოდ ჩეხვის დიდძალი ფაქტები. ამავე დროს საკურორტო ზონაში გაცემულია (მოსახლეობის შეშით უზრუნველყოფის მიზეზით) 1500 კუბომეტრი შეშა. ალბათ, ეს ფაქტია დაკავშირებული დღევანდელ დაკავებასთან,"** - აღნიშნა ზედამხედველობის სამსახურის უფროსმა **თამაზ მესხმა.** აღნიშნული სამმართველოს უფროსი **სოფიკო ახობაძე,** რომლის სამსახურიც უშუალოდ ამარაგებს მთავრობას ხე-ტყის უკანონოდ ჩეხვასა და რეალიზაციასთან დაკავშირებული ინფორმაციით, აცხადებს, რომ **"აღნიშნული დაკავება ჩვენ მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე მოხდა თუ არა, ამის თქმა არ შემიძლია. ჩვენ მიერ შესწავლილი იყო ყველა ის კანონდარღვევა, რომელიც რაიონებში ხე-ტყის ჭრისა და უკანონო რეალიზაციის საქმეში არსებობს. სხდომაზე მთავრობის თავმჯდომარემ, ლევან ვარშალომიძემ განაცხადა, რომ ამ საქმეში ჩართულ ყველა პირს დასჯის. ეს ბრძოლის დასაწყისია. მინდა, საზოგადოებამ გაიგოს, რომ საქმე ეხება არა ხე-ტყის საშეშე ან სამშენებლო მასალად გამოყენებას, არამედ საუბარია ხე-ტყის საზღვარგარეთ რეალიზაციაზე და იმ კონკრეტულ პირებზე, რომლებიც ადგილობრივი მოსახლეობის ხარჯზე ეწევიან უკანონო ბიზნესს".**

## ორი სიტყვით

**თბილისი.** საპარლამენტო უმრავლესობას დეპუტატ ლევან ბერძენიშვილის ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის დელეგაციიდან გამოყვანის მექანიზმი არ გააჩნია - დელეგაციის დატოვება მხოლოდ ლევან ბერძენიშვილის კეთილ ნებაზეა დამოკიდებული. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო აფხაზეთის თვითგამოცხადებულ რესპუბლიკაში 3 ოქტომბერს გამართულ საპრეზიდენტო არჩევნებს დემოკრატიულს უწოდებს და იმედოვნებს, რომ ამ არჩევნების შემდეგ მოლაპარაკებები ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დასარეგულირებლად გაგრძელდება. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პარლამენტის წევრები - კობა დავითაშვილი, ზვიად ძიძიგური და კახა კუკავა აჭარის ავტონომიის გაუქმების შესახებ რეგიონის მოსახლეობაში შეგროვილ 70 ათასზე მეტ ხელმოწერას სახელმწიფო კანცელარიაში წარადგენენ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** "საპარლამენტო უმრავლესობას დაშლის საფრთხე არ ემუქრება," - ამის შესახებ ჟურნალისტებს დეპუტატმა ხათუნა გოგორიშვილმა განუცხადა. მან "დემოკრატებისა" და "ნაციონალების" გათიშვის შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას ჟურნალისტური ფანტაზია უწოდა. **ინტერ-პრესი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - ნინო ნარჩემაშვილი, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# პატარა სენსაცია სტრასბურგში

პირველი გვერდიდან

**"ევროსაბჭო არის ის ასპარეზი, სადაც საქართველომ აუცილებლად უნდა ისაუბროს რუსეთთან ურთიერთობებზე და კონფლიქტურ საკითხებზე, რადგან ეს ორგანიზაცია მშვიდობიან თანამშრომლობას ემსახურება და ჩაერთვება მისი წევრი ორი ქვეყნის - საქართველოსა და რუსეთის პრობლემური ურთიერთობის გადაწყვეტაში,"** - აცხადებს საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე კოტე გაბაშვილი. იგი მიიჩნევს, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში საქართველო ძალიან სერიოზული ამოცანის წინაშე დგას.

როგორც მან "24 საათთან" ინტერვიუში აღნიშნა, სპეციალურად შერჩეული საქართველოს პარლამენტის საკმაოდ ძლიერი დელეგაცია **"ხმამაღლა იტყვის თავის სიტყვას"** და ისაუბრებს ყველა იმ პრობლემურ საკითხზე, რამაც ბოლო დროს ასე დაძაბა ურთიერთობები საქართველოსა და რუსეთს შორის. იქნება, ასევე, შეხვედრები და საუბარი სხვადასხვა ქვეყნების დელეგაციებთან, მათ შორის რუსებთანაც.




*ხვალ ეს დარბაზი საქართველო-რუსეთის ურთიერთობებზე დებატების მონაწილეებით გაივსება.*

**"საქართველოს მხრიდან გარკვეულმა ცდამ, რომ სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში კონფლიქტი გადაწყვეტილიყო, აშკარად არაბუნებრივი და არაადეკვატური რეაქცია გამოიწვია რუსეთისგან, შემდეგ კი ძალზე აგრესიული გაგრძელება მოჰყვა ბესლანში მომხდარი ტრაგედიის ფონზე. ჩვენ გვესმის, რომ ჩრდილოეთ ოსეთში განხორციელებულმა ტერორისტულმა აქტმა ძალიან გააღიზიანა რუსეთი, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ საქართველომ ამის გამო რაიმე სიმძიმის დარტყმა მიიღოს მაშინ, როდესაც იგი არაფერ შუაშია.**

**პრობლემა კი არის ის, რომ ძალიან გაძლიერდა რუსეთის მხრიდან ორმაგი სტანდარტებით მოქმედება. ერთი მხრივ, იგი აცხადებს, რომ მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, ამ დროს კი დაუფარავად და თავხედურად მოქმედებს აფხაზეთში. აშკარად უჭერს მხარს დე-ფაქტო პრეზიდენტობის კანდიდატს, მისთვის კონცერტებს მართავს და აწყობს შოუს სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენის აღსანიშნავად,"** - მიიჩნევს საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე.

# საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის უკომპრომისო მოხსენება

*7 ოქტომბერს სტრასბურგში, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სხდომაზე, ქართულ-რუსული ურთიერთობის შესახებ დებატების მსვლელობისას, მთავარი მომხსენებელი ნინო ბურჯანაძე იქნება. მისი განცხადებით, გამოსვლაში რუსეთის მიმართ კრიტიკა იქნება მხოლოდ იმ საკითხებში, რაც ჩვენ გვეხება, ეს არის სამაჩაბლოს და აფხაზეთის პრობლემა. როგორც "24 საათთან" ინტერვიუში საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ განაცხადა, საქართველოს ნამდვილად სურს რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობების დამყარება, მაგრამ ამისათვის ნამდვილად არ კმარა მხოლოდ საქართველოს სურვილი.*

ნინო გომართელი

**- ქალბატონო ნინო, როგორ აფასებთ იმ მოვლენას, რომ ევროსაბჭომ გაითვალისწინა საქართველოს თხოვნა და განსახილველ საკითხებს შორის შეიტანა რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობები. რა მნიშვნელობის არის ეს ფაქტი ჩვენი ქვეყნისთვის?**

- ეს უპრეცედენტო ფაქტია. ძალიან იშვიათად ხდება, რომ ბოლო დღეს, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სხდომის დღის წესრიგში შედის ცვლილებები. ჩვენი მოთხოვნა კი საქართველოს შიდა კონფლიქტებთან დაკავშირებით, ბოლო დროს რუსეთთან გართულებულმა ურთიერთობებმა განაპირობა.

სამწუხაროდ, მიუხედავად დიდი სურვილისა, ჩვენ კონფლიქტების დარეგულირების თვალსაზრისით რეალურად წინ ვერ წავიწიეთ. ყველასათვის ცნობილია, როგორი რეაქცია მოჰყვა რუსეთის მხრიდან სამაჩაბლოში ელემენტარული წესრიგის დამყარებასთან დაკავშირებით ჩვენ მიერ გადადგმულ ნაბიჯებს.

ვფიქრობ, ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ გაიგოს რეალობა, თუ რა მოხდა სამაჩაბლოში, როგორი იყო ჩვენი დამოკიდებულება ბესლანში მომხდარ ტრაგიკულ მოვლენებთან, თუ რამდენად უსაფუძვლო იყო რუსეთის პრეტენზიები საქართველოს მისამართით, როდესაც გარკვეული პოლიტიკური ძალები კვლავ ალაპარაკდნენ პანკისის ხეობაში ტერორისტების არსებობის შესახებ და, საერთოდ, როგორია ჩვენი ხედვა საქართველოს როგორც საგარეო, ისე საშინაო პოლიტიკასთან დაკავშირებით.

**- საპარლამენტო ასამბლეის სხდომაზე თქვენ მოხსენებით გამოხვალთ. რა იქნება ის მთავარი საკითხები, რაზეც ყურადღებას გაამახვილებთ?**

- გამოსვლის მთავარი თემა, რა თქმა უნდა, იქნება კონფლიქტები. მიუხედავად ჩვენი იმედისა, რომ ორი ქვეყნის პრეზიდენტების შეხვედრის შემდეგ ვითარება რადიკალურად შეიცვლებოდა, დამოკიდებულება კვლავაც ძველებური დარჩა. რასაკვირველია, უდავოდ არის გარკვეული ტენდენციები, მაგრამ ეს ვერ ფარავს ყველა იმ უარყოფით მომენტს, რაც არსებობს ქართულ-რუსულ ურთიერთობებში. მაგალითად კმარა რუსეთის მხრიდან თუნდაც იმის გამოცხადება, რომ საქართველო უნდა დაიბომბოს, რადგან აქ არიან ტერორისტები. ყველამ კარგად იცის, რომ როდესაც რუსეთში ლაპარაკობდნენ მოსაზღვრე ქვეყნებში არსებულ ტერორისტულ ბაზებზე და მათ დაბომბვებზე, ჩინეთსა და იაპონიას არავინ გულისხმობდა. ლაპარაკი იყო საქართველოზე, თანაც - აბსოლუტურად უსაფუძვლოდ.

ჩვენთვის მნიშვნელოვანია, ევროპამ საქართველოს მხრიდან გაიგოს, რა პრეტენზიებიც გვაქვს. მაგალითად ის, რომ რუსეთი იყენებს ორმაგ სტანდარტებს. როდესაც ლაპარაკია იმაზე, რომ რუსეთი ებრძვის ტერორიზმს თავის ტერიტორიაზე და შემდეგ ხსნის სარკინიგზო მიმოსვლას მოსკოვსა და სოხუმს შორის, ეს სხვა არაფერია, თუ არა ორმაგი სტანდარტით მოქმედება.

თუნდაც ატეხილი განგაში ეუთო-ს მონიტორინგთან დაკავშირებით: რუსეთი გვაბრალებს, რომ ჩვენს ტერიტორიაზე არის ტერორისტთა ბაზები და აქედან ისინი რუსეთში გადადიან. ჩვენ თანახმა ვართ, განხორციელდეს მონიტორინგი და თუ აღნიშნული დადასტურდება, დაგვსაჯონ. ჩვენ ნამდვილად არ გვეშინია ამის, რადგან ამგვარ ბრალდებას არნაირი საფუძველი არ გააჩნია.

სხვათა შორის, აღნიშნული კარგად იცის რუსეთის მხარემაც, რადგან სულ ორიოდე დღის წინ, მოსაზღვრე რეგიონებში, ფსბ-ს ორი ოფიცრის მონაწილეობით, სპეციალური რეიდი განხორციელდა. რუსეთის შესაბამისმა სამსახურებმა იციან, რომ ამგვარი განცხადებების საფუძველი არ არსებობს, მაგრამ გარკვეული პოლიტიკური წრეები ამას იყენებენ საქართველოს წინააღმდეგ. ამ ყველაფერს ბოლო უნდა მოეღოს, რუსეთმა უნდა გადმოდგას ნაბიჯი და ნორმალური ურთიერთობები დაამყაროს საქართველოსთან.

საჭიროა ფაქტების კონსტატირება და გარწმუნებთ, ევროპის პარლამენტარები თავად მიხვდებიან, რა არის რეალობა.

**- რა შედეგებს ელოდება საქართველოს ხელისუფლება აღნიშნული დებატების შემდეგ და რა გავლენა შეიძლება მოახდინოს ამ ფაქტმა რუსეთზე?**

- ევროსაბჭო არ არის ის ორგანო, რომელსაც ან ჯარის შემოყვანა შეუძლია, ან სანქციების დაწესება რომელიმე ქვეყნისთვის. მაგრამ ჩვენი მთავარი ამოცანა ამჟამად არის საზოგადოებრივი აზრის აქტუალიზება, პრობლემების კიდევ ერთხელ გახმოვანება. ამასთანავე, მე არ გამოვრიცხავ, რომ თუ რუსეთი არაცივილიზებულად იმოქმედებს, ულალატებს დემოკრატიულ პრინციპებს, რასაც ევროსაბჭოსთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს, მას შეიძლება სერიოზული პრობლემები შეექმნას.

**- იმ დღეს, როდესაც აღნიშნული დებატები გაიმართება, ასამბლეის სხდომის მთავარი თემა იქნება, ასევე, რუსეთის პოლიტიკა ჩეჩნეთის მიმართ. თქვენს მოხსენებაში თუ შეეხებით ამ საკითხს?**

- მე არ მინდა დავემსგავსოთ რუსეთს, რომელსაც საკუთარი პრობლემები არ აქვს მოგვარებული და მუდმივად საქართველოს შიდა საქმეებში ყოფს ცხვირს. ჩეჩნეთი ნამდვილად რუსეთის საშინაო საქმეა, ისევე, როგორც საქართველოს საშინაო საქმეა აფხაზეთი და სამაჩაბლო. თუმცა, ბუნებრივია, ჩვენ ცივილიზებული სამყაროს ნაწილი ვართ და ჩვენც მხარს ვუჭერთ იმას, რომ ნებისმიერ კუთხეში სამართლებრივი ნორმები არ ირღვეოდეს და პრობლემების გადაჭრა დემოკრატიული ფორმებით ხდებოდეს.

ძალიან საინტერესო იყო ივანოვის განცხადება, რომ თურმე, ის, რასაც რუსეთი აკეთებს ჩეჩნეთში, არის პოლიტიკური გზით კონფლიქტის დარეგულირება. ამ შემთხვევაში ძალიან მაინტერესებს, რუსეთისთვის რა შეიძლება იყოს არაპოლიტიკური ქმედება.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ მხარს ვუჭერთ ჩეჩნეთის პრობლემის რუსეთის ტერიტორიული მთლიანობის კონტექსტში მოგვარებას, მაგრამ ყველანაირად მომხრე ვიქნებით იმისა, რომ სისხლისღვრა შეწყდეს. ამასთანავე, ჩვენ სრული უფლება გვაქვს მოვითხოვოთ რუსეთისგანაც, რომ ისიც იგივე გაგებით მოეკიდოს ჩვენს პრობლემებს. სამაჩაბლო და აფხაზეთი არ არის უბრალოდ საქართველოს ტერიტორია, ეს ჩვენი სამშობლოა.

# ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის საშემოდგომო სესიის სავარაუდო შედეგები

*ქართველი ექსპერტები იმედიანად უყურებენ საქართველო-რუსეთის ურთიერთობებით ევროპის საბჭოს დაინტერესებას. სტრასბურგში ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სესიის სავარაუდო შედეგების შესახებ "24 საათი" ესაუბრა საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო კვლევების ფონდის უფროს ანალიტიკოსს არჩილ გეგეშიძეს.*

ხათუნა გაბიევი

**- თქვენი შეფასებით, რა შედეგებს მოუტანს საქართველოს ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე საქართველო-რუსეთს შორის ურთიერთობების განხილვა და, საერთოდ, რამ გამოიწვია დღეს ჩვენი ქვეყნის პრობლემებით საერთაშორისო საზოგადოების ასეთი დაინტერესება?**

- მას შემდეგ, რაც საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები ყოველთვის კრიზისულ ფაზაში იმყოფებოდა. რასაკვირველია, ურთიერთობაში პერიოდულად დათბობაც იყო, მაგრამ, ხშირ შემთხვევაში, ურთიერთობები ორივე ქვეყნისთვის სახიფათოდაც კი ვითარდებოდა. საქართველომ ძალიან რთული პერიოდი განვლო უკანასკნელი 13-14 წლის განმავლობაში, რის გამოც ვერ ხერხდებოდა საქართველოსთან დაკავშირებული საკითხების ფართო ასპარეზზე მკაფიოდ დაფიქსირება. მართალია, ადგილი ჰქონდა ეუთო-ს მიერ აფხაზეთში ეთნოწმენდის დაფიქსირების ფაქტს, მაგრამ, სამწუხაროდ, მას არ მისცემია სერიოზული რეზონანსი, თუნდაც დებატების სახე. "ვარდების რევოლუციის" შემდეგ, გაჩნდა რა სერიოზული მოლოდინი და იმედი იმისა, რომ საქართველოს შეუძლია გააღრმაოს დემოკრატიზაციისა და საბაზრო ეკონომიკის რეფორმები, აშშ-მ საქართველოს თემატიკა და აქ არსებული პრობლემები უფრო მეტად გაითავისა. საქართველო-რუსეთის ურთიერთობები ამერიკა-რუსეთის ორმხრივი დიალოგის ფარგლებში მოხვდა. ეს ტენდენცია გაძლიერდა მას შემდეგ, რაც კოლინ პაუელი საქართველოს ესტუმრა.

რაც შეეხება ევროპას, მას შედარებით ინდიფერენტული დამოკიდებულება ჰქონდა ზემოაღნიშნული საკითხებისადმი და თავად ფაქტი, რომ ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა დღის წესრიგში სვამს საქართველოს პრობლემას, მანიშნებელია იმისა, რომ ევროპამ ახლებურად შეხედა ამ პრობლემას და აღიქვამს უკვე როგორც მისთვის მნიშვნელოვანს. ეს არის სერიოზული გამარჯვება ჩვენი დიპლომატიისა, ჩვენი საგარეოპოლიტიკური კურსისა. ჩვენ შევძელით დაგვერწმუნებინა ევროსაბჭო, დებატები მიეძღვნა საქართველო-რუსეთის ურთიერთობისთვის, რაც კარგ პრეცედენტს შექმნის, რათა სხვა ევროპულმა ორგანიზაციებმა, პირველ რიგში, ევროპის კავშირმა, ევროპის პარლამენტმა ასევე სერიოზული ყურადღება მიაქციონ ამ პრობლემას. ეს კი უკიდურესად მნიშვნელოვანია, რადგან, როგორც გამოცდილებამ აჩვენა, საქართველოს არ გააჩნია საკმარისი საკუთარი პოლიტიკური თუ სხვა რესურსები რუსეთთან ურთიერთობების მოსაწესრიგებლად. რუსეთს კი, ბევრი ფაქტორის გამო, არ სურს საქართველოს მიმართ საკუთარ დამოკიდებულებას რადიკალურად გადახედოს. ამდენად, საჭირო იყო დამატებითი საერთაშორისო დიპლომატიური და პოლიტიკური რესურსის მოზიდვა და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ევროსაბჭოს დაინტერესება არ იქნება ერთჯერადი აქცია, რაც დასაბამს მისცემს ევროპის მიერ საქართველო-რუსეთის ურთიერთობის პრობლემატიკის გათვითცნობიერებას. სწორედ ეს იქნება ის ერთ-ერთი თვალსაჩინო შედეგი, რასაც აღნიშნული დებატები მოიტანს.

რაც შეეხება იმას, თუ რამდენად იმოქმედებს თვით რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებზე ეს აქტი, უნდა ვივარაუდოთ, რომ მყისიერი ეფექტი მას არ ექნება. რუსეთი უეჭველად გაღიზიანდება, თუნდაც იმ ფაქტით, რომ უკვე საერთაშორისო დებატების დონეზე იქნება განხილული ჩვენი ურთიერთობები. ამასთან, თავად ევროპის საბჭოს არ გააჩნია რაიმე პასუხისმგებლობის დაკისრების ფუნქცია, ის უფრო სარეკომენდაციო ხასიათს ატარებს და ამდენად, რუსეთისთვის სავალდებულო არ იქნება ამ დებატების დროს გამოთქმული აზრების გათვალისწინება.

საშუალოვადიან პერსპექტივაში ამ დებატებს აუცილებლად ექნება გამოძახილი საქართველო-რუსეთის ურთიერთობების დარეგულირების კუთხით. შესაძლოა, საქართველო-რუსეთის ურთიერთობები განხილული იქნეს "დიდი რვიანის" და რუსეთ-ევროკავშირის საბჭოს ფარგლებში. სასურველი იქნება, ასევე, ეს საკითხი განიხილოს ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭომ და ა.შ. შედეგად კი რუსეთი დაინახავს, რომ მთელი დასავლეთი მოუწოდებს მას, საქართველოსთან ურთიერთობები დაეფუძნოს ჭეშმარიტ, თანაბარ პარტნიორობას, რაც წაადგება ჩვენ ქვეყანასაც და ზოგადად - მთელ რეგიონს, აქედან გამომდინარე - ევროპასაც.

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის საშემოდგომო სესიაზე დებატების დაწყება საქართველო-რუსეთის პრობლემატურ ურთიერთობებში ევროპის გათვითცნობიერებას ნიშნავს, რაც ასევე თვალსაჩინო შედეგი იქნება.

**- გარდა ჩვენთვის აქტუალური საქართველო-რუსეთის ურთიერთობებისა, უმთავრესი თემა მიმდინარე საშემოდგომო სესიაზე ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა და ჩეჩნეთში პოლიტიკური ვითარების, ადამიანის უფლებებისა და ჰუმანიტარული მდგომარეობის საკითხებია. თქვენი აზრით, როგორი იქნება ამ სესიაზე რუსეთისადმი ევროპის დამოკიდებულება?**

- დიდი ხანია, რაც ჩეჩნეთის საკითხი ყურადღების ცენტრშია და რუსეთის კრიტიკა გაისმის, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ კრიტიკას სიმწვავე აკლდა, იმ გაგებით, რომ არ იყო საკმარისი პრობლემის მოგვარებისთვის პოლიტიკური მეთოდების პრიმატში რუსეთის დასარწმუნებლად. კრიტიკა შემცირდა 11 სექტემბრის მოვლენების შემდეგ, როცა რუსეთმა სცადა ჩეჩნეთის საკითხი საერთაშორისო ტერორიზმის ჭრილში მოექცია და იგი გლობალურ საფრთხედ გამოეცხადებინა. რუსეთის ტერიტორიაზე განხორციელებული ტერაქტების შემდეგ კი, ჩეჩნეთთან ბრძოლას რუსეთი სწორედ თავისი არგუმენტებისთვის იყენებს. შესაძლოა, ჩეჩნეთში არიან კიდეც ტერორისტები, მაგრამ არ შეიძლება მთელი ხალხი იყოს ტერორისტი. თუ საქართველოსთან პარალელს გავავლებთ, ვგულისხმობ სეპარატისტულ რეგიონებს, დავინახავთ, რომ ჩეჩნებს რუსები სეპარატისტებად კი არ განიხილავენ, მათ პირდაპირ უწოდებენ ტერორისტებს და დანარჩენ მსოფლიოსაც მოუწოდებენ, ანალოგიურად დაინახონ ეს ხალხი. რაც შეეხება საპარლამენტო ასამბლეაზე ევროსაბჭოს განცხადებებს, უნდა ვისურვოთ, რომ ევროპა ამჯერად უფრო მკაფიოდ შეაფასებს რუსეთის პოლიტიკას ჩეჩნეთში, რადგან აშკარად გასამიჯნია ერთმანეთისაგან ტერორისტების წინააღმდეგ ბრძოლა და რუსეთის პოლიტიკა ჩეჩენი ხალხის მიმართ. რუსეთი თავს იმართლებს - რომ ჩატარდა რეფერენდუმი, ხალხმა გამოხატა თავისი ნება და აირჩია რუსეთის პოლიტიკა. თუმცა, იმისათვის, რათა გავიგოთ, რამდენად ობიექტურია ის სურათი, რომლის წარმოჩენასაც რუსეთი დიდი გულმოდგინებით ცდილობს, საჭიროა უკეთ გარკვევა, რაშიც, ვფიქრობ, ადამიანის უფლებების, ჰუმანიტარული მდგომარეობისა და პოლიტიკის კომიტეტის მიერ მომზადებული მოხსენებები დაეხმარება ევროპარლამენტს. და რადგან ადამიანის უფლებების დაცვის კომიტეტის მიერ მომზადებული მოხსენება რეზოლუციასაც ითვალისწინებს, უნდა ვივარაუდოთ, რომ შეფასებები მკაცრი იქნება.

თუმცა, ვფიქრობ, ამ სესიის შემდეგ რუსეთი თავის პოლიტიკას რადიკალურად მაინც ვერ შეცვლის, თუნდაც ქვეყანაში პუტინის რეიტინგის კიდევ უფრო დაცემის ალბათობის გამო. მაგრამ ყველაფრის მიუხედავად, ის რომ ჩეჩნეთის საკითხი ასე ხმამაღლა, პირველად იქნება საერთაშორისო დონეზე განხილული, გარკვეულ შედეგებამდე მიიყვანს როგორც რუსეთს, ისე ჩეჩნეთს.

# რუსეთი ღელავს

პირველი გვერდიდან

კოსაჩევისვე განცხადებით, ტერორიზმთან დაკავშირებით რეზოლუციის პროექტის განხილვისას, სესიაზე ორი ხედვა დაფიქსირდა. რუსეთის დელეგაციის ხედვით, ჩეჩნეთიდან მომავალი ტერორიზმის საფრთხე საერთაშორისო ხასიათისაა და არა - ლოკალური; რაც შეეხება მეორე ხედვას, კერძოდ, ლორდ ჯადისა და რუდოლფ ბინდინგის მიდგომას, უმთავრესი მაინც დემოკრატიული პრინციპებია, ხოლო ტერორიზმთან ბრძოლა მეორეხარისხოვანია. რუსეთის დელეგაციას, ცხადია, არც ის ფაქტი მოეწონა, როცა ჯადისა და ბინდინგის ინიციატივით, გარკვეული შესწორებები იქნა მიღებული რეზოლუციის პროექტში. ტექსტიდან ამოღებულ იქნა იმ პირთა წინააღმდეგ გარკვეული ღონისძიებების გატარება, ვინც პოლიტიკური, ფინანსური, მატერიალური და საინფორმაციო საშუალებებით მხარს უჭერენ ტერორისტთა ქმედებებს. რუსეთის დელეგაციის ხელმძღვანელის გუშინდელ განცხადებაში აშკარად გაისმა გაღიზიანება. **"დისკუსიების დროს ბინდინგმა და ჯადმა ზოგიერთი ქმედება, რომელიც ტერორიზმის ჭრილში განიხილება, დამოუკიდებლობისთვის ბრძოლად შეაფასეს,"** - აღნიშნა კოსაჩევმა. მანამდე კი, როცა წყდებოდა საკითხი, თუ რომელი დელეგაციისთვის მიენდოთ ტერორიზმთან დაკავშირებით რეზოლუციის პროექტის მომზადება, ევროსაბჭოს კულუარებში ეჭვქვეშაც კი დააყენეს პროექტის ობიექტურობა. ამგვარი სკეპტიკური დამოკიდებულება კი, რუსეთში ბოლო დროს გახშირებული ტერაქტების ფონზე, რუსეთის დელეგაციის მხრიდან სავარაუდო რადიკალური მეთოდების მოთხოვნის ალბათობამ გამოიწვია, ყოველ შემთხვევაში, ასეთია რუსული მედიის შეფასებები.

უშუალოდ ჩეჩნეთთან დაკავშირებით მომზადებულია სამი მოხსენება. ჩეჩნეთში არსებულ პოლიტიკურ ვითარებაზე მოხსენება მომზადებულია პოლიტიკურ საკითხთა კომიტეტის წარმომადგენლის ანდრეას გროსის მიერ, სადაც ნათქვამია, რომ ჩეჩნეთის რესპუბლიკაში არსებული პოლიტიკური ვითარება რუსეთის ფედერაციის ხელისუფლებისგან ყურადღებასა და ევროპის საბჭოსაგან მხარდაჭერას თანაბრად მოითხოვს. ჩეჩნეთში ჰუმანური და დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბებას ხელს უშლის სამართლის ნორმების არარსებობა, ხოლო დემოკრატიული ინსტიტუტები მანამდე იქნება მყიფე, ვიდრე ხალხს შიშსა და სიღარიბეში, ორგანიზებული დანაშაულის აღმავლობისა და ყოველდღიური ტერორის პირობებში უწევს ცხოვრება. საპარლამენტო ასამბლეა გმობს ჩეჩნეთში არსებულ ძალადობას, ვითარების სტაბილიზებისთვის კი არ არსებობს სხვა ალტერნატივა, გარდა დიალოგისა და მოლაპარაკებების წარმოებისა.

მეორე მოხსენების - ჩეჩნეთში ჰუმანიტარული მდგომარეობის შესახებ - ავტორი, მიგრაციის კომიტეტის წევრი თადეუშ ივინსკია. მოხსენება ეფუძნება ჩრდილოეთ კავკასიაში ვიზიტის შედეგებს. მოხსენების თანახმად, უსაფრთხოება და ჰუმანიტარული ვითარება ჩეჩნეთის რესპუბლიკაში კვლავ არადამაკმაყოფილებელია. თუმცა, ივინსკი დადებითად აფასებს ინგუშეთში ჩეჩნეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა მდგომარეობის მცირეოდენ გაუმჯობესების ფაქტს. თადეუშ ივინსკი მიესალმება ინგუშეთის ხელისუფლების მცდელობებს, რომლის მიზანიც ლტოლვილი მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების ნორმალიზებაა. გარდა ამისა, მოხსენებაში ყურადღება გამახვილებულია საკანონმდებლო მექნიზმების სიმწირეზე, რაც რუსეთის ფედერაციის სხვა ნაწილებში იძულებით გადაადგილებულ ჩეჩენთა მოწყობას ართულებს, კერძოდ, ჩაწერის ბარათის არსებობა მნიშვნელოვან ბარიერებს ქმნის.

სწორედ მესამე მოხსენება - ჩეჩნეთში ადამიანთა უფლებების შესახებ, რომელიც სამართლებრივ საკითხთა და ადამინის უფლებების დაცვის კომიტეტის წევრის რუდოლფ ბინდიგის მიერა მომზადებული, იწვევს რუსეთის გულისწყრომას. მოხსენების თანახმად, ჩეჩნეთში ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით ვითარება კატასტროფულია. მოხსენება მკაცრად გმობს კონფლიქტის ყველა მხარის მიერ ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტებს; არალეგალურ დაჯგუფებათა მიერ ჩადენილ დანაშაულთა პარალელურად, არც ფედერალური და რეგიონული უშიშროების ძალების მიერ განხორციელებულ "სპეციალურ" თუ "მიზანმიმართულ" ოპერაციებს ინდობს. ჩეჩნეთში გაბატონებული დაუსჯელობის სინდრომი მხოლოდ წამახალისებელი ფაქტორი შეიძლება იყოს ადამიანის უფლებების დარღვევის ისედაც მზარდი ტენდენციის პირობებში. და ბოლოს, მოხსენებას თან ერთვის რეზოლუცია და რეკომენდაციები კონკრეტული წინადადებებით, რამაც ჰუმანური კრიზისის დაძლევას უნდა შეუწყოს ხელი.

# შესაძლოა, ქართული წყაროს წყალი საუდის არაბეთსა და იორდანიაშიც მიირთვან

*საქართველო ვერ დაიკვეხნის ეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილურობით, მაგრამ აღსანიშნავია თავისი ბუნებითა და უნიკალური წყაროს წყლებით. ბოლო ხანებში სწორედ ისინი ხდებიან უცხოელების დაინტერესების ობიექტები. შედეგიც სახეზეა, რუსულ-ქართული კომპანია "პროგრესი 2000" საკუთარი პროდუქციის - "რაჭის წყაროების" ბაზარს აფართოებს და უახლოეს პერიოდში ქართული წყაროს წყალი, შესაძლოა, საუდის არაბეთსა და იორდანიაშიც მიირთვან.*

დიანა ჩაჩუა

საერთაშორისო გამოფენებში მიღწეული წარმატებების შემდეგ საგრძნობლად გაიზარდა ინტერესი კომპანია "პროგრესი 2000"-ის პროდუქციის - "რაჭის წყაროების" მიმართ. კომპანიამ 2004 წელს ჯერ მოსკოვში გამართულ საერთაშორისო გამოფენა "წყალი, ეკოლოგია და ტექნოლოგიაზე" მოიპოვა ვერცხლის მედალი, შემდეგ კი გამოფენაზე "მსოფლიოს ეკოლოგიურად სუფთა წყლები" - ოქროს მედალი.

**"უახლოეს პერიოდში იგეგმება წარმოების გაფართოება, რომელიც ამბროლაურის რაიონის სოფელ ხოტევში უნიკალური წყაროს წყლის - ნასხვეტას წყაროს დებიტის მაქსიმალურად გამოყენებას ისახავს მიზნად",** - განაცხადა კომპანიის ფინანსურმა მენეჯერმა აკაკი გაგნიძემ.

რაჭა "ნასხვეტას" მსგავსი წყლებით საკმაოდ მდიდარია, ამიტომ კომპანიის ხელმძღვანელობა იმედოვნებს, რომ ეს კუთხე წყლის ჩამოსხმის ინდუსტრიაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებს. **"ეს კი სერიოზულ შემოსავლებს მოუტანს საქართველოს,"** - აცხადებენ ისინი.

"რაჭის წყაროების" ძირითადი მომხმარებელი ქვეყნები რუსეთი, აზერბაიჯანი და უკრაინა არიან.

აკაკი გაგნიძის ცნობით, კი სულ ახლახან გაფორმდა ხელშეკრულება იორდანიასთან და საუდის არაბეთთან, რომლის თანახმადაც, კომპანიამ მათთვის წყლის მიწოდება უნდა უზრუნველყოს. რაც შეეხება სამომავლო თანამშრომლობებს, მიმდინარეობს მოლაპარაკებები შუა აზიის ქვეყნებთან და გერმანიასთან. საქართველოს მასშტაბით კი წყაროს წყალ "ნასხვეტას" იყენებენ ისეთი კომპანიები, როგორიცაა: "ბრითიშ პერტოლიუმი", "პეტროფაკი", სასტუმრო "მარიოტი", უცხური საფინანსო და ბიზნეს ორგანიზაციები, ბანკები და სახელმწიფო სტრუქტურები.

როგორც კომპანიის ფინანსურმა მენეჯერმა განაცხადა, ამჟამად ქარხანაში ახალი იტალიური ტექნოლოგიის ჩამოსასხმელი საამქროა დამონტაჟებული, რომელიც ყოველგვარი კონსერვანტების და ხელოვნური დამუშავების გარეშე წყლის ბუნებრივი თვისებების შენარჩუნებას უზრუნველყოფს. **"თუმცა, რუსეთიდან მეორე ასეთი ჩამომსხმელი ხაზის ჩამოტანა და საწარმოს სიმძლავრის გაფართოება საქართველო-რუსეთს შორის საზღვრის ჩაკეტვის გამო ფერხდება,"** - დაამატა გაგნიძემ.

კომპანია "რაჭის წყაროების" ხელმძღვანელობა დიდ იმედებს ამყარებს სამომავლო გეგმებზე და აცხადებს, რომ ანალოგიური საწარმოების აგება და ახალი საინვესტიციო პროექტების განხორციელება საქართველოს ამ კუთხეს მოსახლეობის დაცლისაგან გადაარჩენს. გაზაფხულზე კი "რაჭის წყაროების" წარმოების გასაცნობად სოფელ ხოტევს ქვეყნის პრემიერი და ეკონომიკის მინისტრი ეწვევიან.

# მთავრობა საგადასახადო კოდექსს "გადახედავს"

*ქართველმა პარლამენტარებმა საქართველოს მთავრობას გუშინ საგადასახადო კოდექსთან დაკავშირებული შენიშვნების პაკეტი გააცნეს და, მიუხედავად იმისა, რომ კახა ბენდუქიძემ შენიშვნების უმეტესობას პოპულისტური უწოდა, უკვე ცნობილია, რომ, მინიმუმ, ოთხ მნიშვნელოვან საკითხთან და მთელ რიგ ტექნიკურ მომენტებთან დაკავშირებით მთავრობამ საკუთარ პოზიციას გადახედა.*

თამარ ივანიძე

გუშინდელი ოთხსაათიანი შეხვედრის შესახებ მისი მონაწილეები ჟურნალისტებთან საუბარში მხოლოდ ზოგადი ფრაზებით შემოიფარგლნენ. თუმცა, როგორც "24 საათისთვის" გახდა ცნობლი, გადაწყვეტილება მიღებულია რამდენიმე პრინციპულ საკითხთან დაკავშირებით, კერძოდ:

გუშინ საბოლოოდ გადაწყდა, რომ მთავრობა პრესასთან მიმართებაში უპრეცედენტოდ ლიბერალური იქნება. კერძოდ, პრესას დარჩება დღემდე არსებული შეღავათები, ამასთან - შეპირებისამებრ, საბაჟო გადასახადისგან გათავისუფლდება ქაღალდის იმპორტი და სარეკლამო მომსახურება გათავისუფლდება დღგ-სგან.

მიღებულია გადაწყვეტილება სადავო თახების ამოღების წესთან დაკავშირებითაც - კერძოდ, გადაწყდა, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებამდე საგადასახადო სამსახურებს შეუნარჩუნდებათ ფირმის ანგარიშების დაყადაღების უფლება, თუმცა თანხის ჩამოჭრის უფლება ჩამოერთმევათ.

შენარჩუნდება შეღავათები კერძო საპენსიო ფონდების შექმნის ხელშეწყობასთან დაკავშირებით, რაც ახალი სპეციალური კანონით დარეგულირდება.

ჯერჯერობით არ არის განსაზღვრული ქონების და ავტომანქანების გადასახადის გადახდის მექანიზმები, თუმცა გადაწყვეტილია, რომ არსებული მუხლი 100 კვადრატული მეტრის ზემოთ საცხოვრებელი ბინების დაბეგვრის შესახებ ძველი ფორმულირებით არ შენარჩუნდება.

ამ და სხვა ცვლილებების შესახებ დეტალურად მას შემდეგ გახდება ცნობილი, რაც საქართველოს ფინანსთა მინისტრი საქართველოში დაბრუნდება და მთავრობა პარლამენტში საგადასახადო კოდექსის შესწორებულ ვარიანტს შეიტანს.

# რკინიგზაში მოლარეებს კონკურსის წესით შეარჩევენ

*"საქართველოს რკინიგზის" გენერალური დირექტორი დავით ონოფრიშვილი გათავისუფლებული მოლარეების სამსახურში აღდგენას არ აპირებს. უფრო მეტიც, მოლარეების შესარჩევად კონკურსიც გამოცხადდა. გუშინ კი "საქართველოს რკინიგზის" შენობის წინ სამსახურდაკარგული მოლარეები სამსახურიდან დათხოვნას აპროტესტებდნენ და "საქართველოს რკინიგზის" გენერალურ დირექტორთან შეხვედრას ითხოვდნენ. ონოფრიშვილი საქმეში პროკურატურის ჩართვას მოითხოვს.*

სოფო თბილელი

ბოლო ორი კვირის განმავლობაში საქართველოს რკინიგზის ცენტრალური სადგურის 47 მოლარიდან 27 სამსახურიდან დაითხოვეს. "საქართველოს რკინიგზის" გენერალური დირექტორის დავით ონოფრიშვილის განცხადებით, მოლარეთა გარკვეული ნაწილი მგზავრებს ბილეთების შეძენის დროს პრობლემებს უქმნიდა. მისივე განცხადებით, მოლარეებს, რომლებმაც აღიარეს, რომ ქრთამს აძლევდნენ ხელმძღვანელობას, სამსახურში აღარ აღადგენს. **"ეს ხალხი თვითონ აცხადებს, რომ ზემდგომებს ქრთამს უხდიდნენ, მე მათ უკან დაბრუნებას აღარ ვაპირებ",** - განაცხადა დავით ონოფრიშვილმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე.

მოლარეები გათავისუფლებას აპროტესტებენ. მათი გაღიზიანება გადაზიდვების სამსახურის უფროსის გია მაისაშვილის განცხადებამ - რკინიგზაში კორუფციასთან ბრძოლა მოლარეების გათავისუფლებით დაიწყოო - გამოიწვია. თავის მხრივ, მოლარეები მაისაშვილს ადანაშაულებენ კორუფციაში და აცხადებენ, რომ წინასწარი "სტავკის" სახით ისინი ყოველთვიურად 100-150 ლარს უხდიდნენ ზემდგომებს.

ონოფრიშვილი პროკურატურას იმ პირთა საქმიანობის შესწავლას სთხოვს, რომლებსაც მოლარეები ქრთამის აღებაში ადანაშაულებენ. მან დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის პროკურორს მიმართა, რომ აღნიშნული საქმეები თავის ზედამხედველობის ქვეშ აიყვანოს და დროულად გამოიძიოს, კონკრეტულად ვინ იღებდა ქრთამს. ონოფრიშვილი არავისთვის ხელის დაფარებას არ აპირებს. **"შესაბამის ზომებს გამოძიების შემდეგ მივიღებთ. ვიდრე გამოძიება დასრულდება, გია მაისაშვილის მოვალეობას სხვა შეასრულებს და ეს გაგრძელდება მანამ, ვიდრე პროკურატურიდან დასკვნებს არ მივიღებთ",** - განაცხადა დავით ონოფრიშვილმა. ამასთან, ონოფრიშვილის განმარტებით, გათავისუფლებული და სამსახურში დროებით დარჩენილი მოლარეები მეტ-ნაკლებად ჩართულნი იყვნენ კორუფციულ საქმიანობაში, ამიტომ ის მათ აღდგენას არ აპირებს.

მეორე საკითხი, რაზეც საქართველოს რკინიგზის" გენერალურმა დირექტორმა პრესკონფერენციაზე ყურადღება გაამახვილა, რკინიგზის ელექტროტექნიკურ მდგომარეობას ეხება. ონოფრიშვილის განცხადებით, შპს "საქართველოს რკინიგზის" ენერგეტიკული სამსახურის მართვა, შესაძლოა, საკონსულტაციო კომპანია "მაკროენერჯი ჯგუფს" გადაეცეს, რომელმაც "საქართველოს რკინიგზის" დაკვეთით ჩაატარა რკინიგზის ენერგეტიკული სამსახურის მუშაობის ანალიზი და რკინიგზის მიერ ელექტრომომარაგებისათვის გაწეული დანახარჯების ოპტიმიზაციის პროექტი შეადგინა. ონოფრიშვილის თქმით, აღნიშნული საკითხი კომპანიის დირექტორთა საბჭოს წევრებთან და სახელმწიფოსთან კონსულტაციების შემდეგ გადაწყდება. შეგახსენებთ, რომ თვენახევრის წინ "მაკროენერჯისა" და "საქართველოს რკინიგზას" შორის ენერგეტიკული სისტემის შესწავლის მიზნით გაფორმდა ხელშეკრულება. კომპანია "მაკროენერჯის" მიერ საქართველოს რკინიგზის ენერგეტიკული სისტემის ერთთვიანი შემოწმების შედეგად აღმოჩნდა, რომ ენერგეტიკის ხარჯვის 30 პროცენტი (ანუ 4-5 მილიარდი) არამიზნობრივად იხარჯებოდა. ტექნიკური დანაკარგი, ძირითადად, "საქართველოს რკინიგზის" ქვესადგურებიდან კერძო მომხმარებლებისათვის ელექტროენერგიის მიწოდებით არის გამოწვეული. დიდ ფინანსურ დანაკარგებს რკინიგზა ენერგეტიკულ სამსახურში დასაქმებულთა რაოდენობისა და არაეფექტური მართვის გამოც განიცდის. ონოფრიშვილის განცხადებით, "საქართველოს რკინიგზა" ელექტროენერგიაში ყოველწლიურად დაახლოებით 18 მლნ ლარს იხდის.

# ევრაზიის ფონდმა ხუთი პროექტი დააფინანსა

სამოქალაქო საზოგადოებისა და კერძო სექტორის განვითარებისთვის ამ დღეებში "ევრაზიის" ფონდმა კიდევ 190.171 ამერიკული დოლარი გამოყო. ეს თანხა ხუთ ორგანიზაციაზე განაწილდება, რომელთა ვინაობა გუშინ გახდა ცნობილი.

ტურიზმისა და რეკრეაციის განვითარების ცენტრი, გურიის ახალგაზრდული რესურს ცენტრი, ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი, იურიდიული განათლების სამოქალაქო ცენტრი ALPE და "საფარი", - ეს ის ხუთი ორგანიზაციაა, რომელთა პროექტები და წინადადებები მოწონებულ იქნა ფონდის მიერ.

პროექტი "ენერგეტიკა კორუფციის გარეშე" მიზნად ისახავს ამ სექტორის გამჭვირვალობას და გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში საზოგადოების აქტიურობის გაზრდას.

საქართველოში ტურიზმის განვითარებას ისახავს პროექტი, რომლის ავტორია ტურიზმისა და რეკრეაციის განვითარების ცენტრი. იგი პროექტის ფარგლებში შეაგროვებს და გააანალიზებს ნებისმიერ ინფორმაციას, რომელიც დაკავშირებული იქნება რეკრეაციასთან, კულტურასთან, არქიტექტურასთან და არქეოლოგიასთან და ეკოლოგიასთან დასავლეთ და ჩრდილოეთ საქართველოში. დამუშავებული ინფორმაცია განთავსდება ინტერნეტ ქსელში და ჩაიწერება CDs, რომელიც გავრცელდება ადგილობრივი სამოგზაურო კომპანიების, საელჩოებისა და სახელმწიფო სააგენტოების მიერ.

*24 საათი*

## ორი სიტყვით

**თბილისი.** საცალო ვაჭრობის ქსელში სამომხმარებლო საქონლის რეალიზაციის მაჩვენებლები გაიზარდა. როგორც "პრაიმ-ნიუსს" სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტიდან აცნობეს, 2004 წლის იანვარ-აგვისტოში საცალო ვაჭრობის საწარმოებმა და ამ სფეროში დასაქმებულმა ინდივიდუალურმა მეწარმეებმა 2,3 მილიარდი ლარის სამომხმარებლო საქონლის რეალიზება მოახერხეს, რაც 6,6 პროცენტით მეტია წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით. საცალო სავაჭრო ქსელის საწარმოების ბრუნვის თითქმის მთელი მოცულობა - 99,6 პროცენტი არასახელმწიფო სექტორის საწარმოებზე მოდის. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საბაჟო დეპარტამენტმა სექტემბერში გეგმა 8 მლნ ლარის გადაჭარბებით შეასრულა და ბიუჯეტში შენატანებმა 60 მლნ ლარს მიაღწია. საბაჟო სამსახურების საბიუჯეტო გეგმამ იანვარ-სექტემბერში 403 მლნ ლარი შეადგინა, საბაჟო დეპარტამენტმა კი ბიუჯეტში 427 მლნ ლარის მობილიზება მოახერხა. საბაჟო დეპარტამენტის საზოგადოებასთან და მასმედიასთან ურთიერთობის სამმართველოს ინფორმაციით, 9 თვის გეგმა 24 783 ათასი ლარით არის გადაჭარბებული და ბიუჯეტში გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 145 მლნ ლარით მეტი შევიდა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ეროვნული ვალუტის კურსი არ შეცვლილა და ერთ აშშ დოლართან მიმართებაში 1,82 ლარი შეადგინა თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟის (თბსბ) სამშაბათის ვაჭრობაზე. შიდა სავალუტო ბაზარზე, შუადღის მდგომარეობით - 1 აშშ დოლარის ყიდვა-გაყიდვის კურსები, შესაბამისად, 1,835 და 1,845 ლარს გაუტოლდა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, გაკოტრების პირას მიყვანილი სს "საქრუსენერგო" რუსეთიდან ელექტროენერგიის იმპორტის განხორციელების შესაძლებლობას ეჭვს ქვეშ აყენებს. ამის შესახებ "საქრუსენერგოს" ადვოკატმა დიმიტრი გაბუნიამ სამშაბათს გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა. ადვოკატის განცხადებით, უზენაესმა სასამართლომ 27 სექტემბერს მიღებული გადაწყვეტილებით დააკმაყოფილა ეკონომიკის სამინისტროს ფასების სახელმწიფო ინსპექციის სარჩელი და კომპანიას 3,5 მლნ ლარის გადახდა დააკისრა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** მეწარმეთა გაერთიანების თავმჯდომარე, ეკონომიკის ექსპერტი ბონდო ზარნაძე აცხადებს, რომ ახალი საგადასახადო კოდექსი სრულყოფილებისკენ გადადგმული ნაბიჯია, რადგან მცირდება მთელი რიგი გადასახადები. მაგალითად, დამატებითი ღირებულებისა და სოციალური გადასახადები, უქმდება სამეწარმეო გადასახადი. თუმცა, მისი თქმით, ამ კოდექსით "ეკონომიკური რევოლუცია არ მოხდება". "ახალი საგადასახადო კოდექსი ჯერ კიდევ არ არის ის, რაც ჩვენს ბიზნესს სჭირდება. მართალია, 22 გადასახადიდან დარჩენილია ცხრა, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. დიდ კამათს იწვევს ქონების გადასახადი ფართის დაბეგვრის თვალსაზრისით. "ეს ფაქიზი საქმეა და ნაჩქარევმა გადაწყვეტილებამ შეიძლება სოციალური აფეთქება გამოიწვიოს", - აცხადებს ბონდო ზარნაძე. **მედია-ნიუსი**

## ს/ს "თელასის" განცხადება

**ქ. თბილისის ელექტროგამანაწილებელ ქსელში პროფილაქტიკური სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის გამო ელექტროენერგიის მიწოდება დროებით შეუწყდებათ:**

**7 ოქტომბერს, 10.00-დან 15.00-სთ-მდე:**

**აკაკი წერეთლის გამზირის(ნაწილობრივ), თამარ მეფის გამზირის(ნაწილობრივ), ცოტნე დადიანის(ნაწილობრივ), მარცხენა სანაპიროს, თევდორე მღვდლის, ევდოშვილის, ცაბაძის, დიდუბის, ფოთის, ქუთაისის, ვახუშტი ბაგრატიონის, ჩუბინაშვილის, კაპანაძის, მეუნარგიას, ქურდიანის, ვეშაპურის, ზაზიშვილის, აფხაზეთის, მამრაძის, სარკინეთის, ქინქლაძის, გროზნოს, ჩიტაიას, თეთნულდის, პალიასტომის ქუჩების მაცხოვრებლებს.**

**7 ოქტომბერს, 10.00-დან 18.00-სთ-მდე:**

**ავეჯის კომბინატის დასახლების, მოსკოვის გამზირის(ნაწილობრივ), მოსკოვის გამზირის II და IV კვარტლების, ოცხელის ქუჩის მაცხოვრებლებს.**

# ექსპლოატაციის ტექნიკოსი

კომპანია "ბი-პი ექსპლორეიშენ (კასპიან სი) ლიმიტედ" (საქართველო) (BP Exploration (Caspian Sea) Ltd. Georgia) აცხადებს კონკურსს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის ექპლოატაციის ნაწილში ექსპლოატაციის ტექნიკოსის ვაკანსიის დასაკავებლად.

**მოვალეობები და პასუხისმგებლობები:**

შერჩეული კანდიდატები გაივლიან ოფიციალურ სწავლებას, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის სრულ ამოქმედებამდე, და ორიენტაციის პროგრამის გავლის შემდეგ ჩაირიცხებიან მილსადენის ექსპლოატაციის და ტექმომსახურების ჯგუფში, რომელიც უზრუნველყოფს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის და მისი ობიექტების გამართულ მუშაობას და მექანიკურ მთლიანობას.

ზოგადი მოვალეობები და პასუხისმგებლობები მდგომარეობს შემდეგში (არ შემოიფარგლება რა ამით):

- საექსპლოატაციო ცოდნის დემონსტრირება წინა სამუშაო გამოცდილებიდან და/ან სწავლებიდან
- საექსპლოატაციო ტექმომსახურების პროცედურების ცოდნის დემონსტრირება;
- მილსადენის ტექმომსახურების ყველა საჭირო პროცესის, პროცედურის და ვალდებულების სათანადოდ შესრულება;
- კომპანიის პოლიტიკის წესების დაცვა, ვალდებულებების და მენეჯმენტის სისტემის მოთხოვნების შესრულება;
- "ადამიანთა ჯანმრთელობის, უსაფრთხოების ტექნიკის და გარემოს დაცვის" (HSE) პრინციპებისადმი ერთგულების დემონსტრირება:
- უსაფრთხო და ეფექტური კონტროლის განხორციელება სამუშაო ობიექტზე;
- "მუშაობის ნებართვის" სისტემის და ობიექტის უსაფრთხოების ჟურნალის შევსების ყველა წესის შესრულება;
- HSE-ს და "წარმოების" სფეროებში პროცედურების დაცვის უზრუნველყოფა.
- პროფილაქტიკური მიდგომა პრობლემების მოგვარებისადმი და საპასუხისმგებლო გადაწყვეტილებების მიღებისათვის მზადყოფნა;
- მზადყოფნა მოშორებული ადგილმდებარეობის მქონე ობიექტებზე მუშაობისათვის;
- აუცილებელია ადამიანებთან ურთიერთობის დადებითი უნარის გამოვლენა ობიექტზე მომუშავე პერსონალთან და მილსადენის საოპერაციო ჯგუფის წევრებთან ურთიერთობისას;
- აუცილებელია გუნდური მუშაობის კარგი უნარი;
- სხვადასხვა მოწყობილობის ტექნიკური მახასიათებლების ათვისების უნარის გამოვლენა;
- აქტიური მონაწილეობა მილსადენის / ობიექტების გამართული მუშაობის მართვის პროცესში;
- სამუშაოს დაგეგმვის და დროის განაწილების ჩამოყალიბებული უნარი.

კონკრეტული მოვალეობები განისაზღვრება გამოსაცდელი პერიოდის გასვლის შემდეგ.

**მუშაობის გამოცდილება და განათლება:**

კანდიდატს უნდა გააჩნდეს:

- შესაბამისი საუნივერსიტეტო განათლების დიპლომი ტექნიკური სპეციალობით (ინჟინერი);
- საწარმოო დაწესებულებებში, მაგ., ელექტრო, ხელსაწყოების, მექანიკურ საწარმოებში მუშაობის საკმარისი გამოცდილება;
- ინგლისურ ენაზე ზეპირი და წერითი მეტყველების უნარი და ენის უკეთ შესწავლის სურვილი;
- ავტომანქანის მართვის უფლება (მინიმუმ, "B" კატეგორია);
- კომპიუტერთან მუშაობის უნარ-ჩვევები.

**განაცხადის შემოტანის წესი / დამატებითი ინფორმაცია**

თუ თვლით, რომ გაგაჩნიათ საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი თანამდებობის დასაკავებლად, გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი Curriculum Vitae ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელსაც იქვე მიიღებთ. განაცხადების მიღების საბოლოო ვადაა **2004 წლის 11 ოქტომბერი, ორშაბათი, 18 საათი.**

კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე.

**ყველა მიღებული განაცხადი განიხილება, რაც არ გულისხმობს იმას, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შემოთავაზებას.**

**კადრების განყოფილება**
"ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია"
"ბი-პი საქართველო"
საქართველო, თბილისი, საბურთალოს ქუჩა N38

# ადმინისტრაციისა და ბინათმოწყობის ასისტენტი

კომპანია ირა" ბი-პის მენეჯმენტის ხელმძღვანელობით აცხადებს კონკურსს ადმინისტრაციისა და ბინთმოწყობის ასისტენტის ვაკანსიის დასაკავებლად.

ადმინისტრაციისა და ბინთმოწყობის ასისტენტი იქნება კომპანია ბიპის კონტრაქტორი და იმუშავებს ბიპის ხელმძღვანელობის ქვეშ.

მოვალეობები და პასუხისმგებლობები:

ზოგადი მოვალეობები და პასუხისმგებლობები მდგომარეობს შემდეგში (არ შემოიფარგლება რა ამით):

- ითანამშრომლოს ადმინისტრაციის განყოფილების თანამშრომლებთან რათა დროულად გამოასწოროს და თავიდან აიცილოს ელექტრული, მექანიკური პრობლემები ბიპის ოფისში, ბინებსა და საწყობებში.
- უხელმძღვენელოს სარემონტო და სამშენებლო სამუშაობს, რომლებსაც ბიპი აწარმოებს ოფისში, ბინებსა და საწყობებში
- იხელმძღვანელოს დღიური ინსტრუქტაჟით და მოახსენოს ხელმძღვანელობას ყოველდღიური სამუშაო შედეგები
- ყოველდღიურად აღრიცხოს კომპანიის თანამშრომელ-დამკვეთებისგან შემოსული თხოვნები და მოახსენოს მათი შესრულების ვადები და პროგრესი ხელმძღვანელობას
- დაიცვას ბიპის ჯანდაცვისა და უსაფრთხოების სტანდარტები და თვალყური ადევნოს კონტრაქტორების საქმიანობას, ბიპის ჯანდაცვისა და უსაფრთხოების სტანდარტების შესრულების მიზნით
- უზრუნველყოს ბიპის ოფისში, ბინასა და საწყობებში ბიპის ჯანდაცვის და უსაფრთხოების წესების დაცვა.
- აწარმოოს ზუსტი ჩანაწერები შესრულებულ და შესასრულებელ ყველა სამუშაზე
- დაიცვას ბიპის უსაფრთხოების წესები მანქანის მართვის დროს და მისდიოს ბიპის მიერ დასახულ უსაფრთხოების სტანდარტებს
- შეინახოს ყველა კომუნიკაცია კლიენტებთან და ხელმძღვანელობასთან ბიპის საინფორმაციო სისტემის საშუალებით.

მუშაობის გამოცდილება და განათლება:

კანდიდატს უნდა გააჩნდეს:

- ადმინისტრაციის სფეროში საკმაო ხნის გამოცდილება
- შესაძლებლობა აკონტროლოს და უხელმძღვანელოს ბიპის კონტრაქტორებს, რათა დაცული იყოს კომპანიის ყველა წესი და პროცედურა
- გამოცდილება მექანიკურ, ელექტრულ და სამშენებლო სფეროში
- სასურველია უმაღლესი განათლება
- ინგლისური და რუსული ენის თავისუფალი ფლობა
- მინიმუმ 5 წლის გამოცდილება ადმინისტრაციის სფეროში
- პრიორიტეტი მიენიჭება ადმინისტრაციის/ბინათმოწყობის სფეროშია ნამუშევარ კანდიდატებს
- კომპიუტერთან მუშაობის უნარ-ჩვევები.

კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე.

განაცხადის შემოტანის წესი / დამატებითი ინფორმაცია

თუ თვლით, რომ გაგაჩნიათ საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი თანამდებობის დასაკავებლად, გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი Curriculum Vitae ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელსაც იქვე მიიღებთ. განაცხადების მიღების საბოლოო ვადაა 2004 წლის 11 ოქტომბერი, ორშაბათი, 18 საათი.

ყველა მიღებული განაცხადი განიხილება, რაც არ გულისხმობს იმას, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შემოთავაზებას.

**კადრების განყოფილება**
**ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია"**
**ბი-პი საქართველო"**
**საქართველო, თბილისი, საბურთალოს ქუჩა N38**

# შირაკს ამერიკის სპეცსამსახური უსმენს

### პარიზსა და ვაშინგტონს შორის კვლავ დაძაბულობაა

ამერიკული სპეცსამსახურები რეგულარულად უსმენენ საფრანგეთის პრეზიდენტის ჟაკ შირაკისა და მისი გარემოცვის სატელეფონო საუბრებს. ამის შესახებ მოთხრობილია ახალ წიგნში, რომლის გამოშვებასაც ოთხშაბათს გეგმავენ.

ამერიკელებმა თავიანთი ელექტრონული საქმიანობა ერაყის კრიზისის დაწყებიდან რამდენიმე თვის შემდეგ ირიბად დაადასტურეს, როდესაც საფრანგეთის ერთ-ერთ მაღალჩინოსან სამხედრო პირს განუცხადეს: "პირადი ურთიერთობების გაუმჯობესება ჩვენსა და თქვენს პრეზიდენტებს შორის შეუძლებელია. თქვენ უნდა გესმოდეთ, რომ პრეზიდენტმა ბუშმა ზუსტად იცის, თუ რას ფიქრობს პრეზიდენტი შირაკი მის შესახებ."

ორი ფრანგი ჟურნალისტი, ანრი ვერნე და ტომას კანტალუბი თავიანთ წიგნში - "შირაკი ბუშის წინააღმდეგ: მეორე ომი" - სავარაუდო ჯაშუშობის შესახებ წერენ. ავტორები, რომლებიც წიგნისათვის მასალებს ათობით ამერიკელ და ფრანგ ჩინოვნიკთან საუბრის საშუალებით აგროვებდნენ, არაფერს ამბობენ, თუ კონკრეტულად რას აცხადებს უხეში გამოთქმებით ცნობილი შირაკი ბუშის შესახებ, თუმცა, ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ამერიკის პრეზიდენტი ფრანგ კოლეგას, როგორც წესი, "ვირად" მოიხსენიებს.



*ბუშმა პირდაპირ განუცხადა შირაკს, რომ არ ეთანხმებოდა არც ერთ მოსაზრებას, რასაც იგი ერაყთან დაკავშირებით გამოთქვამდა.*

ელისეის სასახლეში კომენტარზე უარი განაცხადეს, თუმცა ერთმა მაღალჩინოსანმა სამხედრო ოფიცერმა თქვა, რომ უჩვეულო არაფერია ვარაუდში, რომ დაუცველი სატელეფონო ხაზები უცხოური დაზვერვითი სამსახურების თვალყურის ქვეშ იმყოფება. პრეზიდენტ შირაკს კი "მანიაკალურად უყვარს მობილური ტელეფონებითა და დაუცველი სატელეფონო ხაზებით სარგებლობა".

ფრანგმა ჩინოვნიკებმა ასევე გაიხსენეს ურთიერთჯაშუშობის საყოველთაოდ ცნობილი ფაქტი, რომელსაც ნიუ იორკში გაერო-ს შტაბ-ბინაში ჰქონდა ადგილი. წიგნში აღნიშნულია, რომ ერაყის საკითხთან დაკავშირებით გაეროს უშიშროების საბჭოს სესიებისათვის მზადების პერიოდში ფრანგები გერმანული მისიის უსაფრთხო შენობაში იკრიბებოდნენ, რომელიც ერთადერთი ადგილი გახლდათ, სადაც მოსასმენი აპარატები არ იყო დამონტაჟებული. 1990-იან წლებში მადლენ ოლბრაიტმა, რომელიც იმ პერიოდში გაერო-ში აშშ-ს ელჩად მუშაობდა, გაერო-ში საფრანგეთის ელჩი გააფრთხილა, რომ ვაშინგტონი მის საუბრებს ისმენდა.

ვაშინგტონსა და პარიზს შორის მტრულმა დამოკიდებულებამ კულმინაციას მაშინ მიაღწია, როდესაც შირაკმა ერაყში ომის თავიდან აცილების მიზნით გაერო-ში თავისი ვეტოს უფლების გამოყენების შესახებ გააკეთა განცხადება. ბუში და მისი თანაშემწეები ყველანაირი გზით ცდილობდნენ, რომ ომის დაწყებაზე ფრანგების თანხმობა მოეპოვებინათ. უნდა აღინიშნოს, რომ წიგნის ავტორები, ამ მხრივ, ფრანგულ მხარეს არ ამართლებენ, რადგან მათი თქმით, პრეზიდენტი ჟაკ შირაკი და საგარეო საქმეთა მინისტრი დომინიკ დე ვილპენი თავიანთი ძალაუფლებისა და გავლენის გრძნობით იყვნენ ანგაჟირებულნი.

ავტორები ასკვნიან, რომ პარიზსა და ვაშინგტონს შორის ურთიერთობების გაფუჭებას უფრო სერიოზული ხასიათი აქვს, ვიდრე ჩანს და ეს მრავალი წლის მანძილზე გაგრძელდება.

ივნისის ბოლოს ამერიკელებმა ფრანგებისაგან გარკვეულ დათმობაზე წასვლა მოითხოვეს, რათა ყოფილი პრეზიდენტის, ვალერი ჟისკარ დესტენისათვის რეიგანის დაკრძალვაზე დასწრების უფლება მიეცათ. დათმობა კი მდგომარეობდა იმაში, რომ შირაკი ჯორჯიას შტატში გამართულ "დიდი რვიანის" სამიტზე ბუშთან და სხვა ლიდერებთან ერთად ჰალსტუხის გარეშე უნდა ყოფილიყო. პრეზიდენტი წავიდა ამ დათმობაზე და შეხვედრაზე უჰალსტუხოდ და საყელოგახსნილი პერანგით გამოცხადდა.

ერაყში შეჭრის შემდეგ თეთრი სახლი რამდენიმე კვირის მანძილზე პარიზიდან სატელეფონო ზარების მიღებაზე უარს აცხადებდა. თუმცა, ყველაზე მკვეთრი დაპირისპირება ბუშსა და შირაკს შორის ერთი წლის წინ, გაერო-ში შეხვედრისას დაფიქსირდა. ბუშმა პირდაპირ განუცხადა შირაკს, რომ არ ეთანხმებოდა არც ერთ მოსაზრებას, რასაც იგი ერაყთან დაკავშირებით გამოთქვამდა. საპასუხოდ კი შირაკმა თეთრი სახლის ხელმძღვანელს აღუთქვა, რომ ამ თემას რამდენიმე წლის შემდეგ კვლავ დაუბრუნდებოდნენ.

როგორც ჩანს, პარიზისა და ვაშინგტონის დაპირისპირებას, ჯერჯერობით, დასრულების პირი არ უჩანს, ყოველ შემთხვევაში მანამ, ვიდრე ამერიკაში საპრეზიდენტო არჩევნები გაიმართება. თუ პრეზიდენტის სავარძელს ჯონ კერი მოირგებს, შესაძლოა, ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების დათმობაზეც იყოს საუბარი. ჯორჯ ბუშის გამარჯვების შემთხვევაში კი ეს დაპირისპირება, სულ მცირე, კიდევ ოთხი წლით შეიძლება გაგრძელდეს.


## გერმანული აკადემიური გაცვლის სამსახური (DAAD) და ფონდი „ღია საზოგადოება საქართველო" (OSI)

### სტიპენდიები საქართველოსთვის 2005/2006 სასწავლო წლისათვის

**გერმანული აკადემიური გაცვლის სამსახური (DAAD) და ფონდი „ღია საზოგადოება საქართველო" (OSI) უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებულებს და ახალგაზრდა მეცნიერებათა კანდიდატებს სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებიდან სთავაზობენ სტიპენდიების ერთობლივ პროგრამას გერმანიის უნივერსიტეტებში სასწავლებლად და ხარისხის მოსაპოვებლად.**

**მიზანი:**

**DAAD-სა და OSI-ს ერთობლივი პროგრამა მიზნად ისახავს სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების მდგომარეობის გაუმჯობესებას სასწავლო და კვლევით სექტორში და აგრეთვე გერმანელ და ადგილობრივ მეცნიერებს შორის კონტაქტების დამყარებას მომავალში საერთაშორისო თანამშრომლობის დამოუკიდებლად განვითარების მიზნით.**

**მიზნობრივი ჯგუფი:**

- **მინიმუმ ოთხწლიანი (ბაკალავრის) დიპლომის მქონე კურდამთავრებულნი**
- **მაგისტრის ან 5-წლიანი დიპლომის მქონე კურდამთავრებულნი**
- **ახალგაზრდა მეცნიერებათა კანდიდატები**

**სპეციალობები:**

პოლიტოლოგია, სოციოლოგია, საერთაშორისო ურთიერთობები, სამართალი, ეკონომიკა, სახელმწიფო მართვა, განათლების მართვა, საზოგადოებრივი ჯანდაცვა და ფილოსოფია.

**სტიპენდიის სახეობა:**

- კვალიფიკაციის ასამაღლებელი სამაგისტრო კურსები გერმანიაში (2 წელი)
- სამეცნიერო ხარისხის მოპოვება გერმანიაში (3 წელი)
- მეცნიერებათა კანდიდატების სამეცნიერო სტაჟირება გერმანიაში (2-ჯერ 3 თვე მომდევნო ორი წლის განმავლობაში)

**ენის ცოდნა:**

კონკურსის მონაწილეთაგან მათი სასწავლო თუ კვლევითი გეგმიდან გამომდინარე მოითხოვება გერმანული ან ინგლისური ენის ცოდნის სხვადასხვა დონე. გათვალისწინებულია ენის კურსები გერმანული ენის ცოდნის გასაუმჯობესებლად. გერმანული ენის ცოდნის დონის დასადგენად 2004 წლის დეკემბერში ჩატარდება ტესტირება.

**ინფორმაცია და კონსულტაციები:**

ინფორმაცია პროგრამის, აგრეთვე კონკურსის პირობებისა და შესარჩევი პროცესის შესახებ შეგიძლიათ მიიღოთ DAAD-სა და OSI-ს რეგიონალურ წარმომადგენლობებში. **განაცხადების ჩაბარება შესაძლებელია 2004 წლის 12 დეკემბრამდე DAAD-სა და OSI-ს რეგიონალურ წარმომადგენლობებში.**

**DAAD-ს თბილისის საინფორმაციო ცენტრი ბარბარა ვატენდორფი**
**ზანდუკელის ქ. 16, 0108 თბილისი**
**ტელ/ფაქსი: 92 09 26, ელ-ფოსტა: info@daad.org.ge**
**ფონდი „ღია საზოგადოება საქართველო"**
საერთაშორისო განათლების საკონსტულტაციო ცენტრი. გიორგი გიგიბერია
ჭოველიძის ქ. 10, 0108 თბილისი
ტელ: 25 04 63, ფაქსი: 29 10 52, ელ-ფოსტა: gaga@osgf.ge



## საზოგადოებრივი კავშირების პროგრამა:
## ქართველი მეწარმეების და პროფესიონალების სტაჟირება აშშ-ში

აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის განათლებისა და კულტურის საკითხთა ბიურო (ECA), აშშ-ს საელჩო საქართველოში და ამერიკული არამომგებიანი ორგანიზაცია პროექტი ჰარმონია გთავაზობთ საზოგადოებრივი კავშირების პროგრამაში მონაწილეობის მიღებას. საზოგადოებრივი კავშირების პროგრამა ითვალისწინებს ქართველი მეწარმეებისა და პროფესიონალების აშშ-ში 3-5 კვირიან სტაჟირებას. პროგრამის მიზანია მონაწილეებს გააცნოს ამერიკის ბიზნეს და პროფესიული გარემო, ხელი შეუწყოს საზოგადოებრივ და კერძო სექტორებს შორის პარტნიორული ურთიერთობების ჩამოყალიბებას და კავშირების დამყარებას აშშ-სა და საქართველოს რეგიონებს შორის. აშშ-ს მთავრობა თავის თავზე იღებს ყველა ხარჯს, როგორიცაა მგზავრობის ღირებულება, დაზღვევა, პროფესიული და კულტურული პროგრამები, საცხოვრებელი ადგილი და კვება აშშ-ში. პროგრამის მონაწილეები იცხოვრებენ ამერიკელ მასპინძელ ოჯახებში. 2004 წლის შემოდგომაზე შეირჩევა ოთხი ჯგუფი, რომლებიც სტაჟირებას აშშ-ში 2005 წელს გაივლიან:

**ბიზნეს ჯგუფები:**

- **თბილისის ბიზნეს (10 კაციანი) ჯგუფი**
- **ქვეყნის მასშტაბით ბიზნეს (10 კაციანი) ჯგუფი**
- **ქვეყნის მასშტაბით ბიზნეს (10 კაციანი) ჯგუფი**

საზოგადოებრივი კავშირების ბიზნეს პროგრამა ქართველ მეწარმეებს აშშ-ში ინდივიდუალური სტაჟირებით უზრუნველყოფს და თავის კოლეგებთან მუშაობის საშუალებას აძლევს. საზოგადოებრივი კავშირების ბიზნეს პროგრამაში მონაწილეობისათვის უნდა აკმაყოფილებდეთ შემდეგ პირობებს:

- იყოთ საქართველოს მოქალაქე
- მონაწილეობა არ გქონდეთ მიღებული მწვანე ბარათის გათამაშებაში
- ცხოვრობდეთ და მუშაობდეთ საქართველოში
- თავისუფლად ფლობდეთ სასაუბრო და პროფესიულ ინგლისურ ენას
- ბიზნესში საპასუხისმგებლო, მმართველობით თანამდებობაზე მუშაობდეთ (კომპანიის გადაწყვეტილების მიღების პროცესში უნდა იღებდეთ აქტიურ მონაწილეობას)
- შეავსოთ ანკეტა (აპლიკაცია) წერილობით და ჩააბაროთ იგი **29 ოქტომბრამდე** პროექტ ჰარმონიის ოფისში
- მიიღოთ მონაწილეობა პროექტ ჰარმონიის წარმომადგენლების მიერ დანიშულ გასაუბრებაში.

**პროფესიული ჯგუფი:**

- **ტურიზმის და დასვენების (10 კაციანი) ჯგუფი**

საზოგადოებრივი კავშირების პროფესიული პროგრამა ქართველ პროფესიონალებს და დარგის წარმომადგენლებს აშშ-ში ჯგუფური სტაჟირებით უზრუნველყოფს და თავის კოლეგებთან მუშაობის და გამოცდილების გაზიარების საშუალებას აძლევს. საზოგადოებრივი კავშირების პროფესიულ პროგრამაში მონაწილეობისათვის უნდა აკმაყოფილებდეთ შემდეგ პირობებს:

- იყოთ საქართველოს მოქალაქე
- ცხოვრობდეთ და მუშაობდეთ საქართველოში
- იყოთ ტურიზმის სფეროში მომუშავე სპეციალისტი (რეგიონის ტურიზმის და კურორტების განყოფილების ხელმძღვანელი, სასტუმროს / კურორტის / სანახაობების მენეჯერი და ტურისტული სააგენტოს ხელმძღვანელი)
- აპირებდეთ მომავალი 10 წლის განმავლობაში თქვენს სფეროში მუშაობას
- შეავსოთ ანკეტა (აპლიკაცია) წერილობით და ჩააბაროთ იგი **24 ნოემბრამდე** პროექტ ჰარმონიის ოფისში
- მიიღოთ მონაწილეობა პროექტ ჰარმონიის წარმომადგენლების მიერ დანიშულ გასაუბრებაში
- ინგლისური ენის ცოდნა სავალდებულო არ არის.

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით შემდეგ მისამართზე:
**პროექტი ჰარმონია.** თბილისი, ვ. ანჯაფარიძის ქ.N7, II სადარბაზო, II სართული (ფიქრის გორა)
ტელ: (8 22) 223847; 250071 ფაქსი: (8 22) 227941 ელ.ფოსტა: ccgeorgia@projectharmony.ge
ბიზნეს და პროფესიული ანკეტების აღება შესაძლებელია ორგანიზაციის ოფისში, ასევე შესაძლებელია მათი ჩამოტვირთვა საზოგადოებრივი კავშირების ვებგვერდიდან: www.projectharmony.ge/cc.htm


# რუსეთის სპეცსამსახურები ირწმუნებიან, რომ მასხადოვს უახლოეს მომავალში შეიპყრობენ



*მასხადოვის ძებნა ერთდროულად რამდენიმე მიმართულებით მიმდინარეობს.*

ჩეჩნეთში, ნოჟაი-იურტის რაიონში გრძელდება სპეცოპერაცია სახელწოდებით "შურისძიება", რომელიც ასლან მასხადოვისა და მისი დაცვის უფროსის ახმედ ავდორხანოვის დაჯგუფების ბლოკირებისა და დაკავებისაკენ არის მიმართული.

ჩეჩნეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის რუსლან ალხანოვის განცხადებით, ბოევიკების დანაკარგებმა უკვე 30 ადამიანს მიაღწია. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ მასხადოვის ძებნა ერთდროულად რამდენიმე მიმართულებით მიმდინარეობს. "ჩვენ კვლავინდებურად ვფიქრობთ, რომ მოცემულ რეგიონში მისი ყოფნის შესაძლებლობა საკმაოდ დიდია. რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს, რომ არ მოწმდება ოპერატიული ცნობები მასხადოვისა და ბანდფორმირებების სხვა მეთაურების შესახებ," - აცხადებს ალხანოვი.

უშიშროების ფედერალური სამსახურის სამმართველოს უფროსის იური როჟინის თქმით, მასხადოვი ცოტა ხნის წინ კურჩალოს რაიონში იმყოფებოდა, სადაც სპეცოპერაციის შედეგად მისი შესაძლო კუთვნილი ნივთები აღმოაჩინეს. თუმცა, ჩეჩნეთის ძალოვან სტრუქტურებში საუბრობენ იმაზეც, რომ მასხადოვი უკვე დაკავებულია. ამის შესახებ ოფიციალური განცხადების გაკეთებას კი გუშინ ჩეჩნეთის ახალი პრეზიდენტის ალუ ალხანოვის ინაუგურაციაზე ვარაუდობდნენ. როგორც ადრე იტყობინებოდნენ, იჩქერიის პრეზიდენტის დაპატიმრების ცნობა დღესასწაულისათვის ძალზე კარგი საჩუქარი იქნებოდა.

თუმცა, როჟინი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მასხადოვის დაპატიმრების შესახებ გავრცელებული ხმები სიმართლეს არ შეესაბამება და ყოვლად უსაფუძვლოა. სპეცდანიშნულების ბატალიონის "ვოსტოკის" მეთაური სულიმ იამადაევი, რომელიც სპეცოპერაცია "ვოსტოკში" მონაწილეობს, აცხადებს, რომ მასხადოვი ჯერ კიდევ ნოჟაი-იურტის რაიონის მთებშია ბლოკირებული. მისივე თქმით, თანხა (10 მილიონი დოლარი), რომელიც მასხადოვისა და ბასაევის ადგილსამყოფელის შესახებ ინფორმაციისათვის არის დაწესებული, საკმაოდ დიდი სტიმულია თავად ბოევიკებისათვის, რომელთა რიგებშიც, სავარაუდოდ, ყველაფერი რიგზე არ უნდა იყოს.

ჩეჩნეთის მთავრობის თავმჯდომარის პირველი მოადგილე რამზან კადიროვი ირწმუნება, რომ მასხადოვი ჯერ არავის შეუპყრია, მაგრამ არ გამორიცხავს, რომ ეს უახლოეს მომავალში მოხდება.

ჯერჯერობით, ერთადერთი უტყუარი ინფორმაცია დაღესტანში მასხადოვთან დაახლოებული პირების დაკავებას უკავშირდება. ხასავიურტის რაიონში ერთობლივი ოპერაციის შედეგად ორი ჩეჩენი ბოევიკი დააკავეს. ერთ-ერთი მათგანი გუდერმესის რაიონის "ამირა" სალმან ტემირბურატოვი გახლავთ, რომელიც მასხადოვის უახლოესი გარემოცვის წევრია. ყიზლარის ქუჩაზე მდებარე სახლში აღმოაჩინეს მისი სამალავიც, სადაც საკმაო რაოდენობის იარაღი და ისლამისტური ლიტერატურა ინახებოდა. თუმცა, ამოღებულ ნივთებს შორის ყველაზე დიდი მონაპოვარი მისი "არასაბრძოლო" ნაწილი გახლავთ: მდიდარი ვიდეოარქივი, რომელშიც იპოვეს მიმდინარე წლის აპრილით დათარიღებული ფირი, სადაც ტემირბულატოვი მასხადოვთან ერთად არის აღბეჭდილი.

მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე ძალოვანებს ეჭვი აღარ ეპარებათ, რომ მასხადოვი და მისი დაცვის უფროსი ავდორხანოვი ნამდვილად ნოჟაი-იურტის რაიონში იმყოფებიან, რომელიც სპეცდანიშნულების რაზმების მიერ უკვე ბლოკირებულია. ამდენად, როგორც ჩეჩენი, ისე ფედერალური სამართალდამცავები დარწმუნებულნი არიან, რომ მათი დაკავება უახლოეს მომავალში მოხდება.

## ორი სიტყვით

**ჩეხეთი.** გუშინ ნატო-ს გენერალურმა მდივანმა იაპ დე ჰუპ სხეფერმა ჩეხეთსა და დასავლური სამხედრო ალიანსის სხვა ქვეყნებს მოუწოდა, "არ დაივიწყონ" თავდაცვაზე მიმდინარე ხარჯები. "ჩეხეთის რესპუბლიკასა და რიგ სხვა ქვეყნებში შეიმჩნევა თავდაცვის შესახებ გულმავიწყობის ტენდენცია," - განაცხადა ნატო-ს გენერალურმა მდივანმა ჩეხეთის პრემიერ-მინისტრთან სტანისლავ გროსთან შეხვედრის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე. "თქვენ ვერ განახორციელებთ საკუთარი შეიარაღებული ძალების სტრუქტურულ გარდაქმნას შესაბამისი დაფინანსების გარეშე, ხოლო ნატო, თავის მხრივ, ვერ შეძლებს აუცილებელი ოპერაციების ჩატარებას, თუკი თავდაცვის ბიუჯეტები შეიკვეცება," - აღნიშნა იაპ დე ჰუპ სხეფერმა. **იტარ-ტასი**

■ ■ ■

**ირანი.** ირანის ისლამური რესპუბლიკის ყოფილი პრეზიდენტის ალი აქბარ ჰაშემი რაფსანჯანის განცხადებით, ირანს უკვე შეუძლია რაკეტების 2 000 კმ მანძილზე გაშვება. თეირანის რადიოს ცნობებით, სექტემბრის შუა რიცხვებში ირანმა ქვეყნის დასავლეთ ნაწილში სამხედრო სწავლებების დროს გამოსცადა შორი რადიუსის რაკეტების მოქმედება. თუმცა, რომელი ტიპის რაკეტების გამოცდა ჩატარდა, არ დაზუსტებულა. როგორც ცნობილია, ირანი ფლობს საშუალო რადიუსის მანძილზე მოქმედების "შაჰაბ-3" ტიპის რაკეტებს, რომლებიც სამამულო წარმოებისაა. აღნიშნულ რაკეტებს შეუძლია, დარტყმა მიაყენოს ისრაელის ტერიტორიასა და სპარსეთის ყურეში დისლოცირებულ აშშ-ს სამხედრო ბაზებს. **იტარ-ტასი**

■ ■ ■

**აშშ.** თავდაცვის მდივანმა დონალდ რამსფელდმა აღიარა, რომ არ იცის არავითარი მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა საერთაშორისო ტერორისტული ქსელის "ალ ქაიდასა" და ერაყის ყოფილი დიქტატორის სადამ ჰუსეინის კავშირს. მან განაცხადა, რომ ბაღდადსა და "ალ ქაიდას" შორის ურთიერთკავშირის შეფასებისას იგი მხოლოდ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მიერ მიწოდებულ ინფორმაციას ეყრდნობოდა. **იტარ-ტასი**

# საპორტო ქალაქის პრობლემები

*გარდა ეკლესიისა და თეატრალური სამყაროს წარმომადგენლებს შორის არსებული დაპირისპირებისა, რომელიც ფოთში ერთი შენობის გამო წარმოიშვა, სამეგრელო-ზემო სვანეთის ახალდანიშნულ რწმუნებულს ქვეყნის უმნიშვნელოვანესი საპორტო ქალაქის კიდევ ბევრ საკითხზე მოუწევს ფიქრი. ელექტროენერგიითა და წყლით მომარაგება, ეკოლოგიური ხასიათის პრობლემები ფოთის მოსახლეობის წინაშე ისევ მწვავედ დგას.*

მაკა ჭაიანი

დღეს ფოთს ენერგომომარაგების სათადარიგო წყაროც კი არ გააჩნია. ერთადერთი მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზი, "ჭალადიდი", მის გარდა, სენაკის, ხობის რაიონების სოფლებს, გურიის რეგიონის დიდ ნაწილს ემსახურება და ნებისმიერ მომმარაგებელთან წარმოქმნილი პრობლემების შემთხვევაში, მთლიანად ითიშება. ზარალდება ფოთიც, თანაც ორმაგად: მიუხედავად იმისა, რომ ქალაქის ბიუჯეტი ენერგობაზარს წყალსადენზე დახარჯული ელექტროენერგიის საფასურად ყოველწლიურად მილიონ ლარზე მეტს უხდის, გათიშვები ხშირია. ეს ამ ზღვისპირა ქალაქის წყლით მომარაგების სფეროში არსებული პრობლემის ერთ-ერთი მიზეზიცაა.

სხვა პრობლემა ის არის, რომ სენაკის რაიონის სოფელ ნოსირში მდებარე 50 კმ-იანი წყალსადენის სათავე ნაგებობაში, რომელიც სენაკისა და ხობის სოფლებს ამარაგებს, ბევრი მოსახლე თვითნებურად, ტექნიკური პირობებისა და ნორმების ყოველგვარი დაცვის გარეშეა ჩართული, რაც წყლის ხარჯვას მნიშვნელოვნად ზრდის და წყალსადენის ექსპლუატაციას ართულებს. ფოთს წყალი გრაფიკით, არცთუ იშვიათად, ხანგრძლივი წყვეტით მიეწოდება და მოსახლეობა იძულებულია, ალტერნატიული გზები ეძებოს. არცთუ იშვიათად, ეს გზა საკარმიდამო ნაკვეთში ამოჭრილ ჭამდე მიდის, საიდანაც ამოღებული წყალი სასმელად უვარგისია. არადა, მისი მოხმარება დღეს ფოთის სინამდვილეში უკონტროლოდ ხდება.

რაც შეეხება ეკოლოგიურ პრობლემებს. ბოლო 25 წლის განმავლობაში მდინარე კაპარჭინამ მალთაყვის საკურორტო ზოლში ახალი კალაპოტი გაიკეთა და 20 ჰექტარი ხმელეთი შავ ზღვასა და ფოთი-ბათუმის საავტომობილო გზას შორის მთლიანად წარეცხა. 300 ჰექტარი მიწა წარეცხა ზღვამ 1993 წლიდან მოყოლებული დღემდე, მას შემდეგ, რაც მდინარე რიონს კალაპოტი შეუცვალეს. მისი დამანგრეველი მოქმედება ახლაც გრძელდება. რთული ვითარებაა მალთაყვაში ტყე-პარკისა და ზღვისპირა პლაჟის ზოლს შორის. დღეს იგი დაჭაობებულია და ანტისანიტარიის, კოღოების ინკუბაციის კერას წარმოადგენს.

ფოთის მერის ვახტანგ ალანიას განცხადებით, ენერგეტიკის სამინისტროსთან უკვე მიღწეულია შეთანხმება მენჯი-ფოთის სრულიად დამოუკიდებელი ენერგომომარაგების გადამცემი ხაზის გაშვების თაობაზე, რომლის ექსპლუატაციაში შესვლა საშუალებას მისცემს ქალაქს, თავად განსაზღვროს საჭირო ელექტროენერგიის რაოდენობა და მართოს მის მოხმარებასთან დაკავშირებული პროცესები. ფოთისთვის დამოუკიდებელი ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა 800.000 ლარი ეღირება და ქალაქის ბიუჯეტი მას მუნიციპალური განვითარების ფონდთან ერთად დააფინანსებს. **"სანამ ეს გაკეთდება, ჩვენი თხოვნით, ენერგეტიკის სამინისტრო წელს, ნოემბრის ბოლოსთვის დაამთავრებს ფოთამდე სათადარიგო ელექტროგადამცემი ხაზის, "ყორათის" აღდგენას. ამაზე ქალაქი 100.000 ლარზე მეტს ხარჯავს. სამაგიეროდ, საშუალება გვექნება შევარბილოთ ელექტრომომარაგების პრობლემა უკვე 2004-2005 წლების ზამთრის პერიოდში,** - ამბობს ვახტანგ ალანია, - **ყველაფერი ეს შეგვაძლებინებს, მოვხსნათ სოციალური დაძაბულობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი."**

ელექტროენერგიის მომხმარებელთაგან განსხვავებით, წყლის მომხმარებელთა გამრიცხველიანების საკითხი ფოთის დღის წესრიგში ჯერ არ დგას. ამ კუთხით ვითარების გამოსწორების პირობას კი ქალაქის ხელმძღვანელობა ასევე იძლევა. საუბარია მარტვილის რაიონიდან ფოთამდე წყლის თვითდინებით მიყვანაზე. 11 მილიონ ლარად შეფასებული ამ პროექტის მთავარი ხიბლი ის არის, რომ მისი განხორციელება მთლიანად გამორიცხავს წყალმომარაგების ელექტრომომარაგებაზე დამოკიდებულებას. პროექტი გულისხმობს ასევე ხუთი სამარგო კოშკის აგებას, რითაც მაღალსართულიანი სახლების წყალმომარაგების პრობლემაც უნდა მოგვარდეს. ფოთის მერიაში იმედოვნებენ, რომ უკვე 2006 წლისთვის, როცა სამუშაოები დასრულდება, არა მარტო ქალაქისა და მარტვილის რაიონის სოფლები იქნება წყლით უზრუნველყოფილი, წყლის ტარიფიც გაიაფდება. მშენებლობის დაწყება, შესაბამისი ტენდერის ჩატარების შემდეგ, მუნიციპალური განვითარების ფონდისა და ქალაქის ბიუჯეტის დაფინანსებითაა დაგეგმილი.

**"ეკოლოგიური თვალსაზრისით პრობლემა ბევრია,** - აცხადებს ვახტანგ ალანია, - **ქალაქი იტბორება. არხები გასაწმენდია, ჩვენ ჯერ მხოლოდ 25 პროცენტის გაწმენდა შევძელით. მართალია, ოთხი სატუმბი სადგური ავამუშავეთ, მაგრამ კიდევ ორის ამუშავებაა საჭირო. დატბორვის წინააღმდეგ ბრძოლა პირველი რიგის ამოცანაა, რადგან ინგრევა სახლების საძირკვლები, გახშირებულია სოკოვანი დაავადებები. მნიშვნელოვანი სამელიორაციო სამუშაოები ჩატარდება მალთაყვაში ტყე-პარკისა და ზღვისპირა პლაჟის ზოლს შორის. ეს სამუშაოები ქალაქის სამხრეთ ნაწილში ზღვის მიმდებარე ზოლში 70 ჰექტარ სარეკრეაციო ტერიტორიას შეგვმატებს. მაქსიმალურად ვცდილობთ, აღვადგინოთ პირვანდელი ლანდშაფტი მალთაყვის ხიდიდან გრიგოლეთამდე და ძირეულად გავაჯანსაღოთ ეს ვრცელი ტერიტორია."**

ნაპირგამაგრების პროექტი ფოთის შესაბამის სამსახურებს მზად აქვთ. აქამდე მისი განუხორციელებლობა უსახსრობას ბრალდებოდა. თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ შარშანდლისგან განსხვავებით, როცა ქალაქის ბიუჯეტი 8,5 მილიონ ლარს გაჭირვებით აღწევდა, წელს მუნიციპალური ხაზინა 16 მილიონ ლარს მოითვლის, ეს საკითხი უნდა გადაწყდეს, ისევე, როგორც სახლების სახურავებისა და გზების საკითხი, რომლის არსებობასაც ფოთელები ზემოთ ჩამოთვლილზე ნაკლებად არ განიცდიან.

# ვეტერანთა დეპარტამენტი აფრთხილებს!

*დღემდე ცნობილი იყო, რომ ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტი 65 ათასამდე ვეტერანსა და მათთან გათანაბრებულ ადამიანს აერთიანებდა. დეპარტამენტის ახალი ხელისუფლება კი აცხადებს, რომ აქედან 25 პროცენტი არავეტერანია, რის გამოც შეიქმნა სპეციალური*

ნინო ბერელიძე

ამ დროისათვის შემოწმდა 85 ვეტერანი, რომლებიც გენერალური პროკურატურის თანამშრომლები არიან, ძირითადად პროკურორები. აქედან მხოლოდ ერთს აღმოაჩნდა გაუყალბებელი ვეტერანის მოწმობა. ორი ადამიანის საქმეზე მიმდინარეობს მოკვლევა. დანარჩენის საბუთები ბათილად ცნეს. ამდენივე რკინიგზელმა გაიარა შემოწმება კომისიაში. ექვსი დადასტურდა, შვიდი შესწავლის პროცესშია. დანარჩენი გაბათილდა. ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტი აფრთხილებს ყველა იმ პიროვნებას, ვისაც კი გაყალბებული საბუთები გააჩნია, 11 ოქტომბრამდე თავისი ნებით წარმოადგინონ მოწმობები, რომელიც გაუქმდება. წინააღმდეგ შემთხვევაში მათზე აღიძვრება სისხლის სამართლის საქმე. ნებით გამოცხადების შემთხვევაში დეპარტამენტი შუამდგომლობას გასწევს სამართალდამცავ ორგანოებთან და მხოლოდ, წლების მანძილზე უკანონოდ მითვისებული თანხის უკან დაბრუნებით შემოიფარგლება.

ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტის თავმჯდომარე ნუგზარ ცაგარეიშვილი:" **უამრავი პრობლემა დაგვხვდა ამ სამსახურში, მათშორის უმთავრესი ვეტერანების ხელოვნურად გაბერილი სიები და გაყალბებული მოწმობებია. მთელი თორმეტი წლის მანძილზე ამ სისტემაში კორუფცია ყვაოდა და ფული იფლანგებოდა. ერთ მაგალითს მოგიყვანთ, ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლი ვეტერანი, დღევანდელი მონაცემებით, 30 ათასია, ისინი კატეგორიების მიხედვით იღებენ პენსიას. უმაღლესი 120 ლარი და მინიმუმი 45 ლარია. მხოლოდ მინიმუმი რომ მივცეთ პენსია ამ ადამიანებს, ერთ თვეში 900 000 - 1 000 000 ლარი გვიჯდება. აღარაფერს ვიტყვი სხვა სახის დახმარებაზე და შეღავათებზე, რაც მათზე ვრცელდება. ეს 30 ათასი ადამიანი კი შემოწმების შემდეგ 18 ათასიღა დარჩება. კატასტროფული მონაცემებია ერთიან საპენსიო ფონდში, იქ ვეტერანთა აღრიცხვიანობა 80 ათას ადამიანს შეადგენს. ბოლოს ვეტერანის ყალბი მოწმობა 600 დოლარი ღირდა. განსაკუთრებულ სირთულეს შს სამინისტროს კადრებთან ვაწყდებით, რადგან მათ სასამართლოების მიერ აქვთ მოწმობები დამოწმებული, მაგრამ მათი მონაცემები არა მარტო მონაცემთა ბაზაში გადამოწმდება, არამედ პირადი გასაუბრებაც ჩატარდება. ყველა ვეტერენმა მხოლოდ ჩვენთან უნდა დაამოწმოს საბუთები. რაც შეეხება პასუხისმგებლობის საქმეს, მკაცრად დაისჯება კორუფციულ გარიგებაში მონაწილე ყველა ადამიანი, ეს იქნება მაღალჩინოსანი თუ რიგითი მოქალაქე."**

ახალი წლის დასაწყისში დაზუსტებული სიებით გაიცემა ვეტერანებზე დახმარებები. დეპარტამენტი ორდენით დაჯილდოებულ ვეტერანებს ფულადი პრემიის მისაღებად იწვევს, პირველი ჯილდოა 2000 ლარი, მეორე - 1000 ლარი და მესამე კატეგორია - 600 ლარი.

# სად იკარგება პრეზიდენტისადმი მიწერილი წერილები?

*საქართველოში სიგარეტის მოწევას უკვე რვა წლის ასაკიდან იწყებენ, მარიხუანას - 11-12 წლიდან, ლოთობას - ცოტა უფრო გვიან. ახლახანს თამბაქოს საწინააღმდეგო ეროვნული ცენტრს მცხეთელებმა დახმარებისთვის მიმართეს - სიგარეტს უკვე 8 წლის ბავშვები ეწევიან და რამე გვიშველეთო. თუმცა, იმის ფონზე, რაც დღეს თბილისის სკოლებში ხდება, სიგარეტის მოწევა პრობლემად აღარ მოგეჩვენება.*

ნანა ქადაგიშვილი

სამწუხარო რეალობაა - მაღალი კლასების მოსწავლეებისთვის მარიხუანა შემოსავლის წყაროდ არის ქცეული, მას მეექვსე-მეშვიდე კლასელებზე ასაღებენ და დილერობასაც აიძულებენ. ლოთობით "დაკავებული" ახალგაზრდების რაოდენობა კი, ქვეყნის მასშტაბით, 600 ათასს აღწევს. ამ ყველაფრის შედეგი ძალზე მძიმეა. ახალშობილებში სიმახინჯეები ყოველ წელს მატულობს, მხოლოდ თამბაქოს მიზეზით კი დღეში 32 ადამიანი კვდება. არადა, თამბაქოს წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებებისთვის წლევანდელი ბიუჯეტიდან მხოლოდ 10 ათასი ლარია გამოყოფილი, თუმცა, ამ მცირედი თანხით გაკეთებული საქმის შედეგიც არსად ჩანს.

ასეთ ფონზე, თამბაქოს საწინააღმდეგო ეროვნული ცენტრის აქტიურობა უკვე სასაცილოდაც კი გვეჩვენება. მათ მოთხოვნებს არც ძველ ხელისუფლებაში აქცევდა ვინმე ყურადღებას და არც ახალი ხელისუფლება ინტერესდება, რისი მიზეზიც ძალზე მარტივი და ყველასთვის ცნობილია - წლევანდელ ბიუჯეტში თამბაქოს რეალიზაციიდან მისაღები შემოსავლის გეგმა 26 მილიონი ლარით განისაზღვრა, როცა შარშან თამბაქოს ინდუსტრიიდან 48 მილიონი ლარი შევიდა. თანაც, ეს 48 მილიონი ზღვაში წვეთი იყო სიგარეტის რეალურ შემოსავალთან შედარებით. ადვილი მისახვედრია, რომ თამბაქოს შემოსავლის დიდი ნაწილი ბნელი გზებით ჩინოვნიკების ჯიბეებისაკენ მიემართება.

თამბაქოს საწინააღმდეგო ცენტრი იმედოვნებს, რომ ეს ყველაფერი პრეზიდენტის ყურამდე ჯერ კიდევ არ მისულა. **"რაც სააკაშვილი პრეზიდენტი გახდა, წერილებს მას მერე ვუგზავნით და მოზარდი თაობის გაჯანსაღების გეგმას ვთავაზობთ, მაგრამ რეაგირება არც ერთ ჩვენ მიმართვას არ მოჰყოლია. როგორც მოგვიანებით გავარკვიეთ, ჩვენს წერილებს სააკაშვილამდე არც კი მიუღწევია. ამას მაშინ მივხვდით, როცა ჩვენ მიერ პრეზიდენტისადმი გაგზავნილი წერილების ასლები თამბაქოს ინდუსტრიის წარმომადგენლების ხელში აღმოჩნდა. ამჯერად მასმედიის საშუალებით მივმართავთ, ჩვენმა თხოვნამ ეგებ ასე მაინც მიაღწიოს მის ყურამდე,"** - აცხადებს ცენტრის ხელმძღვანელი გელა კობეშავიძე. ცენტრის თხოვნა კი ძალზე მარტივია - პრეზიდენტმა ახალგაზრდობის გადარჩენა მოინდომოს. ცენტრი მას წინადადებასაც სთავაზობს. საგადასახადო კოდექსში შევიდეს ცვლილება, რომლის მიხედვითაც სიგარეტის გაზრდილი აქციზიდან მიღებული შემოსავლის 5 პროცენტი ჯანდაცვის პროგრამებს, კონკრეტულად თამბაქოსა და ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლას მოხმარდეს.


ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველო"
OPEN SOCIETY - GEORGIA FOUNDATION
**საერთაშორისო განათლების საკონსულტაციო ცენტრი**
**INTERNATIONAL STUDENT ADVISING CENTER**

## OXFORD COLLEGES HOSPITALITY SCHEME

**აპრილი 2005 - მარტი 2006**

**ოქსფორდის უნივერსიტეტი ღია საზოგადოების ინსტიტუტთან და ბრიტანეთის საბჭოსთან ერთად იწვევს ცენტრალური, აღმოსავლეთ ევროპის და ყოფილი საბჭოთა კავშირის, მათ შორის საქართველოს მოქალაქეებს ოქსფორდის კოლეჯების სამეცნიერო პროექტში მონაწილეობის მისაღებად.**

**პროგრამა გთავაზობთ სტაჟირებას ოქსფორდის უნივერსიტეტის ერთ-ერთ კოლეჯში ერთი თვის ვადით (ძირითადად ზაფხულის პერიოდში).**

**პროგრამის მონაწილეები, როგორც წესი, უნდა იყვნენ უნივერსიტეტის პედაგოგები ან კვლევითი ინსტიტუტების თანამშრომლები 26 წლის ზემოთ, რომელთაც აქვთ საკანდიდატო ან სადოქტორო ხარისხი და სურთ იმუშაონ ოქსფორდის ბიბლიოთეკებში და კონსულტაციები მიიღონ იქაური სპეციალისტებისაგან ოქსფორდის უნივერსიტეტში არსებულ ნებისმიერ დარგში.**

**დამატებითი ინფორმაცია ოქსფორდის უნივერსიტეტის დეპარტამენტებისა და ფაკულტეტების შესახებ შეგიძლიათ შეიტყოთ ოქსფორდის უნივერსიტეტის ვებსაიტზე (http://www.ox.ac.uk/ ) ან ქ. თბილისის საერთაშორისო განათლების საკონსულტაციო ცენტრში ქვემოთ აღნიშნულ მისამართზე.**

**პროგრამაში მონაწილეობის მსურველები კარგად უნდა ფლობდნენ ინგლისურ ენას.**

**პრიორიტეტი მიენიჭებათ მათ, ვინც მუშაობს ისეთ პროექტზე, როგორიცაა წიგნი ან ახალი სალექციო კურსი. აგრეთვე მათ, ვისაც აქამდე არ ჰქონია უცხოეთში ყოფნის და სწავლის საშუალება.**

**ის აპლიკანტები, რომლებიც ორ თვეზე მეტი ხნის ვადით ნამყოფნი არიან ან გეგმავენ გამგზავრებას უცხოეთში 2003 წლის 1 აპრილიდან ოქსფორდში გამგზავრების სავარაუდო თარიღამდე, პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად არ დაიშვებიან.**

**განაცხადის შემოტანის ბოლო ვადაა 2004 წლის 5 ნოემბერი.**

**საგანაცხადო ფორმებისათვის გთხოვთ მოგვმართოთ შემდეგ მისამართზე:**

**ფონდი "ღია საზოგადოება საქართველო"**
**საერთაშორისო განათლების საკონსულტაციო ცენტრი**
**თბილისი, ჭოველიძის 10, ოთახი 102.**
**საკონტაქტო ტელეფონი 25 26 15**

**ჯგუფური კონსულტაციები ჩატარდება ყოველ სამშაბათს და ხუთშაბათს 14:00 საათზე.**





# შავი ფულის გათეთრებაში სახელმწიფო მოხელეებიც იყვნენ ჩართულნი

*სამართალდამცველებმა გუშინ რამდენიმე სადამსჯელო ღონისძიება განახორციელეს. უშიშროების სამინისტროს თანამშრომლებმა ჭიათურაში დააკავეს "ჭიათურმანგანუმის" მმართველი აკაკი გურჯიძე და ყოფილი მმართველი როლანდ გოცაძე. მათ ბრალად ედებათ თანამდებობის ბოროტად გამოყენება და სახელმწიფოსათვის განსაკუთრებით დიდი ოდენობის თანხების დამალვა. თბილისის პროკურატურამ კი, კავშირგაბმულობის მინისტრის ყოფილი პირველი მოადგილე გია კაკუბერი დააკავა.*



ლევან ხერხეულიძის ფოტო

*"გამა ბანკის" კომპიუტერიდან "შავი ბუღალტერია" ამოიღეს.*

თბილისის პროკურორის გიორგი ღვინიაშვილის განცხადებით, კაკუბერს ბრალად ედება სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებით კომპანია "მაგთიკომთან" კაბალური ხელშეკრულების გაფორმება, რის გამოც სახელმწიფო ბიუჯეტმა 2 მილიონი ლარი იზარალა. გარდა ამისა, კავშირგაბმულობის მინისტრის ყოფილ მოადგილეს, რომელსაც "საქართველოს ტელეკომის" მართვა და სახელმწიფო ბიუჯეტში გადასარიცხი თანხების კონტროლი ევალებოდა, ადანაშაულებენ 1999 წელს ბიუჯეტში გადასარიცხი დაახლოებით 1 მილიონი ლარის არამიზნობრივად გახარჯვაში.

გენერალურმა პროკურატურამ კიდევ ერთხელ წამოწია "გამა-ბანკის" საქმე. უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციაზე სისხლის სამართლებრივი დევნის სპეციალური სამსახურის უფროსის ვაჟა ჯანყარაშვილის განცხადებით, "გამა ბანკის" ხელმძღვანელობის წინააღმდეგ აღძრული საქმის ძიებისას შემოწმდა "გამა ბანკის" ხელმძღვანელების - არჩილ და გიორგი ქადაგიშვილების პერსონალური კომპიუტერები, საიდანაც ე.წ. "შავი ბუღალტერია" ამოიღეს.

ვაჟა ჯანყარაშვილის განცხადებით, 2001-2004 წლებში ბანკიდან ქრთამის სახით დიდძალი თანხა გაიცა. **"მექრთამეობაში ჩართულები არიან საგადასახადო სამსახურის, შს სამინისტროს, ეროვნული ბანკის, სასამართლოებისა და სხვა უწყებების თანამშრომლები, რომელთა გვარებიც უახლოეს ხანში დასახელდება"**, - განაცხადა ჯანყარაშვილმა.

**"სხვადასხვა სახელმწიფოს უწყებებში მომუშავე სახელმწიფო ჩინოვნიკებისთვის ქრთამის სახით გადახდილია ასეულ ათასობით აშშ დოლარი, ჩანაწერებში მითითებულია კონკრეტული უწყებები და გვარები,"** - განაცხადა გენერალური პროკურორის მოადგილემ კახა კობერიძემ.

**"ამ ბანკის საქმიანობა ფულის გათეთრების კლასიკური ნიმუშია. სამწუხაროა, რომ ბანკის თანამშრომელთა გარდა, ამ უკანონო ოპერაციებში მონაწილეობდნენ ის უწყებებიც, რომელთაც ევალებოდათ კანონიერების კონტროლი. სამართლო, საგადასახადო უწყებები და, სამწუხაროდ, პროკურატურაც არ გამოიყურება ამ საქმეში ისე, როგორც სახელმწიფოს უწყებების პრესტიჟს და მათ სამსახურებრივ საქმიანობას შეეფერება. ფულის გათეთრებაში მთელი სახელმწიფო მექანიზმი მონაწილეობდა და დღესაც არ არის გამორიცხული ასეთი მონაწილეობა"**, - განაცხადა გენერალური პროკურორის მოადგილემ.

როგორც ცნობილია, "გამა ბანკის" წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე დაახლოებით ორი თვის წინ აღიძრა. საქმე ეხება ბანკის მიერ განხორციელებულ მსხვილ დანაშაულს. საუბარია, უცხოეთის ბანკებიდან "გამა-ბანკში" გადმოქაჩულ ასეულობით ათას დოლარზე, ჭუჭყიან ფულზე, რომელსაც ქართული ბანკი ათეთრებდა.






# ლაგოდეხის საბაჟოს თანამშრომლებს წინასწარი პატიმრობა შეუფარდეს

*თელავის რაიონულმა სასამართლომ რამდენიმე დღის წინ დაკავებულ ლაგოდეხის საბაჟოს თანამშრომლებს წინასწარი სამთვიანი პატიმრობა შეუფარდა. ეკონომიკურ დანაშაულში მხილებული საბაჟოს უფროსის ოჯახის წევრები უმოქმედობას არ აპირებენ და მოსამართლის მიერ გამოტანილ განაჩენს საოლქო სასამართლოში ასაჩივრებენ: "ზევიდან როგორი ბრძანებაც იყო, მოსამართლემაც ისე იმოქმედა", - ასეთია დაკავებულის ოჯახის წევრების მიერ მოსამართლისადმი გამოთქმული პრეტენზია.*

ზვიად რუაძე
*კახეთიდან*

სიუჟეტი რამდენიმე კვირის წინ განვითარდა, როცა ფინანსურ პოლიციასა და ლაგოდეხის საბაჟოს თანამშრომლებს შორის ვითარება დაიძაბა. ფინანსური პოლიცია დაჟინებით ამტკიცებდა, რომ ქვეყნის დანგრევაში წვლილი ლაგოდეხის საბაჟო სამსახურის თანამშრომლებსაც მიუძღოდათ. საფინანსოსა და საბაჟო ხელმძღვანელობას შორის წარმოქმნილმა კონფლიქტმა პიკს რამდენიმე დღის წინ მიაღწია. სასაზღვრო ზოლზე მთავარი ფინანსური პოლიციის მოადგილე მიხეილ ხახმიაშვილი ჩავიდა და მესაზღვრეებს კატეგორიული მოთხოვნები წაუყენა, ამის მიზეზად იგი საწვავის კონტრაბანდული გზით შემოტანას ასახელებდა. **"საზღვარი ბოროტად არ უნდა გამოვიყენოთ, ვინც ამას აკეთებს ის სამშობლოს მოღალატეა"**, - ასეთ კომენტარებს აკეთებდა ხახმიაშვილი.

ამ ფაქტს დღემდე ეჭვით უყურებს საბაჟოს ხელმძღვანელი თემურ ოტიაშვილი, რომლისთვისაც ხახმიაშვილის დაუპატიჟებელი სტუმრობა და პრეტენზიები მიუღებელია. ოტიაშვილის თქმით, აზერბაიჯანში ერთი და იგივე ავტომანქანის გადასვლა კანონსაწინააღმდეგო არ არის, რადგან საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანლებს აზერბაიჯანში გადასვლა ხშირად იმიტომ უწევთ, რომ მათ იქ ოჯახები ჰყავთ და მიმდებარე ტერიტორიაზე ნაკვეთებიც აქვთ: **"ეს მათი რელიგიიდან გამომდინარეა. რაც შეეხება ხახმიაშვილის ბრძანებას, რომ ჩავკეტო საზღვარი და ერთი და იგივე მანქანა კვირაში ერთხელ გავუშვა, ეს მას შემდეგ მოხდება, როცა ოფიციალურად მექნება ზემდგომი ორგანოებიდან ბრძანება. ზეპირი განცხადება კი ოფიციალურ დოკუმენტს არ წარმოადგენს და არც კანონში წერია. რაც შეეხება სამგზავრო მანქანებზე ავზების ხელოვნურად გაზრდას - აბსურდია, ეს ხახმიაშვილმა ლაგოდეხში რომ იყო ჩამოსული, თავადვე ნახა. ფინანსურ პოლიციას კი შევახსენებ, რომ საერთაშორისო სამართალი ითვალისწინებს ნებისმიერი ქვეყნიდან, სავსე ავზებთან ერთად, სხვა ქვეყანაში დამატებით ოცი ლიტრი საწვავის გადატანას. ასე რომ, მათ პრეტენზიებს კანონი არ ითვალისწინებს,"** - ასეთი განცხადება ოტიაშვილმა იმ დროს გააკეთა, როცა ფინანსურმა პოლიციამ და კახეთის გუბერნიამ მათ წინააღმდეგ სერიოზულად გაილაშქრეს.

საბაჟო სამსახურის და ფინანსური პოლიციის საუბრიდან მეორე დღეს ეკონომიკური დანაშაულის წინააღმდეგ მებრძოლმა პოლიციამ გურჯაანი-ლაგოდეხის საგზაო მაგისტრალზე ორი მიკროავტობუსი გააჩერა, მათ მიერ მოძიებული მასალებიდან გაირკვა, რომ საქონელი, რომელიც ამ მანქანაში იდო და სარეალიზაციოდ ლილოს ბაზრობისკენ გაედინებოდა, საქართველოში კონტრაბანდული გზით, ლაგოდეხის საბაჟო გამშვები პუნქტიდან მოხვდა. ამის შემდეგ ფინანსურმა პოლიციამ მასალები მოიკვლია, საქმეში კახეთის სამხარეო პოლიციის კორუფციასთან ბრძოლის სამსახური და რეგიონის პროკურატურაც ჩაერთო და ერთ კვირაში დანაშაულში ეჭვმიტანილებიც დააკავა: სასაზღვრო პუნქტის ცვლის უფროსი დიმიტრი ჯოხაძე, ინსპექტორები - მათე ჯალიაშვილი და შალვა არჯევანიძე. მათ ძალოვნები სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაში ადანაშაულებენ, კერძოდ, ხუთი ათასი ლარის მითვისებაში სდებენ ბრალს.

თელავის რაიონულმა სასამართლომ ამ ბრალდებით ჯოხაძეს, ჯალიაშვილს და არჯევანიძეს წინასწარი სამთვიანი პატიმრობა შეუფარდა. სასამართლო პროცესი სამ საათს გაგრძელდა. ადვოკატებმა მოსამართლის მიერ გამოტანილი განაჩენი საოლქო სასამართლოში გაასაჩივრეს: **"ეს არის უსაფუძვლო ბრალდებები. როგორ შეიძლება ორი მგზავრის საფუძველზე შეკერო საქმე? თანაც იმ მგზავრებზე, რომლებიც ლაგოდეხის საბაჟოდან არ გადმოსულან. ისინი მძღოლმა სოფელ კაბალში აიყვანა. თუ ასეა საქმე, სად არის მგზავრების და იმ ავტობუსის მძღოლის დაკითხვის ოქმი, რომლებიც კაბალამდე მივიდნენ და შემდეგ ტრანსპორტი შეიცვალეს"**? - კითხულობს განსასჯელ დიმიტრი ჯოხაძის ადვოკატი და ისიც, მათე ჯალიაშვილის და შალვა არჯევანიძის დამცველების მსგავსად, ფარხმალის დაყრას არ აპირებს. გარდა ამისა, ადვოკატები ოლქის პროკურორის პროფესიონალიზმსაც ეჭვქვეშ აყენებენ. ამის არგუმენტად მათ მიერ ჩატარებულ ძიებას ასახელებენ.

თელავის სასამართლოს თავმჯდომარე მარიამ ცერცვაძე მიიჩნევს, რომ მან სწორი გადაწყვეტილება მიიღო და პროცესზე კანონიერი განაჩენი გამოიტანა: **"სასამართლოზე ყოველთვის მეორე მხარე რჩება უკმაყოფილო. მაგალითად, რამდენიმე კვირის წინ სპეცოპერაციის დროს დაკავებული ქისტების სასამართლო პროცესიდან გათავისუფლება მოხდა, რადგან მათ მიმართ შეგროვებული მტკიცებულებები უსაფუძვლო აღმოჩნდა. ლაგოდეხის საბაჟოს დაპატიმრებული თანამშრომლების შესახებ სასამართლოს ყველანაირი მტკიცებულება ჰქონდა,"**- ამბობს სასამართლოს თავმჯდომარე.

აღძრული საქმის შესახებ თავის პოზიციას აფიქსირებს ლაგოდეხის საბაჟო სამსახურის უფროსი თემურ ოტიაშვილი. იგი ოლქის პროკურორს უპირისპირდება და აცხადებს, რომ თუ ბოლო წლების განმავლობაში სახელმწიფო ბიუჯეტში მათ სამსახურს თვეში 15 ათასი ლარი შეჰქონდა, ამ დროისთვის ეს ციფრი გასამმაგდა: **"აბსურდია, რა ბრალდებასაც პროკურორი ჩვენს სამსახურს უყენებს... რაც შეეხება ჩემი თანამშრომლების დაკავებას, ალბათ, ეს ვიღაცის ინტერესებში შედიოდა. მე ამის შესახებ მას შემდეგ ვიტყვი, როცა მათ მაგივრად სხვები დაინიშნებიან და თუ რაიმე დარღვევა ნახა ფინანსურმა პოლიციამ, რატომ მაშინვე არ ამხილეს ჩემი თანამშრომლები კორუფციაში? საბაჟოზე ჩვენ გარდა ტვირთს კიდევ რამდენიმე უწყება ამოწმებს, მათ შორის - უშიშროება და თვით ფინანსური პოლიცია"**, - ამბობს ოტიაშვილი.

# აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო აცხადებს აუქციონს

2004 წლის 9 ნოემბერს გასაყიდად გამოტანილი იქნება ქ. ბათუმის მერიის ბალანსზე რიცხული შემდეგი არასაცხოვრებელი ფართები:

| № | ობიექტის დასახელება და მისამართი | დაკავებული ფართი კვ.მ | დაკავებული მიწის ფართი კვ.მ | საწყისი სარეალიზაციო ფასი აშშ დოლარი | ბიჯი აშშ დოლარი | ობიექტის დახასიათება |
|---|---|---|---|---|---|---|
| 55 | მ. აბაშიძის ქ. N18 | 14 | 8,3 წილობრ. | 1560 | 40 | მრავალსართულიანი სახლის სარდაფი |
| 56 | ქუთაისის ქ. N 2 | 123 | 207 წილობრ. | 28550 | 600 | სამსართულიანი კაპიტალური სახლის პირველი სართული |
| 57 | მაზნიაშვილის ქ.N47 | 29,7 | 21,7 წილობრ. | 5760 | 100 | ორსართულიანი კაპიტალური სახლის პირველი სართული |
| 58 | ზ. გამსახურდიას ქ. N 10 | 33,37 | 30.5 წილობრ. | 7587 | 150 | ორსართულიანი კაპიტალური სახლის პირველი სართული |
| 59 | ზ.გამსახურდია-მელაშვილის ქ. N6-10-ში | 326,29 | 222.09 წილობრ. | 72745 | 1500 | სამსართულიანი სახლის პირველი სართული |
| 60 | მ.აბაშიძის-მაზნიაშვილის ქ. N15-6-ში | 94 | 93.98 წილობრ. | 23408 | 500 | ორსართულიანი კაპიტალური სახლის პირველი სართული |
| 61 | მაზნიაშვილის ქ. N12 | 11,36 | 9,57 წილობრ. | 977 | 20 | საცხოვრებელ უბანში მდებარე სარდაფი |
| 62 | კ. გამსახურდიას ქ. N20 | 59,65 | 57,66 წილობრ. | 14863 | 300 | ორსართულიანი კაპიტალური სახლის პირველი სართული |
| 63 | კ. გორგასლის ქ.N3 | 26,36 | 24.69 წილობრ. | 5475 | 100 | ორსართულიანი სახლის პირველ სართულზე |

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განცხადების მიღება მიმდინარეობს ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა 2004 წლის 8 ოქტომბრიდან 2004 წლის 8 ნოემბრის ჩათვლით 9 სთ-დან 18 სთ-მდე (მერიის ეკონომიკური სამმართველოს შენობაში, ოთახი N5. მისამართი: სულხან-საბა ორბელიანის ქ. N7.)

## აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლია:

საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს, რომელთა ქონებაშიც საქართველოს სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია.

## აუქციონში მონაწილეობა, თანხის გადახდის ვადები და ვალდებულებები:

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად გადასახდელი "ბე"-ს სიდიდე უნდა იყოს ქონების საწყისი გასაყიდი ფასის მინიმუმ 10%, ბილეთის შესაძენი ფასი, ფიზიკურ პირთათვის 10 ლარი, ხოლო იურიდიულ პირთათვის 50 ლარი, რომელიც მონაწილის მიერ გადახდილი უნდა იქნას ცენტრალური შემოსულობების სატრანზიტო ანგარიშზე N300121500. მიმღები ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკი, ბანკის კოდი 220101107, სახაზინო კოდი 3000.

მყიდველი ვალდებულია დამტკიცებული აუქციონის შედეგების ოქმის გაფორმებიდან 30 კალენდალური დღის განმავლობაში გადაიხადოს მის მიერ^აუქციონზე დასახელებული ობიექტის საბოლოო გასაყიდი ფასი. წინააღმდეგ შემთხვევაში მას არ მიეცემა საკუთრების უფლება ობიექტზე და "ბე"-ს შენატანი არ დაუბრუნდება. "ბე"-ს შენატანი არ დაუბრუნდება ასევე აუქციონის შედეგების ოქმზე ხელმოწერის უარის მთქმელ გამარჯვებულ მონაწილეს.

თანხის გადახდა ხდება ეროვნულ ვალუტაში, გადახდის მომენტისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის კურსით.

## ინფორმაცია აუქციონის ჩატარების შესახებ

აუქციონი გაიმართება 2004 წლის 4 ნოემბერს, 12 საათზე. მისამართი: ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. N6, ყოფილი მინისტრთა საბჭოს შენობის მეორე სართულზე მდებარე სააქტო დარბაზში.

## აუქციონში მონაწილეობის მისაღებად აუქციონის კომისიას უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი;

ბ) "ბე"-ს შეტანის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი, აუქციონში მონაწილეობის მისაღებად შესაძენი მონაწილის ბილეთის საბანკო ქვითარი;

გ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობა;

დ) ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით;

ე) იურიდიული პირები დამატებით წარადგენენ ნოტარიულად დამოწმებულ სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლს.

## გამარჯვების გამოვლენის კრიტერიუმები:

აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია ყველაზე მაღალი ფასის დასახელება (არანაკლებ საწყისი გასაყიდი ფასისა, ბიჯის გათვალისწინებით).

დამატებითი ინფორმაცია ობიექტის შესახებ შეგიძლიათ მიიღოთ ქ. ბათუმი, სულხან-საბა ორბელიანის ქ. N7, მეორე სართული, ოთახი N5, ტელ. 7-30-28, 7-26-45

გამყიდველი: აჭარის ავტონომიური რეპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.


## უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

ანკეტა

სახელი, გვარი ......................

ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი ......................

საკონტაქტო ტელეფონი ......................

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

# "თქვენი აფხაზეთი"

პროექტის კოორდინატორი თორნიკე ბერიშვილი

თვალსაზრისი

## გაეროს მისია საქართველოში - ინსტრუქციების ტყვეობაში

ცნობილია, რომ გაეროს მისია საქართველოში ასრულებს საჰაერო ფრენებს თბილისსა და სოხუმს შორის, რისთვისაც მას გააჩნია ერთი თვითმფრინავი "ან 24" და რამდენიმე ვერტმფრენი. თვითმფრინავი ბაზირებს თბილისის, ხოლო ვერტმფრენები სოხუმის აეროპორტში.

რამდენიმე წელია კონფლიქტის ზონაში საჰაერო ტრანსპორტით სარგებლობენ გაეროს მისიის მუშაკები, დიპლომატები, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები და ის ხალხი, ვინც ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დარეგულირებაზე მუშაობს.

ბოლო პერიოდში გაეროს მისიამ გაამკაცრა თავისი ინსტრუქციები აღნიშნულ გადაადგილებასთან დაკავშირებით ყველა კატეგორიის მგზავრზე, გარდა *თავიანთი მუშაკებისა*, ამიტომ პრაქტიკულად შეუძლებელი გახდა საჰაერო ტრანსპორტის გამოყენება.

და მაინც, რა პირობებია ზემოაღნიშნულ ინსტრუქციებში:

გაეროს მისიას 7 სამუშაო დღით ადრე უნდა ეცნობოს ამა თუ იმ პირის გამგზავრების შესახებ, რათა დაიჯავშნოს ბილეთი. ამისათვის პიროვნებას უნდა ჰქონდეს საქართველოს სახელმწიფო მინისტრისა და აფხაზეთის (დე ფაქტო) ხელისუფლების უშიშროების სამსახურის წერილობითი ნებართვა, ამასთანავე უნდა შეივსოს სპეციალური ფორმა ინგლისურ ენაზე.

საინტერესოა, როგორ მოახერხებს საქართველოს მოქალაქე საქართველოს სახელმწიფო მინისტრის წერილობითი ნებართვის მოპოვებას, ხოლო აფხაზეთის (დე ფაქტო) მოქალაქე როგორ მიიღებს ასეთ ნებართვას საქართველოს ხელისუფლების მხრიდან. ან რა უნდა გააკეთონ იმ მოქალაქეებმა, რომლებმაც არ იციან ინგლისური ენა და ყოველივე ეს ხდება იმ ფონზე, როდესაც საქართველოს საზღვრები გახსნილია მსოფლიო ქვეყნების მოქალაქეებისათვის 10$-ის საფასურად.

იქმნება შთაბეჭდილება - თითქოს ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ კონტაქტები დაპირისპირებულ მხარეთა შორის გაუარესდეს - უფრო მეტიც, საბოლოოდ მოიშალოს. არადა, საჭიროა, არა ერთი ნაბიჯი იქნას გადადგმული კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების საკითხში, ძირითადად - სახალხო დიპლომატიით, ქართულ-აფხაზური საკოორდინაციო კომისიის მონაწილეობითა და თანადგომით.

ზემოაღნიშნული მიდგომა ესადაგება საქართველოს პრეზიდენტის ბატონ მიხეილ სააკაშვილის განცხადებას გაეროს გენერალური ასამბლეის სხდომაზე იმის შესახებ, რომ დაპირისპირებულ მხარეებს შორის ერთმანეთის ნდობა უნდა აღდგეს. ამაში მნიშვნელოვანი როლი არასამთავრობო ორგანიზაციებმა, სტუდენტებმა, მასწავლებლებმა, ექიმებმა უნდა ითამაშონ.

ამიტომ დაუშვებლად მიგვაჩნია, ჩვენს ქვეყანაში მიეცეს ვინმეს უფლება, ამ შემთხვევაში - გაეროს მისიას, შექმნას საქართველოსა და აფხაზეთს შორის გადაადგილების ხელოვნური ბარიერები. დაინერგოს ისეთი წესები, რომელიც მიუღებელია როგორც ქართული, ისევე აფხაზური მხარეებისთვის.

აქედან გამომდინარე, სრული პასუხისმგებლობით და კატეგორიულობით ვაცხადებთ, დაუყოვნებლივ იქნეს მიღებული ზომები. კერძოდ, შეიქმნას შესაბამისი კომისია, რომელიც შეიმუშავებს ინსტრუქციებს კონფლიქტის ზონაში გადაადგილებასთან დაკავშირებით.

არანაკლებ მნიშვნელოვანია კიდევ ერთი სიახლე გაეროს მისიის მხრიდან. ისინი თვლიან, რომ საკონტაქტო ენა და მიმოწერა უნდა წარმოებდეს მხოლოდ ინგლისურ ენაზე.

მისიის მუშაკებს მიაჩნიათ, რომ არ არის საჭირო ქართული ენის გამოყენება თბილისსა და აფხაზეთში (რუსული ან აფხაზური). ისინი მხოლოდ ინგლისურ ენაზე აწარმოებენ მიმოწერას, რამდენად სწორია ასეთი მიდგომა სახელმწიფო ენების მიმართ, საზოგადოებისთვის მიგვინდია. ყველამ უნდა იცოდეს, ვინ ვართ - სტუმარმაც და მასპინძელმაც, ვის რა გვეკუთვნის და ვის რა პრეტენზიის გამოთქმა შეუძლია.

მიგვაჩნია, საქართველოში აკრედიტებული ნებისმიერი საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც ხელს უწყობს ჩვენი სახელმწიფოს აღორძინებას - უდავოდ მისასალმებელია, მაგრამ საქართველოში არის კონსტიტუცია და კანონმდებლობა, რომელსაც ყველა უნდა დაემორჩილოს და შეუთანხმებელი ქმედებებისაგან თავი შეიკავოს.

***ნატო მაქაძე***
***ქართულ-აფხაზური საკოორდინაციო კომისიის აღმასრულებელი მდივნის თანაშემწე***

ფოსტა

## აფხაზური დიასპორის პასუხი

აფხაზეთის საპრეზიდენტო არჩევნებამდე საქართველოს პრეზიდენტი სააკაშვილი სიტყვით გამოვიდა გაეროს გენერალური ასამბლეის 59-ე სესიაზე. აფხაზეთისა და ოსეთისათვის მან წარმოადგინა სამმხრივი გეგმა - ნდობის აღდგენა, კონფლიქტის ზონაში მშვიდობის დასამყარებლად ძალების ინტერნაციონალიზაცია და ფართო ავტონომია.

ეს წინადადება აფხაზურ დიასპორას მიუღებლად მიაჩნია. ნდობის აღდგენის მექანიზმები ილუზორული და უძლური გამოდგა. ბოლო 10 წლის განმავლობაში აფხაზი ხალხი იზოლაციის პირობებში და სიღარიბეში ცხოვრობს, რაც საქართველოსთან კონფლიქტის შედეგია. ომიანობის სისასტიკე მტრობაში გადაიზარდა. კულტურული ურთიერთობები სხვა არაფერია, თუ არა საერთაშორისო თანამეგობრობის კეთილგანწყობის მოპოვების კოსმეტიკური მცდელობა. სინამდვილეში კი საჭიროა კონკრეტული პროგრამა და პოლიტიკა, რაც მოაგვარებდა მღელვარე აფხაზების პოლიტიკურ, ეკონომიკურ და უსაფრთხოების პრობლემებს.

აფხაზი ხალხისათვის ასევე მიუღებელია ძალების ინტერნაციონალიზაცია, ვინაიდან ჩემს ხალხს გაერო და ეუთო პროქართულ ძალებად მიაჩნია. კერძოდ, თუ ეს პროცესი დაიწყება, მოხდება აფხაზური უშიშროების ძალების განიარაღება და ქართული შეიარაღებული ძალების გაძლიერება აფხაზეთში შეჭრისათვის. აფხაზეთსა და საქართველოს თავად შეეძლებათ უთანხმოების რეგულირება, თუკი სოხუმს ეყოლება შესაბამისი ხელმძღვანელობა.

დაბოლოს, პრეზიდენტი სააკაშვილის მესამე წინადადება ამბიციურია და საბჭოთა პერიოდის ავტონომიას გვაგონებს. ეს არის კომუნისტური კონტროლის მექანიზმის შენარჩუნება, რასაც უარყოფს აფხაზი ხალხიც და აფხაზური დიასპორაც.

როგორც კი აფხაზეთი მიიღებს პოლიტიკური და ეკონომიკური თვითგამორკვევისა და ისეთი უსაფრთხოების გარანტიას, რომელიც მოცემულია "დიასპორის მშვიდობიან გეგმაში" (ასეთი გეგმა აფხაზურმა დიასპორამ შექმნა და საქართველოს მთავრობას გადასცა 2002 წელს), საქართველო თავის ძველ მეზობელთან მშვიდობას მიაღწევს. აფხაზეთთან ხანგრძლივი მშვიდობის მიღწევა შეიძლება, ოღონდ ამისათვის საჭიროა არაერთი მტკივნეული გადაწყვეტილება, კომპრომისი და არა კოსმეტიკური სვლები და საბჭოთა ავტონომიის განახლებული ფორმები.

აფხაზური დიასპორა კომპრომისებისთვის მზადაა. ეროვნული შერიგება დაიწყება იმ შემთხვევაში, თუკი საქართველოს ხელისუფლება აღიარებს აფხაზების უფლებას თვითმმართველობაზე. ამისათვის საქართველომ აფხაზეთს უნდა მიანიჭოს უპრეცედენტო და უნიკალური იურიდიული სტატუსი საქართველოს შემადგენლობაში. აფხაზეთი ოსეთი და აჭარა არ არის, იგი უნიკალურია და მოითხოვს უნიკალურ გადაწყვეტილებებს.

საქართველოს ხელისუფლების ცხოველ ინტერესს წარმოადგენს დიასპორისა და ქართველი დევნილების უფლებები ქვეყნის მშენებლობის პროცესში. ბოლოს და ბოლოს, აფხაზური დიასპორა აერთიანებს მსოფლიოში მცხოვრებ აფხაზთა უმრავლესობას, ქართველი დევნილები კი აფხაზეთს დაბადებით, ნათესაობით უკავშირდებიან. მოდით, მოვიშუშოთ საბჭოთა ცოდვები და გავაერთიანოთ ჩვენი ხალხები. ჩვენ ერთად უნდა შევცვალოთ სოხუმში მიმდინარე არადემოკრატიული პროცესები. შეუძლებელია აფხაზური დიასპორისა და ქართველი დევნილების კოლექტიური ხმის იგნორირება.

საქართველოს ხელისუფლებას აქვს ორი ხალხის დაახლოების უნიკალური შესაძლებლობა. ამისათვის საჭიროა პოლიტიკური სიმამაცე და ხედვა. დარწმუნებული ვარ, რომ აფხაზ ხალხს საქართველოსთან ღირსეული მშვიდობა უნდა, მაგრამ არა მშვიდობა ნებისმიერი საშუალებით. ასევე მჯერა, რომ აფხაზი ხალხი მზად არის იმ პოლიტიკური და ეკონომიკური ცვლილებებისთვის, რომელიც წაადგება აფხაზებსაც და ქართველებსაც. სტაბილურობა, აყვავება და პროგრესი მაგალითი იქნება კავკასიის რთული რეგიონისთვის. მოდით, მტრის ჯინაზე დავიწყოთ ქართულ-აფხაზური აღორძინება. ეს ჩვენს ხელშია.

***დოქტორი ინალ კაზანი,***
***აფხაზური ალიანსის პრეზიდენტი***

## "В Абхазии электричка средство выживания!"

ლელა მარგიანი

*29 სექტემბერს, კინოს სახლში გაიმართა სტუდია "რე"-ს მიერ გადაღებული ფილმის - "აფხაზეთი-კონფლიქტის მხარე" პრემიერა. აფხაზეთში გადაღებული დოკუმენტური ფილმი ქართველი და აფხაზი ჟურნალისტების ერთობლივი პროექტია. პროექტი ბრიტანული არასამთავრობო ორგანიზაციის "შერიგების რესურსების" ძალისხმევითა და ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა. მალე მას აფხაზი მაყურებელიც იხილავს.*



მგზავრობა "ელექტრიჩკით". წინა პლანზე ქართველი ქალბატონი. კადრი ფილმიდან.



სავაჭრო რიგი რუსეთის საზღვართან. კადრი ფილმიდან.

ფილმი იწყება ასე ძალიან მონატრებული აფხაზეთის ხედების ჩვენებით. ჩემ გარშემო დევნილები სხედან. ჩამესმის ჩურჩულით ნათქვამი მათი სიტყვები: "ეს გულრიფშია. აა, მაღაზია რომაა, გასასვლელში. ეს ზარანდიების სახლია (ამ დროს ეკრანზე აჩვენებენ გადამწვარ მაღაზიასა და სახლებს). სოხუმი, ბერიას აგარაკი."

ეკრანზე ჩანს, თუ როგორ ჩაფრინდა გადამღები ჯგუფი სოხუმში, სადაც მათ დახვდათ აფხაზი ჟურნალისტი, რომელიც ფილმის გადაღების მთელი ხნის მანძილზე მათი მეგზურია.

შემდეგ გაერო-ს ოფისი... ომის დროს დანგრეული სასტუმრო თურქ ბიზნესმენებს აღუდგენიათ. სასტუმროს ნომრის აივნიდან მშვენივრად მოჩანს შავი ზღვა, კატარღა, თოლიები და სოხუმის სანაპირო. მუშები თეთრ ფილაქნებს ცვლიან, ლესავენ და ალამაზებენ იქაურობას.

ვათვალიერებთ სოხუმის ქუჩებს. აქაც, როგორც მთელ აფხაზეთში, დაცარიელებული და გადამწვარი, სახურავჩანგრეული სახლები სჭარბობს, თუმცა მცირე მასშტაბის სამშენებლო სამუშაოები მაინც მიმდინარეობს. აფხაზი არქიტექტორი ანზორ აგუმავა აღნიშნავს, რომ სახელმწიფოს ხარჯზე მხოლოდ კოსმეტიკური სამუშაოები მიმდინარეობს, ხოლო კაპიტალურ მშენებლობებს უცხოელი, ძირითადად - თურქი ინვესტორები აწარმოებენ. იმავდროულად, თურქებმა ადგილობრივ მუშებს კვალიფიკაცია დაუწუნეს და მშენებლობებზე თურქეთიდან ჩამოყვანილი მუშები ჩამოიყვანეს.

კადრში ჩანს სოხუმის სანაპირო, ზღვაში შეჭრილი რესტორანი "ამრა", სოხუმის გაუკაცრიელებული პორტი, სადაც ჩემს ბავშვობაში დიდი ხომალდები იდგნენ. ახლა კი მხოლოდ თოლიები დაფრინავენ.

კადრში ჩანს სოხუმი-სოჭის მატარებელი, რომელიც სოჭის სატრანსპორტო კომპანიას ეკუთვნის და რომელიც, საქართველოს მთავრობის პროტესტის მიუხედავად, მაინც მოძრაობს. ჩვენთვისაც კარგად ნაცნობი ჭრელ-ჭრელი თურქული ჩანთებით დატვირთულმა მგზავრებმა დილის ექვს საათზე, სიბნელესა და სიცივეში ძლივს ააღწიეს "ელექტრიჩკაში". ისინი სოჭისკენ მიემგზავრებიან. მათთვის "ელექტრიჩკა" გადარჩენის ერთადერთი საშუალებაა. "В Абхазии электричка средство выживания!", გულახდილად ამბობს ხანშიშესული ქალბატონი. მგზავრების უმეტესობა სავაჭროდ მიდის. გასაყიდად მიაქვთ მიმოზის ტოტები, სხვადასხვა პროდუქტები.

ამასობაში მატარებელი გაგრის სადგურში შევიდა. სადგურის თეთრი, გასული საუკუნის 60-იან წლებში აშენებული საზეიმო შენობა ხელუხლებელია. "კარგადაა!"- მესმის გაგრელი დევნილების კმაყოფილი ხმა.

გადამღები ჯგუფის წევრებმა მატარებლის მგზავრებს შორის ქართველებიც აღმოაჩინეს. ერთ-ერთი ქალბატონი - ლამარა - გუდაუთელი აღმოჩნდა. მისი შვილები და შვილიშვილები თბილისში ცხოვრობენ, თავად მას კი არასდროს მიუტოვებია საკუთარი სახლ-კარი. ქალბატონმა ლამარამ საუბარი ქართულად დაიწყო, მაგრამ შემდეგ მაინც რუსულზე გადავიდა: **"ჩემი ოცნებაა, რომ დამყარდეს მშვიდობა! იმათაც დათმონ და ჩვენც. ვიცხოვროთ ისე, როგორც ადრე ვცხოვრობდით!".**

თორმეტსაათიანი დამქანცველი მგზავრობის შემდეგ მატარებელმა, როგორც იქნა, ჩააღწია ფსოუმდე. "ფსოუ იქაური ერგნეთია!"- ამბობენ დევნილები. ფსოუზე მოწყობილ ბაზრობაზე ყველაფერი იყიდება, 200-300 რუბლის შოვნა შეიძლება ყოველდღე. "Чтобы выжить это единственная прибыль!"-ამბობენ იქაური მოვაჭრეები. ისინი იმასაც აღნიშნავენ, რომ "Вечно жить врагами нельзя! Люди должны жить нормально!".

გადამღებ ჯგუფთან ერთად, გაგრის კლდოვანი სანაპიროს გავლით, სოხუმში "ვბრუნდებით" და იმ ადამიანების გარემოცვაში ვხვდებით, ვისაც, ალბათ, ყველაზე მეტად სჭირდება მშვიდობა, მზიანი და ნათელი დღეები. მორიგი მასპინძელი სოხუმის საბავშვო ბაღი "Солнышко" და მისი ერთ-ერთი აღმზრდელი, ქართველი ლამარა მიმინოშვილია, რომელიც ამ ბაღში ოცი წელია, მუშაობს და არასდროს მიუტოვებია სოხუმი. **"აქ ჩემი სამშობლოა, მე აქ დავიბადე,"** - ამბობს იგი. იქვე იმასაც აღნიშნავს, რომ დაბომბვების შემდეგ საკუთარ სახლში გამოკეტილს, მშიერმწყურვალსა და შეშინებულს, დახმარების ხელი პირველმა სწორედ მისმა აფხაზმა აღზრდილმა გამოუწოდა და დედის ხელით ოცდოლარიანი გამოუგზავნა.

ბაზარში ყოველთვის შეიძლება ბევრი რამის გაგება, ამიტომაც გადამღები ჯგუფი სოხუმის ცენტრალურ ბაზარს ესტუმრა. იქ ძირითადად რუსული და თურქული საქონელი იყიდება. ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, საყოფაცხოვრებო ნივთები, პროდუქტები რუსეთიდან შემოაქვთ, ხილი-საქართველოდან. ქართველი მემწვანილე აღიარებს, რომ **"ვაჭრობა საშუალოდ მიდის, ორი კაპიკი რჩება, მეტი არაფერი."**

გადამღები ჯგუფი ვერც სოხუმელების საყვარელ ადგილს - ყავახანას აუვლიდა გვერდს. სანაპიროზე, ცხელ ქვიშაზე მოდუღებული ყავის გემო, ალბათ, ყველა ნამდვილ სოხუმელს ახსოვს. იქ დილის შვიდი საათიდან დაღამებამდე ყოველთვის ბევრი ხალხია, ათას რამეზე საუბრობენ. შეკითხვაზე - შეიძლება თუ არა დევნილების დაბრუნება, ურთიერთგამომრიცხავი პასუხებია. ზოგი ამბობს, რომ დევნილების დაბრუნება შეუძლებელია: "Это исключено! Они себя плохо повели. Это никогда не получиться". სხვათა აზრით, დევნილები უნდა დაბრუნდნენ, მაგრამ მხოლოდ ისინი, ვისაც არ უბრძოლია: "Кто не воевал, пусть они вернутся!" ერთმა ხანშიშესულმა მამაკაცმა აღნიშნა, რომ მის ქართველ მეზობლებს არ უნდოდათ ომი: "Соседи не хотели воевать! Война пошла с Верху!".

## ხაჯინბა თუ ბაღაფში?!

*აფხაზეთის საპრეზიდენტო არჩევნები უკიდურესად დაიძაბა. როგორც ჩანს, ამომრჩეველთა უმრავლესობამ ოპოზიციის კანდიდატს - ბაღაფშს მისცა ხმა, მაგრამ რუსეთი ტოტალური გაყალბებით ცდილობს პუტინის ფავორიტის, არძინბას კლანის წარმომადგენლის - ხაჯინბას გაყვანას. სოხუმში მიტინგები მიმდინარეობს, სადაც ოპოზიციის შეიარაღებული ხალხი დგას. ვესაუბრებით ექსპერტ პაატა ზაქარეიშვილს.*

ზაზა ფარუაშვილი

პაატა ზაქარეიშვილი: "აფხაზეთში არძინბასადმი უკმაყოფილება თანდათან მატულობდა და ბოლო 3-4 წელია, რაც აგორდა აშკარა ოპოზიციური განწყობა მისი და მისი კლანის მიმართ. შეიქმნა ორგანიზაციები "აიტაირა", "ამცახარა" და 2 წლის წინათ ქუჩის გამოსვლებიც დაიწყო. ეს იყო მიტინგები არძინბას გადადგომის მოთხოვნით. მაშინ მოხდა გარკვეული გარიგება ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის და მთელი ეს ენერგია არჩევნების სამზადისში დაიხარჯა. შემდეგ შეიქმნა ოპოზიციური გაერთიანება "ერთიანი აფხაზეთი", რომლის მიზანი იყო, ბოლო მოეღო არძინბას კლანისათვის. "ამცახარამ" და "ერთიანმა აფხაზეთმა" წამოაყენეს ერთი კანდიდატი - ბაღაფში. მას მიუერთდა ძალიან ავტორიტეტული კანდიდატურა ანქვაბი (რომელიც რეგისტრაციაში არ გაატარეს) თავისი ელექტორატით და ბაღაფშმა შეიძინა ძალიან დიდი ძალა. მისი გავლენა ერთიორად გაიზარდა.

**- რატომ აირჩია ოპოზიციამ ბაღაფში?**

- ან შამბა უნდა ყოფილიყო, ან ბაღაფში. "ამცახარამ", რატომღაც, ბაღაფში არჩია. სხვათა შორის, შეცდომა დაუშვა შამბამ, რომელმაც მაინც წამოაყენა თავისი კანდიდატურა, 9 პროცენტი აიღო და ეს ხმები ბაღაფშს დააკლო.

მთავარი მომენტი მაინც ის არის, რომ აფხაზ ხალხს აღარ უნდა არძინბა. ეს სურვილი იმდენად დიდია, რომ ხალხი მზად არის, რუსეთზე თქვას უარი. ამის დასტურია ბაღაფშისადმი ასეთი დიდი მხარდაჭერა - აფხაზებმა ხმა არ მისცეს პუტინის ფავორიტს. ამით აფხაზებმა უკვე მერამდენედ დაამტკიცეს, რომ ისინი რუსეთის ყურმოჭრილი მონები არ არიან. ისინი აფხაზეთის ღირსებისათვის იბრძვიან.

**- რამდენად მართებულია ინფორმაცია ბაღაფშისადმი დიდი მხარდაჭერის შესახებ?**

- ეს არის ნამდვილი ინფორმაცია. აქტივობა ძალიან დიდი იყო. ოქმების მიხედვით, მარტო ქალაქ გალში 15 ათასი ამომრჩეველი მივიდა უბნებში. მთელ რაიონში, დაახლოებით - 30 ათასი. თითქმის ყველამ ხმა მისცა ბაღაფშს. ტყვარჩელი ხაჯინბას სამშობლოა, მაგრამ ამომრჩეველთა 80-მა პროცენტმა ხმა ბაღაფშს მისცა. ოჩამჩირეში, დაახლოებით, 70 პროცენტი აიღო ბაღაფშმა. გუდაუთაში ბაღაფშს 50-მა პროცენტმა მისცა ხმა.

**- სოხუმში?**

- სოხუმში მოხდა ტოტალური გაყალბება. სიებში ჩასვეს ქვეყნიდან გასული ხალხი, დაახლოებით, 4-5 ათასი ადამიანი. შექმნეს, აგრეთვე, ძალიან ბევრი დამატებითი სია, სადაც, დაახლოებით, 10 ათასი ადამიანი გაატარეს. ეს აფხაზეთისთვის დიდი ციფრებია და სწორედ ამან გამოიწვია გაყალბების მაღალი ხარისხი. ამდენად, ხაჯინბას რეალურად ხმა მისცა ამომრჩეველთა უმნიშვნელო რაოდენობამ.

რუსეთი და ხაჯინბა ამხელა წინააღმდეგობას არ ელოდნენ. ყველაზე უფრო სავარაუდოა, დაინიშნოს მეორე ტური და დაიწყოს ვაჭრობა. დარწმუნებული ვარ, რაღაცას შესთავაზებენ ბაღაფშს, შეეცდებიან "ამცახარას" მოსყიდვას. "ამცახარაში" არიან ისეთები, რომლებსაც აინტერესებთ ბიზნესი, წილები და შეიძლება ამ მეთოდით რუსეთმა წარმატებას მიაღწიოს. რაც შეეხება ბაღაფშს, გამორიცხული არაა, მოსკოვში თანამდებობა შესთავაზონ, ან სულაც შეაშინონ.

**- თუ ხაჯინბა მეორე ტურამდე გაიყვანეს?**

- ეს იქნება ხელისუფლების უზურპაცია. ხაჯინბა არის რუსეთის პოლიტიკის მძევალი, ტიპური "კაგებეშნიკი" და ეს ყველასთვის ცნობილია. ამიტომ რუსეთმა ან დიდი ფული უნდა დახარჯოს და მოისყიდოს მთელი აფხაზეთი, ან ძალა უნდა გამოიყენოს.

ამჟამად სოხუმში ოპოზიციის მხარდამჭერი მიტინგი მიმდინარეობს. "ამცახარას" ხალხი მიტინგზე შეიარაღებული დგას. სხვათა შორის, გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ხაჯინბა მიტინგის დასაშლელად ჯარებს რუსეთიდან შემოიყვანს. ეს ნაკლებად სავარაუდოა, ვინაიდან ძალიან ცუდ შედეგს მოიტანს თავად რუსეთისთვის. როგორც არჩევნებმა აჩვენა, რუსეთის პოლიტიკა აფხაზეთში ისედაც დისკრედიტირებულია და ამ პირობებში ძალის გამოყენება ცეცხლზე ნავთის დასხმა იქნება.

**- რითი არის ბაღაფში ხაჯინბაზე უკეთესი?**

- ბაღაფში კარგი აფხაზია, პატრიოტია. იგი ხანგრძლივი დროის განმავლობაში თბილისში მუშაობდა და იცის, რას ნიშნავს კარგი საქართველო. ცუდ რუსეთსა და კარგ საქართველოს შორის ის კარგ საქართველოს აირჩევს. ხაჯინბასაგან განსხვავებით, მასთან საუბარი შეიძლება.

**Life ნაქირავებ ბინაში**




ჟურნალი Life იძულებულია სხვის მიერ დაკანონებულ თამაშის წესებს დანებდეს.

B3

**პირველი მეტოქე - საფრანგეთის "სოზო"**



B4

**თბილისელი მძღოლის ჩანაწერები**



B7

ნომრის სტუმარი

# გახანგრძლივებული თაფლობის თვე

## ხელისუფლება, მედია, საზოგადოება

A1 გვერდიდან

- საკმარისი დრო არ გასულა იმისთვის, რომ რევოლუციის საერთო მნიშვნელი გამოგვეყვანა და ერთგვარი შეჯამება გაგვეკეთებინა. მაგრამ ფაქტია, რომ ბევრი რაღაც იცვლება, ბევრი საინტერესო რამ ხდება და, ამასთანავე, უამრავი ისეთი საკითხია - პოლიტიკური პლურალიზმიდან დაწყებული, პოლიციის განყოფილებებში წამების ფაქტებით დამთავრებული - სადაც არათუ პროგრესი შეინიშნება, არამედ უკან გადადგმულ ნაბიჯებზეც შეიძლება საუბარი. გაუგონარი შემთხვევაა ისიც, რაც უნივერსიტეტში მოხდა - კორუფციის განსახიერებას მადლობას უხდიან იმისთვის, რაც გააკეთა და ამაზე ხმას არავინ იღებს. ერთი მხრივ, აპოლონ ქარქაშაძე ციხეში ზის და როინ მეტრეველს, რომელსაც ათასჯერ მეტი აქვს ჩადენილი, მადლობას ეუბნებიან. ამას წინათ ტელევიზიით ვუყურებდი პრეზიდენტის ოზურგეთში ვიზიტს, სადაც იმის შესახებ საუბრობდა, თუ როგორ ენერგიულად ებრძვის სახელმწიფო კორუფციას და როგორ იჭერენ ბანდიტებს. კადრი გადიდდა და ვანო ჩხარტიშვილი იდგა მის გვერდით...

**- პოლიტიკა კომპრომისების ხელოვნება არ არის?**

- პოლიტიკაში გარკვეული კომპრომისი უნდა არსებობდეს, კომპრომისი ფასეულობების დასაცავად და მათ ცხოვრებაში გასატარებლად არის საჭირო. მაგრამ ეს კომპრომისები იმდენად ხშირად ხდება, ველარ გაარჩევ, ტაქტიკური უკუსვლებია თუ ჩვევა. მგონია, რომ ხელისუფლება მოქნილი უნდა იყოს, მაგრამ საზოგადოებაში ყოველთვის უნდა არსებობდნენ ადამიანები, რომლებიც ნებისმიერ ასეთ კომპრომისზე ხელისუფლებას პასუხს მოსთხოვენ. ეს აუცილებელია იმისთვის, რომ კომპრომისი მართლაც გამონაკლისი იყოს და არა ჩვევა.

**- რა წერია რევოლუციების დოქტრინებში, როდის დგება შეფასებების დრო, როდის დაეტყობა ხალხს ცვლილებების კვალი?**

- გარღვევები, ჯერჯერობით, ეპიზოდურ ხასიათს ატარებს. სახელმწიფო ბიუროკრატიის 80 პროცენტი ისე აგრძელებს საქმიანობას, თითქოს არაფერი მომხდარა და თითქოს ეს კორუმპირებული ადამიანები რევოლუციის ავანგარდში იდგნენ. ეს იმას ჰგავს, შევარდნაძე კომკავშირში ლამის იმიტომ შევიდა, სსრკ დაეშალა და საქართველო დამოუკიდებელი გამხდარიყოო.

**- თითქოს არასამთავრობოები რეალობასთან ვერ ადაპტირდნენ და წამყვანი პოზიციები დათმეს. დღეს არ ჩანს ძლიერი არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც ხალხს არსებობისთვის ბრძოლაში მარტო არ დატოვებს. საზოგადოების პროტესტი დღეს მხოლოდ შემცირებულების მიტინგებითა და აქციებით გამოიხატება, არა?**

- პირველ რიგში, იმას ვერ ვხედავ, რომ ხალხში დიდი პროტესტის გრძნობა და ხელისუფლებისადმი მძაფრი უკმაყოფილებაა. არასამთავრობოებს რევოლუციამდე ასეთი პოზიციები იმიტომ ჰქონდათ, რომ სოციალური შეკვეთა არსებობდა. დღეს ეს შეკვეთა არ არის, უფრო "ვაცალოთ" განწყობა ჩანს. სიტუაციის გამოსწორებას არა მხოლოდ ხელისუფლების აქტიურობა, არამედ ისიც სჭირდება, რომ მოქალაქეებიც ამ ყველაფრის ბრმად მიმღებნი არ იყვნენ.

**- დემოკრატია საზოგადოებასთან ერთად უნდა ვითარდებოდეს, სხვაგვარად განსხვავება დესტრუქციაში გადაიზრდება. ხომ არ გეჩვენებათ, რომ საზოგადოებამაც და ხელისუფლებამაც დემოკრატიული განვითარება შეაფერხა?**

- "შეფერხდა" არასწორი ტერმინია. დღეს ახალი, აქამდე არარსებული გამოწვევებია და პირველ რიგში ეს მედიას ეხება. რევოლუციის დროს საზოგადოება საკმაოდ მაღალი პოლარიზაციით გამოირჩეოდა და, აქედან გამომდინარე, კერძო მედია, რომელიც ხშირ შემთხვევაში საბაზრო პრინციპებით ხელმძღვანელობდა, საზოგადოებას იმ ინფორმაციას აწვდიდა, რაზეც მოთხოვნილება იყო - ანუ განსხვავებულ აზრს. დღეს, როდესაც უკიდურესი პოლარიზაციიდან თითქმის ერთპარტიულ სისტემაზე გადავედით, როდესაც ერთი პარტია 90 პროცენტს იღებს და მომდევნო 10-ჯერ ნაკლებს, მედიისთვის სერიოზული გამოწვევა პლურალიზმის შენარჩუნებაა, რადგან დღეს ამაზე საზოგადოების მოთხოვნილება არ არის. ეს არ არის ის, რაც გაიყიდება, ეს არ არის ის, რაც დიდ აუდიტორიას მიიზიდავს.

ნებისმიერ კერძო საწარმოს გაფართოებისკენ აქვს მიდრეკილება. მედიაც, როგორც ბიზნესი - ფართოვდება და ისე, რომ ხშირად მედიის სივრციდანაც გადის. ასეთ სიტუაციაში იქმნება იმის საფრთხე, რასაც რუსეთში ოლიგარქიზაციას ეძახიან. გარდა იმისა, რომ ეს ახალი ფორმის კორუფციაში შეიძლება გადაიზარდოს, მთავარი საფრთხე ის არის, რამაც რუსეთის პრესის თავისუფლება დაასამარა. თვითონ მედიის მესაკუთრენი არ სცემენ პატივს სიტყვის თავისუფლებას და ჟურნალისტებს და საკუთარი მიზნებისთვის იყენებენ.

**- ამ ტენდენციებს ჩვენში ხედავთ?**

- ჯერ არა, მაგრამ საშიშროება არსებობს.

**- იმის სასიშროებას ვერ ხედავთ, რომ ხელისუფლება ერთ დროს მისი მოკავშირე მედიის დისკრედიტებას და ჯიბეში ჩასმას მოინდომებს?**

- თავისთავად, ასეთი რამ შესაძლებელია და ბევრგან მომხდარა კიდეც. ეს დამატებით ცდუნებას უჩენს ხელისუფლებას იმისთვის, რომ მედიას შეღავათები შესთავაზოს, მოათვინიეროს და ახალი ამბებიც უფრო დავარცხნილი და ოპტიმისტური იყოს. შეიძლება, ამის შესახებ საუბარი ჯერ ნაადრევია, მაგრამ საფრთხე არსებობს. რუსეთში ეს იმით დამთავრდა, რომ პრესისა და ჟურნალისტის პროფესიის დისკრედიტაცია მოხდა და ასეთი გაყიდული პროფესიის დასაცავად, საჭიროების შემთხვევაში, ათასობით და ათიათასობით დამცველი ქუჩაში აღარ გამოვა. ცენტრალური ევროპის ქვეყნების გამოცდილებაც არსებობს, სადაც საზოგადოებამ და პრესამ ეს გამოცდა წარმატებით ჩააბარა, ჟურნალისტები პროფესიული დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად საკუთარ მესაკუთრეებთან დაპირისპირებასაც არ მოერიდნენ. ასეთ შემთხვევაში ჟურნალისტები და საზოგადოება ერთად დადგება.

ჩვენ შეიძლება რუსულ სცენარს თავი დავაღწიოთ, მაგრამ იმის თქმა, რომ ყველაფერი ისე დამთავრდება, როგორც ევროპაში, რთულია; რადგან ხალხი, ვინც რუსეთში ეს გამოიწვია, დღეს საქართველოში საქმიანობს და, სამწუხაროდ, იგივე შეცდომებს უშვებს. ხელისუფლების და მედიის მესაკუთრეთა ლოგიკა თავისთავად გასაგებია. გაუგებარი რჩება საზოგადოებისა და ჟურნალისტების პასიურობა.

**- რადგან მედიას შევეხეთ - რითია მოტივირებული ხალხი, შექმნას საზოგადოებრივი ტელევიზია? ხალხის ინტერესების გამოხატვა რევოლუციის დროს მშვენივრად შეძლო "რუსთავი 2"-მა, კერძო ტელევიზიამ, რომელსაც არავინ უხდიდა გადასახადს.**

- მედია, განათლების სისტემა, მართლმსაჯულება, კულტურა - ეს ის სფეროებია, სადაც საბაზრო წესები ყოველთვის წარმატებულად არ მოქმედებს.

როდესაც კერძო სტრუქტურას ბაზარი კარნახობდა, ყოფილიყო პოლიტიკური პლურალიზმის გამტარებელი და დამცავი - ამას საკმაოდ წარმატებულად აკეთებდა და თან ისე, რომ წმინდა კომერციული თვალსაზრისით განვითარებულიყო. დღეს, როდესაც საზოგადოებრივი ატმოსფერო იცვლება, მხოლოდ ბაზრის იმედზე ვერ ვიქნებით.

კერძო მედიის შემოსავლების ძირითადი წყარო რეკლამაა. რეკლამის მიმცემი ისეთ გადაცემაში მიდის, რომელსაც ფართო მაყურებელი ჰყავს. თუ ტენდენციას დავაკვირდებით, ვნახავთ, რომ ახალი მედიაპროექტების უმრავლესობა გასართობი ხასიათისაა, რადგან დღეს მეტი მოთხოვნა არ არის. ასეა ყველა ისეთ საზოგადოებაში, სადაც აშკარად ტირანული და აშკარად კორუმპირებული ხელისუფლება არ ჰყავთ.

საზოგადოებრივ მაუწყებლობას კი, ინფორმაციისა და გართობის გარდა, საგანმანათლებლო ფუნქციაც აქვს, რასაც დღეს კერძო მაუწყებლობა არადამაკმაყოფილებლად ასრულებს და ეს ბუნებრივიც არის. ახალი წლიდან მარკეტინგული და სოციალური კვლევის სამსახური IPM საქართველოში დააყენებს სპეციალურ ტექნიკურ აპარატებს, რომლებიც 15 წუთში ერთხელ განსაზღვრავენ, რას უყურებს მაყურებელი ამა თუ იმ დროს. ეს რეკლამის მიმცემს საშუალებას აძლევს, ზუსტად იცოდეს, როდის რას უყურებს მისი მომხმარებელი. იმისთვის, ვინც არ ყიდულობს ამ "სუპერქანჩს" და არ ნებივრობს საჰაერო ლეიბებზე - საინტერესო პროგრამების გასაკეთებლად ფული არ იარსებებს. ამიტომაც ამ ყველაფრის კომპენსირება საზოგადოებრივმა ტელევიზიამ უნდა გასწიოს და არა მხოლოდ ეს ფუნქცია აქვს. საზოგადოებრივი მაუწყებლობა უნდა იყოს ის, რაც ჩვენც დაგვეხმარება საზოგადოებად ჩამოყალიბებაში.

საზოგადოებას ცალმხრივი და დამახინჯებული ინფორმაცია მიეწოდება მაუწყებლობის შესახებ - თითქოს იქმნება რაღაც მონსტრი, რომელიც მოსახლეობის ჯიბეს დააწვება და ა.შ. ეს არის კიდევ ერთი დასტური იმისა, რომ საზოგადოებას ობიექტური ინფორმაციის მიღება სჭირდება.

დაპირისპირებამ, რაც ამ მაუწყებლობის გარშემო გაჩნდა, შეიძლება იქამდე მიგვიყვანოს, რაც რუსეთში მოხდა - კერძო მედიებს შორის ომებმა პუტინის ხელისუფლებას გაუადვილა, ერთიანი ლაგამი ამოედო ყველასთვის.

**- და ამას საზოგადოებრივი ტელევიზია შეებრძოლება? რა რესურსებით?**

- ეს ყველა მიმართულებით პრობლემაა. იმედი მაქვს, რომ ახალ თაობაში შეიძლება ამ რესურსების გამოძებნა.

**- ხელისუფლება დღეს კერძო ტელევიზიებზე ზემოქმედებასაც ცდილობს და რატომ იქნება გამონაკლისი საზოგადოებრივი მაუწყებლობა?**

- ამის დამცავი მექანიზმები, პირველ რიგში, არის პოლიტიკური, მმართველობითი დამოუკიდებლობა. შემოთავაზებული სისტემა ამის გარკვეულ გარანტიას იძლევა. პრეზიდენტი წარმოადგენს კონკურსის გზით შერჩეულ სამ ადამიანს თითო ვაკანსიაზე, საიდანაც ერთს აირჩევს პარლამენტი და შეიქმნება მეურვეთა საბჭო, რომელიც თავის მხრივ ჩაატარებს კონკურსს და დაიქირავებს გენერალურ დირექტორს. ფინანსური დამოუკიდებლობის გარეშე მმართველობითი დამოუკიდებლობა ფიქცია იქნება. ისეთი სქემაა საჭირო, რომელიც გამორიცხავს მაუწყებლობის ბიუჯეტის სახელმწიფო ბიუჯეტთან შეხებას. ჩვენ მიერ მომზადებული წინადადებით, თანხები, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტიდან საზოგადოებრივი მაუწყებლობისთვის გამოიყოფა, გადამხდელისგან პირდაპირ მოხვდება მაუწყებლობის ანგარიშზე. ასეთი გარანტიები არსებობს და ახალს არაფერს ვიგონებთ. საზოგადოებრივი მაუწყებლობა ისევე განუყოფლად არის დაკავშირებული დემოკრატიასთან, როგორც პარლამენტი, სასამართლო და ადგილობრივი თვითმმართველობა. პირველი ორი ინსტიტუტის ბიუჯეტის ფორმირებაში აღმასრულებელი ხელისუფლება ვერ ერევა. თვითმმართველობას კი გადასახადების რაღაც პროცენტი რჩება და მსგავსი მექანიზმის გაკეთება ჩვენს შემთხვევაშიც შეიძლება.



ბესო გულაშვილის ფოტო

*ლევან რამიშვილი: "სასამართლო დამოუკიდებელი არ არის და თუ ვინმე ამას იტყვის, ან სირაქლემას პოზიციაშია, ან უსირცხვილოდ გვატყუებს".*

**- თავად ბრძანეთ, რომ მსგავსი მექანიზმები სასამართლოებში გვაქვს, მაგრამ მათი დამოუკიდებლობის, დიდი ხანია, არავის სჯერა და რთულია, "თავისუფლების ინსტიტუტში" არ დამეთანხმონ.**

- დიახ, სასამართლო დამოუკიდებელი არ არის და თუ ვინმე ამას იტყვის, ან სირაქლემას პოზიციაშია, ან უსირცხვილოდ გვატყუებს. ნებისმიერ დემოკრატიულ ინსტიტუტს დამოუკიდებელს ხდის არა რაიმე იურიდიული ან ფინანსური მექანიზმი, არამედ ადამიანები. ის, თუ როგორი იქნება ახალი მაუწყებლობა, პირველ რიგში, იქ მომუშავე ჟურნალისტებზე და იმ საზოგადოებაზეა დამოკიდებული, რომლისთვისაც ის კეთდება.

**- დავუბრუნდეთ პოლიტიკას. არადამოკიდებული ადამიანების რიცხვი - სამსახურიდან შემცირებულები, განაწყენებულები, იმედგაცრუებულნი და ა.შ. - იზრდება. არ ჩანს სახელმწიფო დაწესებულებების ოპტიმიზაციის სანაცვლო კერძო სტრუქტურები. რა ვერ გათვალა მთავრობამ?**

- მიმაჩნია, რომ სახელმწიფო სექტორში წმენდა არასაკმარისი ტემპით მიმდინარეობს. სახელმწიფო უნდა ეხმარებოდეს მოხუცებულს და ინვალიდს. დახმარება სჭირდება ბავშვს, რომ ნორმალური განათლება მიიღოს. ბავშვების 40 პროცენტი წერა-კითხვის უცოდინარია...

**- მშობლების უმუშევრობა ამ რიცხვს გაზრდის.**

- ეს იმის ბრალი არ არის, რომ მშობლები უმუშევარნი რჩებიან. განათლებაზე სასაცილოდ ცოტას ვხარჯავთ – სტატისტიკით, ქვეყნის ერთობლივი შიდა პროდუქტის, დაახლოებით, 3 პროცენტი იხარჯება განათლებაზე, მეცნიერებაზე - ამაზე 20-ჯერ ნაკლები.

საილუსტრაციოდ ავიღოთ აგრარული უნივერსიტეტი - ღვინის ბიზნესში ამ უნივერსიტეტის არც ერთი კურსდამთავრებული არ მუშაობს, რადგან ეს სასწავლებელი შესაბამის უნარ-ჩვევას არ იძლევა. ნებისმიერი უმაღლესი სახელმწიფო სასწავლო დაწესებულების კურსდამთავრებულთა 95 პროცენტი ვერ პოულობს სამუშაოს, რადგან ეს დაწესებულებები ვერ აძლევენ იმ უნარ-ჩვევებსა და ცოდნას, რაც საჭიროა იმისთვის, რომ ადამიანმა სამუშაო იპოვოს.

**- თქვენც ხომ სახელმწიფო უნივერსიტეტი დაამთავრეთ?**

- სხვათა შორის, ჩემი სპეციალობით არ ვმუშაობ. თუ სახელმწიფოს საზოგადოების კეთილდღეობაზე ზრუნვა სურს, ეს განათლების სისტემიდან უნდა დაიწყოს - განათლებასა და მეცნიერებაში ინვესტიციებია საჭირო, რათა ადამიანური კაპიტალი გლობალურად კონკურენტუნარიანი გავხადოთ.

**- განსაკუთრებით მძიმე ვითარება რჩება რეგიონებში. ბოლო პერიოდის საკადრო ცვლილებები იმის მაჩვენებელი ხომ არ არის, რომ სიტუაციის რეალური და ობიექტური ანალიზიდან გამომდინარე, პრეზიდენტი სერიოზულად აპირებს რამის შეცვლას ან სულაც ახალი ეტაპის დაწყებას?**

- ეს იმაზე მიუთითებს, რომ ხელისუფლებას დინამიზმი ჯერ კიდევ არ დაუკარგავს. ამ შემთხვევაში, პრობლემა უფრო ღრმაა, ვიდრე ცუდი გუბერნატორის კარგი გუბერნატორით შეცვლაა – შეუძლებელია, ამ სისტემამ უკეთ იმუშაოს. თვითმმართველობაზე საუბარი დიდი ხნის განმავლობაში მიმდინარეობს და კონკრეტული ნაბიჯები ჯერ არ გადადგმულა. როდესაც თვითმმართველობა არ არსებობს, ყველა მოლოდინი პრეზიდენტს უკავშირდება და მისგან მოითხოვენ პასუხს. გარდა ამისა, ამ საკადრო გადანაცვლების წრეზე ერთი და იგივე ადამიანები მოძრაობენ. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ ეს მეთოდი ყოველთვის არ ამართლებს. თუკი გუბერნატორი სადმე უნდა შეცვლილიყო, პირველ რიგში, ქვემო ქართლში უნდა მომხდარიყო და არასაკმარისი ადამიანური რესურსების გამო ეს ცვლილება არ განხორციელდა, უფრო სისტემურ ცვლილებაზე კი არავინ საუბრობს. პრეზიდენტმა არაერთხელ თქვა, რომ თვითმმართველობის არჩევნები 2005 წლის შემოდგომაზე ჩატარდება. ეს დრო ჯერ შორი გვეჩვენება, მაგრამ მალე მოგვადგება კარს.

**- რეფორმებისკენ მოძრაობს პროკურატურა, შსს-ც, სასამართლო რეფორმა, რომელიც ყველაზე პირველად და საკმაოდ წარმატებულად დაიწყო, შეჩერდა, რატომ?**

- კარგია, რომ რეფორმა დაიწყო პროკურატურაში; კარგია, რომ ნელი ტემპით, მაგრამ რეფორმა პოლიციაშიც მიმდინარეობს, თუმცა წამების პრობლემა კვლავ რჩება.

დღევანდელ მოსამართლეებს ავტორიტეტი არა აქვთ და მათი მხრიდან დაუმორჩილებლობის შემთხვევაში ადვილად მიაბრძანებენ ციხეში. ამიტომ, ისევე როგორც თავის დროზე სამართლებრივი რეფორმა სასამართლო რეფორმიდან დაიწყო, ახლაც ასე უნდა მოხდეს და ის ძველი შეცდომები არ უნდა გავიმეოროთ.

უზენაეს სასამართლოსაც და იუსტიციის საბჭოსაც ახალი ხელმძღვანელი ჰყავს. პირველ რიგში, სასწრაფოდ უნდა ჩამოყალიბდეს ამ რეფორმის შეთანხმებული კონცეფცია. იმისთვის, რომ სასამართლო რეალურად დამოუკიდებელი იყოს, ანგარიშვალდებულების მექანიზმების შექმნაა საჭირო. იუსტიციის საბჭო აუცილებლად უნდა გაძლიერდეს და თავად მოსამართლეების მხრიდანაც უნდა წამოვიდეს ინიციატივები. სამწუხაროდ, ასეთ იმპულსებს ვერ ვხედავ.

თავის დროზე საქართველოში დაწყებული სასამართლო რეფორმა აღმოსავლეთ ევროპაში საუკეთესო იყო. სამწუხაროდ, ამას სხვა რეფორმები არ მოჰყვა და დღესაც მოსამართლეთა 90 პროცენტი კორუმპირებულია. სისხლის სამართლის საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილებების 90 პროცენტი უკანონობაა. ამ რეფორმის თავიდან განხორციელებაა საჭირო.

**- დღეს ხელისუფლებაში სასამართლო რეფორმის ავტორები არიან, რა ხდება, რატომ არ იწყებენ თავიდან?**

- ზოგჯერ უპირატესობა სისუსტესაც ნიშნავს. დღევანდელ ხელისუფლებას რეფორმების გასატარებლად სრული კარტბლანში აქვს და სწორედ ეს აბრკოლებს, რადგან სისტემა გამართულად კონკურენციის შემთხვევაში ფუნქციონირებს. დღეს ხელისუფლება ვერც ერთი პოლიტიკური ძალიდან ვერ გრძნობს გამოწვევას. საზოგადოების მხრიდანაც დიდია ნდობის კრედიტი და არ ფიქრობს, რომ თუ დაჭირდა, ხვალ სხვას აირჩევენ. ეს ასე არ იქნება, რადგან ის "სხვა", უბრალოდ, არ არსებობს. პრესაც ისე მწვავედ აღარ აკრიტიკებს ამ ხელისუფლებას. ეს ყველაფერი ერთად გახანგრძლივებულ თაფლობის თვეს ჰგავს. კარგია, როდესაც არავინ გიშლის ხელს რეფორმების გატარებაში, მაგრამ ზოგჯერ ეს ზედმეტი წარმატებისგან თავბრუსხვევას იწვევს.

არის კიდევ ერთი პრობლემა – არჩევანი, რომელიც ჩვენმა ხელისუფლებამ უნდა გააკეთოს... როგორ ვუყურებთ ჩვენი ქვეყნის განვითარებას?! ახლა მთელი აქცენტი კეთდება იმაზე, რომ ნებისმიერ ფასად უნდა აღვადგინოთ ტერიტორიული მთლიანობა. ბუნებრივია, საზოგადოებას ეს სურს, მაგრამ ყველაფერს თავისი ფასი აქვს. არანაირი დისკუსია არ მიმდინარეობს იმაზე, რომ თანხები, რაც ჩვენი შეიარაღებული ძალების გაძლიერებაზე მიდის, სასამართლოებს, ან პოლიციას, ან განათლებას მოხმარებოდა. ვერც ხელისუფლების მკაფიო გადაწყვეტილებას ვხედავ. ამაზე უნდა გაიხსნას დისკუსია და ხელისუფლებამ უფრო ცხადად უნდა ნახოს, პირველ რიგში, რა სჭირდება საზოგადოებას. რა თქმა უნდა, ტერიტორიული მთლიანობა გვჭირდება, მაგრამ არა ყველაფრის ფასად.

**- შეიძლება ხელისუფლების შიგნით დაპირისპირება ვიხილოთ?**

- დაპირისპირება ჯანსაღი მოვლენა და განვითარების მამოძრავებელი ძალაა. მაგრამ არსებობს საკითხები, ფასეულობები, რომელზეც დაპირისპირება არ უნდა იყოს - განათლების სისტემის რეფორმა, იქ არსებული კორუფციის აღმოფხვრა პოლიტიკური ქულების ჩაწერის საგანი არ უნდა გახდეს.

ხელისუფლება კრიტიკას არ უნდა აბიაბრუებდეს, რადგან სისტემა ვერ იფუნქციონირებს და არც პოლიტიკური კულტურა დამკვიდრდება. თუ ერთი მხრივ, "ყიყინს" დავარქმევთ ყველაფერს და მეორე მხრივ, უკიდურეს დემაგოგიაში გადავიჭრებით, ეს სამოქალაქო ნიჰილიზმს გამოიწვევს და ერთ მშვენიერ დღეს არჩევნებზე აღარავინ მივა. ხელისუფლებასაც და ოპოზიციასაც მეტი პასუხისმგებლობა ჰმართებს.

**- როგორ არ უნდა გაირყვნას ხელისუფლება?**

- სანამ ერთ პარტიას 90 პროცენტი აქვს, მეორეს 9 და თან სამართლებრივი სახელმწიფოს დიდი ტრადიციები არ არსებობს, რთულია ზუსტ რეცეპტზე საუბარი. ხელისუფლების გარდა, სახელმწიფოში უნდა იყოს საზოგადოება, მედია, ჩვეულებრივი მოქალაქეები. ხელისუფლებას აქვს საკუთარი ინტერესები და საკმაოდ გეგმაზომიერად მოქმედებს. ასევე საზოგადოებას, მედიას და სხვა ინსტიტუტებს უნდა ჰქონდეთ იმის ჟინი, რომ ანალოგიური და უფრო მეტი თანმიმდევრობა გამოიჩინონ. ერთადერთი, რაც ხელს შეუშლის გარყვნას - კრიტიკული პრესა და აქტიური საზოგადოებაა.

B2 რევიუ B3 რევიუ B4 სპორტი B5 სპორტი B6 ევროისტორია B7 სხვადასხვა B8 სხვადასხვა

თბილისის მე-5 საერთაშორისო კინოფესტივალი

# ვინ მოიპოვებს „პრომეთეს"?

სალომე კიკალეიშვილი

*გუშინ კინოთეატრ "რუსთაველში" მე-5 საერთაშორისო კინოფესტივალი "პრომეთე" გაიხსნა, რომელიც 6-10 ოქტომბრის ჩათვლით გაიმართება. სხვადასხვა ქვეყნის, დროის და ჟანრის ფილმებს კი კინოთეატრი "ამირანი", კინოს სახლი, გოეთეს ინსტიტუტი და კინომსახიობთა თეატრი უმასპინძლებს.*

პირველი ასოციაციები, რომელიც ამ ფესტივალთან დაკავშირებით მიჩნდება, შარშანდელ "პრომეთეს" ეხება; "კეთილი" რუსი მებაჟეების გამო არჩამოსული, ფესტივალის საკმაოდ მნიშვნელოვანი ფილმები, და... "მე კუბა". მიხეილ კალატოზოვის (კალატოზიშვილის) ფილმი, რომლის გამოც სხვა თუ არაფერი, ფესტივალის ჩატარება ნამდვილად ღირდა. ფილმი, რომლის შემდეგაც კიდევ უფრო ამაო გეჩვენება თანამედროვე კინემატოგრაფისტთა ძიებები. ყოველ შემთხვევაში, ასე იყო ჩემთვის. მაგრამ ეს იყო და ის, თუ რა იქნება, ამას ფესტივალის ხუთდღიანი პროგრამა გვიჩვენებს.

**ულრიხ გრეგორი** - ბერლინის საერთაშორისო კინოფესტივალის კომიტეტის ხელმძღვანელი, კინოკრიტიკოსი და გერმანიაში პირველი არაკომერციული კინოთეატრის "არსენალის" დამაარსებელი, სადაც 1974 წელს, დასავლეთ ევროპაში პირველად მოეწყო ქართული კინოს რეტროსპექტივა, მეხუთედ ჩატარებული თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალის ჟიურის ხელმძღვანელია. მასთან ერთად, 10 ოქტომბერს ოქროს და ვერცხლის "პრომეთეს" მფლობელების ვინაობის გამოვლენაზე იმუშავებენ **ტერეზა ბრდეჩკოვა** – ჩეხი კონოკრიტიკოსი და ჩეხეთის კინოფესტივალის Febiofest-ის დირექტორი; **პიერ ანრი დელო** - ფრანგი რეჟისორი, პროდიუსერი და მრავალი კინოფესტივალის და ფორუმის დამაარსებელი, მათ შორის საერთაშორისო კინოს ორგანიზაციის Fipa-ს და კანის კინოფესტივალის; **ინეკე სმიტი** – ჰოლანდიელი რეჟისორი, რომლის დოკუმენტური ფილმი "პუტინის დედა" სწორედ დღეს გავა, არასაკონკურსო პროგრამით კინომსახიობთა სახლში; **ნინო კობერიძე** – მსახიობი.



გაგა ჩხეიძე და სალომე ზურაბიშვილი



ჟიურის სრული შემადგენლობა.

"ვარდების რევოლუციის შემდეგ "პრომეთე" პირველად ტარდება, და მე გპირდებით, რომ ის კიდევ უფრო ტოლერანტული და დემოკრატიული იქნება" – შეგვპირდა გახსნაზე, ფესტივალის დირექტორი **გაგა ჩხეიძე**, რომელმაც დაგვიანებით დაწყებულ საღამოზე, რაც უკვე ქართულ ტრადიციად იქცა, მაყურებელს ჟიურის შემადგენლობა (რომელიც, რა თქმა უნდა, ისევ ქართული მხრიდან დაგვიანებული წევრით გამოცხადდა სცენაზე) წარუდგინა და სცენაზე ქალბატონი სალომე ზურაბიშვილი მოიხმო, რომლის პატრონაჟითაც იმართება წელს მე-5-ე საერთაშორისო კინოფესტივალი. რაც შეეხება გახსნაზე წარმოდგენილ ფილმებს, ეს იყო გერმანელი რეჟისორის ჰაგენ კელერის მოკლემეტრაჟიანი ფილმი "ეს დღეც დადგა", და სპაიკ ლის "25-ე საათი". ფილმების ჩვენებამდე დარბაზმა წუთიერი დუმილით მიაგო პატივი რამოდენიმე დღის წინ გარდაცვლილი გარი კუნცევის ხსოვნას, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღოდა ჰაგენ კელერის ფილმის შექმნაში.

ახლა კი, რაც შეეხება მთავარს, ანუ ფილმებს და რუბრიკებს, რომელსაც ფესტივალის ორგანიზატორები გვთავაზობენ. საკონკურსო პროგრამაში 10 ფილმი მონაწილეობს, რომლის ჩვენებებიც "ამირანში" გაიმართება. ესენია: ბულგარული, ირანული, გერმანული (პარადოქსი იყო, შარშან "ოქროს პრომეთე" დიტო ცინცაძემ აიღო, როგორც საუკეთესო გერმანული ფილმის რეჟისორმა), პოლონური (სწორედ პოლონურმა ფილმა აიღო მაშინ "ვერცხლის პრომეთე"), ნიდერლანდური კინემატოგრაფი. რადგან შარშანდელ პროგრამას შევეხე, აქ იმასაც დავამატებდი, რომ შარშანდელი პროგრამით გათვალისწინებული არასაკონკურსო, აკი კაურისმეკის ფილმი "კაცი წარსულის გარეშე", რომელიც ვერ ჩამოვიდა, წელს იქნება ნაჩვენები კინოს სახლში.

ტრადიციისამებრ ფესტივალი აწყობს რამოდენიმე რუბრიკას, თემატურ ჩვენებას, სადაც 70-მდე ფილმია წარმოდგენილი: დოკუმენტური კინო, სადაც, ძირითადად, სხვადასხვა თაობის ქართველ რეჟისორთა ნამუშევრები იქნება წარმოდგენილი, მათ შორის სერგო ფარაჯანოვის დის შვილის გიორგი ფარაჯანოვის "მე მოვკვდი ბავშვობაში", გერმანიაში გადაღებული ზაზა რუსაძის "ბანდიტები", 1983 წელს თვითმფრინავის გატაცების შესახებ, დათო ჯანელიძის "მეიდანი-სამყაროს ჭიპი"... მოკლემეტრაჟიანი ფილმები, ევროპული ფორუმი, რომელიც უახლეს 15 ევროპულ კინოს შემოგვთავაზებს, ჰოროზონტები, სადაც აზიური კინო იქნება წარმოდგენილი. ხოლო რაც შეეხება რუბრიკას კინოსკოლა – აქ წარმოდგენილია ლიბანური კინემატოგრაფია, რომელსაც ახალგაზრდა ლიბანელი სტუდენტები წარმოადგენენ.

თუ შარშან ფესტივალმა მიხეილ კალატოზიშვილი და მისი ფილმი-პოეზია "მე კუბა" გაახსენა მაყურებელს, წელს "პრომეთე" ამ ტრადიციასაც აგრძელებს და ნატო ვაჩნაძის 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით უჩვენებს "საუკუნის მშვენების" (როგორც კინომცოდნე ოლღა თაბუკაშვილმა უწოდა) მონაწილეობით კოტე მარჯანიშვილის "ამოკს"; მოეწყობა სერგო ფარაჯანოვის 80 წლის იუბილესთან დაკავშირებული ჩვენებები ფილმების: "საიათნოვა", "ამბავი სურამის ციხისა", "არაბესკები ფიროსმანის თემაზე" და "აშულ-ყარიბი". ხოლო ფესტივალის დასასრულს ქართველ, სომეხ და აზერბაიჯანელ კინომცოდნეებისგან შემდგარი ჟიური გამოავლენს "სერგო ფარაჯანოვის" სახელობის პრიზიორს. გოეთეს ინსტიტუტში დაწყებულია ცნობილი გერმანელი მსახიობისა და რეჟისორის კარლ ვალენტინის რეტროსპექტივა, რომელიც 10, 20, 30-იან წლებში "გერმანელი ჩარლი ჩაპლინის" (როგორც შეარქვეს) მონაწილეობით შექმნილ ფილმებს წარმოადგენს.

ასე რომ, თბილისის საერთაშორისო ფესტივალი "პრომეთე" უამრავ და, იმედია, საინტერესო ფილმებს შემოგვთავაზებს.

# პროვინციებში დიდ ეკრანს ელიან

თეონა ჭაფარიძე

თუ ერთი წლის წინ თბილისის საერთაშორისო, მაშინ რიგით მე-4-ე კინოფესტივალმა, ჯერ კიდევ ოქტომბრის თვეში, მიხეილ კალატოზიშვილის "მე კუბას" ჩვენებით აქცენტი რევოლუციაზე გააკეთა და საზოგადოება მოახლოებულ და აუცილებელ ცვლილებებზე დააფიქრა, წელს ფესტივალი საქართველოში კინოსთან დაკავშირებული პრობლემებით დაინტერესდა და შესაძლოა, ამ სფეროშიც აუცილებელი ცვლილებებისაკენ უბიძგოს კინოს გულშემატკივრებს. ქართული კინოქსელი დაწყებული კინოგაქირავებიდან, დამთავრებული კინოწარმოებით, ნამდვილად საჭიროებს რევოლუციურ ცვლილებებს.



კინოთეატრი სამტრედიის რაიონის დაბა კულაშში.

რუსთაველის კინოთეატრში ოფიციალური გახსნის საზეიმო ცერემონიალამდე რამდენიმე საათით ადრე თბილისის მე-5 საერთაშორისო კინოფესტივალმა **პირველი** და **საქმიანი** აკორდები გოეთეს ინსტიტუტის სააქტო დარბაზში აიღო: ფესტივალის დირექციამ სწორი და აქტუალური გადაწყვეტილება მიიღო, როცა აქცენტი მუნიციპალურ კინოთეატრებზე გააკეთა. ფესტივალის გერმანელი სტუმრების – ერიკ და ულრიხ გრეგორების, ერთი შეხედვით უწყინარმა და ნამდვილად საინტერესო ლექციამ გერმანული მუნიციპალური კინოთეატრების ქსელის ჩამოყალიბებასა და სტრუქტურის შესახებ, ლაკმუსის როლი ითამაშა ქართული კინოქსელისა და კინოთეატრების მდგომარეობის, უფრო სწორად, მათ გარშემო ატეხილი დავის სურათის წარმოსაჩენად.

თუ აქამდე ამ პრობლემებზე საზოგადოდ მხოლოდ დედაქალაქში და მხოლოდ კინორეჟისორები ანუ ხელოვანები ბჭობდნენ და პაექრობდნენ, ფესტივალის დირექციამ ამ დებატებში პრაქტიკული მოსაზრების გამო, პროვინციებიდან კულტურის სამმართველოს უფროსებისა თუ ადგილობრივი მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებიც ჩააბა. მხოლოდ ამის შემდეგ აღდგა სრულად სურათი, რომელიც დაახლოებით ასე გამოიყურება: კინოს ცნება პროვინციებში დანგრეულ და გაპარტახებულ საბჭოთა პერიოდის არქიტექტურის ნიმუშებს, ანუ ძველი კინოთეატრების ცარიელ შენობებსა და ახალ თაობას შეიძლება დავუკავშიროთ - **თაობას, რომელსაც არასოდეს არ უნახავს დიდი ეკრანი**. შეგახსენებთ, რომ ამ გაპარტახებული შენობების მფლობელი სააქციო საზოგადოება "ქართული ფილმია". არსებობს ალტერნატიული ვარიანტებიც: პროვინციებში სააქციო საზოგადოება "ქართული ფილმის" მიერ იჯარით გაცემული კინოთეატრების უკვე გარემონტებულ შენობებსაც შეხვდებით, ოღონდ შეცვლილი პროფილითა და სახეშეცვლილი ფუნქციებით. როგორც სააქციო საზოგადოების გენერალური დირექტორის მოადგილემ ბატონმა თემურ ფალავანდიშვილმა გუშინ "გოეთეს ინსტიტუტში" რეგიონებიდან ჩამოსულ სტუმრებს აუხსნა, იჯარიდან შემოსული თანხით "ქართული ფილმი" მხოლოდ და მხოლოდ ქონებრივი გადასახადის დაფარვას ახერხებს. რასაკვირველია, ლაპარაკიც კი ზედმეტია კინოწარმოების დახმარებაზე. გუშინაც ბევრი იკამათეს კინოწარმოების ფრანგული მეთოდისა და "სააქციო საზოგადოებისათვის" კინოთეატრების საკუთრებაში გადაცემის მართებულობასა თუ უმართებულობის შესახებ, მაგრამ გოეთეს ინსტიტუტის სააქტო დარბაზში, ძირითადად, მხოლოდ ერთი მოთხოვნა გამოიკვეთა: ისევ მარტივად ვიტყვი: - თუ გვსურს ახალმა თაობამ პროვინციებში დიდ ეკრანს გემო გაუსინჯოს, სააქციო საზოგადოებამ თავის მფლობელობაში მყოფი კინოთეატრების შენობები უსასყიდლოდ უნდა გადასცეს ადგილობრივ მუნიციპალიტეტებს.

ფოტო, რომელზეც ეს გაპარტახებული შენობაა გამოსახული, ერთ დროს, მაყურებლით გადაჭედილი კინოდარბაზი გახლდათ სამტრედიაში, დაბა კულაში. შენობა, რა თქმა უნდა, სააქციო საზოგადოება "ქართული ფილმის" კუთვნილებაა და მისი რაიონის მუნიციპალიტეტისათვის გადასაცემად, სააქციო საზოგადოება გარკვეულ თანხას ითხოვს, სოფელი კი კინოს. ეს ტიპური და გავრცელებული მაგლითია საქართველოს თითქმის ყველა პროვინციისათვის. მაყურებელი დიდ ეკრანს ელოდება. პრობლემა ძალიან ბევრ ნიუანსს მოიცავს დაწყებული ბილეთის ფასით, დამთავრებული წმინდა წყლის ტექნიკური ნიუანსებით.

მე-5-ე "პრომეთეზე" ჩამოსული ერიკა და ულრიხ გრეგორები გუშინ "გოეთეს ინსტიტუტში ცდილობდნენ ჩაწვდომოდნენ არარსებული ქართული კინოქსელის პრობლემას და გერმანიაში მათ მიერ ჩამოყალიბებული მუნიციპალური კინოთეატრების ქსელის ისტორიაზე მოგვითხრობდნენ. დღეს ისინი ბერლინის ფესტივალის ალტერნატიული, საავტორო ფილმების სექციას ხელმძღვანელობენ. მათ მიერ 70-იან წლებში დაარსებული კავშირი არაკომერციულია, რომელსაც ქალაქი ბერლინი და უკვე ცენტრალური ბიუჯეტიც კი აფინანსებს. მთავრობა ამ დათმობაზე მათ თითქმის სამწლიანი მოლაპარაკების შედეგად დაითანხმეს. დღეს გერმანიის ცენტრსა და პროვინციაშიც არსებობს კინოთეატრები ინტელექტუალური, არაკომერციული, არაჰოლივუდური, საავტორო კინოსთვის.

თბილისის მე-5-ე საერთაშორისო კინოფესტივალს კი ჯერჯერობით მუნიციპალური კინოთეატრი ვერ უმასპინძლებს, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ასეთი რამ, ქართულ რეალობაში ჯერჯერობით არ არსებობს. ჩვენებები "კინოს სახლსა" და მხოლოდ ორად ორ და ისიც კერძო კინოთეატრში – "ამირანსა" და "რუსთაველში" გაიმართება.

# სტუდენტები ჯავახეთში

**სპორტის აკადემიამ ექსპედიციის ფოტოები გამოფინა**

ვერა ნეფარიძე

*გუშინ სპორტის აკადემიაში სტუმრიანობის მიზეზი ფოტოგამოფენა იყო. დერეფნის კედლებზე გამოფენილ ექსპოზიციას არაფერი ჰქონდა საერთო მხატვრულ ფოტოგრაფიასთან და არც იგრძნობოდა ამის პრეტენზია. ფოტოები, უბრალოდ, სამცხე-ჯავახეთში თბილისელი სტუდენტების ერთთვიანი ექსპედიციის შესახებ მოგვითხრობდნენ.*



ლევან ხერხეულიძის ფოტო

მეუფე ნიკოლოზი გამოფენაზე.

გამოფენა ქართული საეკლესიო საგალობლების ფონზე გაიხსნა, რაც იმის მაუწყებელი იყო, რომ წუთიწუთზე დერეფანში ახალქალაქისა და კუმურდოს მთავარეპისკოპოსი, მეუფე ნიკოლოზი შემობრძანდებოდა. მეუფე ნიკოლოზი ერთი თვის განმავლობაში თბილისური ექსპედიციის მუდმივი მასპინძელი იყო, რასაც სპორტის აკადემიის სტუდენტების მომზადებული ფოტოგამოფენაც ადასტურებდა.

რამდენიმე წელიწადია სამცხე-ჯავახეთზე თბილისის უმაღლეს-სასწავლებლებს მზრუნველობა აქვთ აღებული. სტუდენტები ყოველწლიურად აწყობენ ექსპედიციებს, ხვდებიან მოსახლეობას, მოგზაურობენ სოფლიდან სოფელში, - ამგვარად ცდილობენ დაძლიონ გაუცხოება საქართველოს ამ ერთ-ერთ ყველაზე რთულ რეგიონში. უმაღლეს სასწავლებლებს განაწილებულიც აქვთ ჯავახეთის სოფლები (ცხრა სოფელში ცხოვრობს ქართული მოსახლეობა). წელს სპორტის აკადემიამ მონაწილეობა მიიღო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწყობილ ექსპედიციაში. სწორედ, ამ ერთთვიანი ექსპედიციის ამსახველი ფოტოები გამოფინეს სტუდენტებმა გუშინ აკადემიის დერეფანში. აკადემიის კედლებზე სამცხე-ჯავახეთის ტერიტორიაზე არსებულ ეკლესია-მონასტრებთან ერთად, ნახავთ, როგორ ასწავლის დედა სოფიო სომხური სოფლის მცხოვრებ ბავშვებს ქართულ საეკლესიო გალობას; ასევე, ტრადიციულ ღამისთევას, რომელიც პირველ ივნისს, წმინდა ნინოს საქართველოში შემობრძანების დღესასწაულზე იმართება ხოლმე და ა.შ.

გამოფენის დასათვალიერებლად სასწავლებელს გუშინ მეუფე ნიკოლოზი მამადავითის სახელობის ეკლესიის მოძღვართან, მამა ნიკოლოზთან ერთად ეწვია (აკადემიას ზვიად ზვიადაურის სახით, კიდევ ერთი საპატიო სტუმარი ჰყავდა). ექსპოზიციის დათვალიერების შემდეგ მეუფეემ აკადემიის სტუდენტებთან ურთიერთობა სააქტო დარბაზში წმინდა ნინოს შესახებ საუბრით გააგრძელა. იშვიათი და მომნუსხველი "ლექციის" დასრულების შემდეგ აკადემიის წარმომადგენლებმა მეუფეს ეკლესიის მშენებლობის იდეა გააცნეს და პატრიარქთან შუამდგომლობა სთხოვეს. ეკლესიის ფორმასთან დაკავშირებით, მეუფემ სასწავლებლის მესვეურებს ურჩია, ფანტაზია გამოეყენებინათ. ამას გარდა, შესთავაზა მასპინძლებს გარკვეული სამსახური გაუწიოს სასწავლებელმა ჯავახეთს სპორტული პროფილით. "სპორტმა ჯავახეთში შეიძლება სამშვიდობო ფუნქცია შეიძინოს. ნამდვილად არსებობს დაძაბულობა ამ რეგიონში. შეიძლება ამ მიმართულებით ფიქრიც", - ამის შემდეგ მეუფემ დალოცა მასპინძლები და დაემშვიდობა.

რაც შეეხება სამცხე-ჯავახეთს, ამ რეგიონში პირველი ნაბიჯების გადადგმას სამხატვრო აკადემიის სტუდკავშირიც ცდილობს. ახლახანს ჯავახეთში ახალგაზრდა მხატვრების (აკადემიის კურსდამთავრებულები) მცირე ჯგუფი საკუთარი ხარჯით გაემგზავრა (როგორც გვითხრეს, აქამდე ჯავახეთში სამხატვრო აკადემიიდან ჯგუფი არ ჩასულა). მხატვრებმა ბარალეთის სკოლის მოსწავლეებს რვეულები, რუკები და სახატავი მასალა, მასწავლებლებს კი სიმბოლურად, წითელი კალმისტრები ჩაუტანეს. თბილისელმა მხატვრებმა მოსწავლეებთან ერთად ორი სკოლის კედლები მოხატეს და ხატვის მასტერ-კლასებიც გამართეს. "ბავშვებს ვასწავლიდით, რომ ხელოვნებაში, სახვით ხელოვნებაში ყველაფერი დასაშვებია, მერე სახეს იხატავდნენ და გვეკითხებოდნენ, ესეც შეიძლებაო? – რა თქმა უნდა, ვპასუხობდით, რომ ესეც შეიძლებოდა", - გვიყვება სამხატვრო აკადემიის სტუდკავშირის წარმომადგენელი ბესა ქართლელიშვილი. თბილისელი მხატვრები ჯავახეთში წლის ბოლომდე აპირებენ ჩასვლას – მათ სომხურ სოფელ სპასოვკაში (ნინოწმინდის რაიონი) სკოლის მოსახატად ნებართვა უკვე აიღეს დირექტორისგან. ახალგაზრდა მხატვრები ამჟამად ჩასასვლელად საჭირო ფინანსური მხარდაჭერის მოლოდინში არიან.

# Fresh რაკურსით

## პრეზენტაცია ოთხი გოგოს მონაწილეობით

ვერა ნეფარიძე

*უშველის ქართულ შოუბიზნესს Fresh-რაკურსი? დავინახავ სხვაგვარად ქეთა თოფურიას ან ნინი ბადურაშვილს ახლებურად, თუკი უკეთეს კლიპებს გადაუღებენ და მათ სიმღერებს ცოცხლად დიჯეი ჟორჟიკა გამიქსავს?, - ეს შეკითხვები ჩემთვის აქტუალური იყო ჯერ კიდევ ორშაბათს "აჭარა მიუზიკ ჰოლში" მისვლამდე. უფრო სწორად, მორიგი, თუმცა კი, სუპერ-თანამედროვე, Fresh-პრეზენტაციამდე.*



საღამოს ცხრა საათზე "მიუზიკ ჰოლში" პირველი სექტემბერისთვის ჩვეული ატმოსფერო დამხვდა – ყველა აქ იყო. მართალია, "საზაფხულო არდადეგების" შემდეგ, მსგავსი თავყრილობა ერთი-ორჯერ გამართულა, მაგრამ, ჯერ ერთი რომ, ამ თავყრილობებზე, საბედნიეროდ, მე არ გახდლით, მეორე კი ის, რომ ასეთი მასშტაბური არც ერთი ყოფილა. ორშაბათს "აჭარა მიუზიკ ჰოლში" შოუბიზნესთან მეტ-ნაკლებად დაკავშირებული ყველა პერსონა გამოცხადდა, ყველა იყო, ვინც სიმღერას ცდილობს. არ აკლდნენ ოფისებში გამობრძმედილი საქმოსნებიც (აქ ყველაფერს თავისი მიზეზი ჰქონდა). პრეზენტაციაზე თავიდან ყველაფერი ისე ვითარდებოდა, როგორც ხდება ხოლმე თბილისურ პრეზენტაციებზე. მაგრამ, ეს იყო ერთი შეხედვით და მხოლოდ თავიდან.

ორშაბათს მრავალრიცხოვანი საზოგადოების შეკრების მიზეზი კომპანია "არტპრომოსა" და მისი პირმშო პროექტის პრეზენტაცია გახლდათ. კომპანია, რომლის სამუშაო პროფილებია: აუდიო-ვიდეო (სტუდიური მომსახურება), დიზაინი, მარკეტინგული და PR-მომსახურება, რეკლამა და ბრენდინგი, - ოთხმა პირმა დააარსეს. მათ შორის: მუსიკოსებმა: კახაბერ ცისკარიძემ და სტეფანემ; ასევე, ზაქრო ზალიკაშვილმა და საშა გოცირიძემ.

ორშაბათს კომპანიის პირველი პროდუქტი ვიხილეთ: ოთხი ახალგაზრდა მომღერლისგან – თაკო გაჩეჩილაძე, ქეთა თოფურია, ქრისტი იმედაძე, ნინი ბადურაშვილი, შექმნილი კვარტეტი. პროექტს სახელწოდებაც მარტივად შეურჩიეს – "ოთხი გოგო". საპრეზენტაციო პროგრამის დასაწყისში სცენაზე გამოსულ კახაბერ ცისკარიძეს, სანოსა და დიჯეი ჟორჟიკას მალევე შეუერთდა ოთხი გოგო. თეთრ სამოსებში გამოწყობილი გოგონები "არტპომოში" დამზადებული მუსიკალური ვიდეოკლიპის ჩვენებისას გამოვიდნენ სცენაზე. უდავო იყო, ორგანიზატორები ეცადნენ, საოზგადოებისთვის სანახაობა მაქსიმალურად ეფექტური გამოსულიყო. თუმცა, რას მღეროდნენ – არც ისე იოლი გასარჩევი იყო კლუბში არსებული ხალხმრავლობისა და აქედან გამომდინარე, ხმაურის გამო. ერთი კი ფაქტია – "არტპრომომ" რალაცნაირად დაარღვია თბილისში პრეზენტაციებისთვის მიღებული სტანდარტები. როდესაც მთელ თუ არა, ნახევარ თბილისს ეპატიჟები, იმდენი მაინც უნდა მოახერხო, რომ მთელი ეს ღონისძიება კლიპისა თუ სიმღერის (გააჩნია, რისი პრეზენტაციაა) სამჯერ (როგორც ხდება ხოლმე) დატრიალებით არ ამოწურო; ხშირ შემთხვევაში, კი ეს ის სიმღერები და კლიპებია, რომელთაც იმავე თუ არა მეორე დღიდან უკვე ჩვენებური "ემ-ტი-ვის" ეთერში ისედაც უამრავჯერ გვაჩვენებენ. "არტპრომოს" პრეზენტაცია ამ მხრივ უდავოდ გამონაკლისი იყო. პრეზენტაციაზეც თანხაც მეტი დაიხარჯებოდა (ამისთვის, "არტპრომთან" ერთად საზოგადოება "ჯეოსელის" კმაყოფილი უნდა იყოს), მაგრამ თუკი ეფექტს მიაღწიეს (ჩემი აზრით, კი მიაღწიეს), მაშინ ეს თანხა ღირდა დახარჯვად. ერთი სიტყვით, "არტპრომომ" წარადგინა საკუთარი თავი და აჩვენა კიდეც საკუთარი შესაძლებლობები მომავალ პარტნიორებს. რაც შეეხება "ოთხ გოგოს" – როგორც კომპანიის მესვეურებისგან შევიტყვეთ, გარკვეული პერიოდის შემდეგ "არტპრომო" კვარტეტის სხვა ნამუშევრებს კომპაქტ-დისკში მოუყრის თავს.

# Life ნაქირავებ ბინაში

ისტორიული წარსული ისტორიას ჩაბარდა. ჟურნალი Life, რომელიც თავად ქმნიდა აწმყოს, ახლა იძულებულია სხვის მიერ დაკანონებულ თამაშის წესებს დანებდეს. 1 ოქტომბერს გამოდის მკვდრეთით აღმდგარი Life-ის პირველი ნომერი, ოღონდ უკვე სადღაცაა გამქრალი ძველი, დამოუკიდებელი ცხოვრება და ჟურნალი იძულებულია, ამერიკულ გაზეთებში ჩანართის სახით არსებობას დასჯერდეს.







Life-ის მესამე პრემიერა ოქტომბრის პირველ დღეს სწორედ ამ ფორმით შედგა. შემცირებული ფორმატის, სხვა ხარისხის ქაღალდზე კომპანია "თაიმ ინქის" მიერ დაბეჭდილი ჟურნალი გამომცემლებმა 70-იოდე გაზეთში ჩადეს და ახლებურ რეალობაში ასე შეუშვეს.

"Life-ი შეიცვალა. ეს სრულიად ახლებური ტიპის ჟურნალია, ახლებური მიზნებით", - აცხადებს ისტორიული გამოცემის ახალი მენეჯერ-რედაქტორი ბილ შაპირო და დასძენს: "ახლა სხვა დროა, 1936 წელს არ არსებობდა 100 ტელესადგური და ფერად-ფერადი ჟურნალებით სავსე სტენდები, არ იყო არც ინტერნეტი. მიუხედავად ამისა, ჩვენ გვჯერა, რომ Life-ი ახალ რეალობას ფეხს აუწყობს. გვჯერა, რომ ჟურნალი რეაქციას მკითხველში აუცილებლად აღძრავს, ჩვენ აუცილებლად შევეხებით ადამიანების გულებს – ან ცრემლს დავაღვრევინებთ მათ, ან ღიმილს მოვგვრით".

იყო დრო, ამ ემოციების გამოსაწვევად მკითხველში Life-ს ველური კონკურენციის გაძლება არ უხდებოდა. ათეულობით წლების წინ, ჟურნალი თავად იყო სიღრმისეული, სერიოზული პუბლიცისტიკისა და ფოტოჟურნალისტიკის პიონერი. 1936-72 წლები – ეს ის პერიოდია, როცა ჟურნალი Life იგივე ცხოვრება, მართლაც, მოიცავდა მთელ ცხოვრებას, ბეჭდავდა უნიკალურ ფოტოებს მსოფლიოში სახელგანთქმული ფოტოგრაფების ავტორობით და აყალიბებდა ახალ სტილსა და ტენდენციას მედიაში. მერეც, 1978 წლიდან 2000 წლის ჩათვლით Life-ი ყოველთვიური ჟურნალის პერიოდულობით გამოდიოდა და იმავე მიზანს ემსახურებოდა.

აბა, ძველი თაობის წარმომადგენლებს რა დაავიწყებთ შავ-თეთრ ფოტოს, რომელზეც აუზში, საკუთარ სისხლში მოცურავე რობერტ კენედია გამოსახული; ანდა პირველი ასტრონავტები, რომლებიც კოსმოსში გასაფრენად ემზადებიან; ანდა შიშველი ვიეტნამელი გოგო, რომელიც ტირილით გაურბის აფეთქებულ ბომბს...

მათ კი, ვისაც ეს ყველაფერი დავიწყებული აქვს, Life-ში ასახული წარსულის გახსენება ნიუ იორკის ფოტოგრაფიის საერთაშორისო ცენტრში გახსნილ გამოფენაზე შეუძლია. ექსპოზიციის სათაური "თვალი გადავავლოთ ცხოვრებას" ორმაგ დატვირთვას იძენს. ეს ნიშნავს – თვალი გადავავლოთ ცხოვრებას იმავე სახელწოდების ჟურნალის თანხლებით. ფოტოგრაფიის ცენტრში გამოფენილია ორასამდე ფოტო, რომლებიც ამერიკის 75-წლიან ცხოვრებას მაქსიმალური სრულყოფილებით ახსენებს დამთვალიერებელს.

არადა, როგორ შეიცვალა ცხოვრება მას შემდეგ, Life-ისთვისაც და ჩვეულებრივი მოკვდავებისთვისაც. ახლა ხომ ისტორიული ჟურნალი იძულებულია, სხვის "ბინას" შეეკედლოს და უარი თქვას პირველობაზეც ფოტოჟურნალისტიკის დარგში. მაგალითად, 1 ოქტომბრის საინაუგურაციო ნომერში არსად ჩანდა ერაყში დისლოცირებული ამერიკელი ჟურნალისტების ფოტოები, როცა ეს დღის მთავარი თემა გახლდათ.

რედაქტორი შაპირო განმარტავს: "გაზეთებში, რომლებშიც Life-ია ჩადებული, ომის თემა ისედაც სრულყოფილად შუქდება. Life-ს კი წარსულში, მართლაც, მრავალი შოკისმომგვრელი, ისტორიული ფოტო გამოუქვეყნებია, რითაც მკითხველის სახლებში პირდაპირ ლანგრით შეუტანია ომი. ჩვენი ჟურნალი ახლაც რომ დამოუკიდებლად ჩნდებოდეს სტენდებზე, ისევ იგივე ხარისხის პრეტენზია გვექნებოდა, მაგრამ როცა "საცხოვრებელ ფართს ქირით იღებ", არ უნდა დაგავიწყდეს, რომ სტუმარი ხარ. ამიტომ, Life-ს ახალ ცხოვრებაში უფრო სხვა ამბიცია ექნება. ის გააშუქებს ძირითადად არაოპერატიულ თემებს, მაგრამ სრულიად ახლებური, უნიკალური კუთხით".

ანუ, ამ სხვა ამბიციაში ჟურნალის რედაქტორი პოპულარული და საინტერესო თემების ამომწურავ გაშუქებას გულისხმობს. საინაუგურაციო ნომერში ამ თემის როლს სარა ჯესიკა პარკერი ასრულებს – მსახიობი სერიალიდან "სექსი დიდ ქალაქში", რომელიც განახლებულ Life-ს ახალ ამერიკულ გმირად ესახება. ჟურნალი მკითხველს ახალი წიგნების, ტელეგადაცემების, ფილმებისა და ციფრულ ვიდეოდისკებზე გამოსული სურათების შესახებ აძლევს რჩევებს, Life-ს აქვს მთავარი თემებიც, მაგალითად, ახალი ნომერი აშშ-ს უზენაეს სასამართლოს და მოსამართლეების პატარ-პატარა საიდუმლოებებს ეხება. თურმე, თვითონ ამერიკელი მკითხველისთვისაც სიახლე იყო, რომ მოსამართლეებს შეუძლიათ ამერიკის ნაციონალური მუზეუმებიდან ხელოვნების რომელიმე ნიმუში გამოითხოვონ საკუთარი კაბინეტების გასალამაზებლად.

ახალ Life-ს ავტორებიც რესპექტაბელური ეყოლება. მაგალითად, პულიცერის პრიზით დაჯილდოებული ავტორი ფრენკ მაქკორტი შტატებში ჩასულ ემიგრანტებზე მოგვითხრობს.

თუმცა, წინასწარვე ყველა შეგუებულია იმას, რომ Life-ის ახალი ცხოვრება წინასთან შედარებით გაცილებით უფრო ულიმღამო იქნება, როლი კი – მეორეხარისხოვანი. ჟურნალისტი ჯონ ფაინი აცხადებს: "Life-ი, ალბათ, საკვირაო, მსუბუქი საკითხავი იქნება. ყველამ კარგად იცის, რომ წინა ცხოვრებაში ის იგივე ფუნქციას ასრულებდა, რასაც ფერადი ტელევიზორი პირველ ხანებში. ახლა კი, კომპანიას, უბრალოდ, ძველი და ისტორული სავაჭრო ნიშნის გამოყენება სურს. "თაიმ ინქმა" კარგად იცის, რომ სახელწოდება Life-ის გაგონებას აუცილებლად მოჰყვება წარსულის ნოსტალგიით ნასაზრდოები კულტურული რეზონანსი". მესამე ცხორებაში Life-ი ფსონს სწორედ ამ რეზონანსზე დებს. ვნახოთ, რით დასრულდება სხვა გაზეთებისგან "ნაქირავებ ფართში" გაცოცხლებული წამოწყება ისტორიული სახელით.

სვეტი

# ტრადიციულ ქართულ საკრავთა სამყარო



სამსონ ლეჟავა

ქართული მრავალხმიანი სიმღერის განსაკუთრებულმა სიძლიერემ რამდენადმე ჩრდილში მოაქცია ჩვენს ტრადიციულ ინსტრუმენტთა ძალზე ფასეული მემკვიდრეობა, რომლისადმიც ზოგჯერ ჩენილი ირონიული დამოკიდებულება, მხოლოდ უმეცრების შედეგია.

ყოველი ჩვენი ტრადიციული საკრავი ამოუწურავ ინფორმაციას გვაწვდის ქვეყნის სულიერ თავგადასავალზე და აქვს უფრო ფართო, ზოგადკავკასიური კონტექსტიც. მათი საზიარო თვისებაა ბგერის, ჟღერადობის "ბუნებითი" და პირველქმნილი სინაღდე.

სალამური ღრუბლის ფთილებივით ფერდობებზე მიმობნეულ ცხვრის ფარასაც ამოატივტივებს წარმოსახვით მზერაში, და ნაკადულის დაუღალავ ხმიანობასაც გვაგონებს, რომელშიც გაისმის ბუნების შეფარული "მუსიკა" - შეიგრძნობა მისი "ათასხმოვანი" იდუმალი რიტმები. სალამურის მელოდიები ჩიტის უმშვენიერეს გალობასაც ენათესავება, რომელიც მთელი არსებით ასხამს ხოტბას ბუნებაშივე განფენილ ღვთიურ მადლს. მისი "წკრიალა" ხმა თავისი შეუბღალაობით, შინაგანი სისუფთავითა და უბრალოებით, იშვიათი სრულყოფა-ტევადობის მაგალითია. ამასთან, მას ძალუძს ვირტუოზულობის წარმოჩენაც. მიმზიდავია უენო სალამურის ოდნავ შიშინა, თითქოსდა სუნთქვის უშუალოდ განმგრძობი ბგერაც, რომელიც ლამისაა სიმღერის პირდაპირ გამომხატველობას აღწევს.

ჩასაბერთაგან ღირსშესანიშნავია როგორც შედარებით ხავერდოვანი, რბილი, უფრო "დაბალი" ჟღერადობის გუდასტვირი, ისე გაცილებით ინტენსიური, მძაფრი ჭიბონი, რომლის ახმიანება სასიცოცხლო ძალებით აღგავსებს. ეს ინსტრუმენტები სხვადასხვა რიგის ფაქტურული გაჯერებულობით მკაფიოდ გამოირჩევა, ხოლო ბუკი უკიდურესად შთამბეჭდავია ჟრუანტელისმომგვრელი, "თავზარდამცემი" მონუმენტურობით.

ჩვენი სიმებიანი საკრავები მრავალფუნქციურია, რაც ტრადიციული ყოფის არახელოვნურ მრავალფეროვნებას უკავშირდებოდა. მაგალითად, ფანდურით რიტმულად შეკრული, გამაფიცხებელი, "ცეცხლის სტიქიისეული" საცეკვაოები სრულდებოდა - აქ უეჭველია ქორეოგრაფიულ ილეთთა და ფანდურზე ჩამონაკრავის ხერხთა ურთიერთშესისხლხორცება. ძველებური ჩანაწერები ცხადყოფს, რომ რიტმთა ნაირობით საფანდუროები ფლამენკისტთა ტემპერამენტულობას არ უდებს ტოლს. ტრადიციულ საკრავთა მრავალი ნიმუშის შემქნელი, ბატონი კაკო ლაშქარაშვილი სხვა რიგის, სრულებით მოუხელთებელ ნიუანსთა შემცველ საცეკვაოებს ასრულებს, სადაც უაღრესად ინდივიდუალური მიდგომა თანადროულად-უტყუარად ზოგადქართულია. ბულაჩაურელი ხევისბერის, ბატონ ხვთისო პატარაშვილის დაკვრის ტექნიკა კი უცნაურად ითავსებს შინაგან სიმშვიდესა და სისხარტეს - ამგვარად, ფანდური შეზღუდული ინსტრუმენტი როდია, მხოლოდ მისი თვისებრიობის წვდომაა აუცილებელი. ფანდურზევე აჟღერებდნენ არქაულ, უშორეს ეპოქებში და დასაბამიერ საწყისებში გამყვან ბალადებს: სვეტიცხოველთან ხშირად ჩამომჯდარი კოლორიტული მომღერალ-მეფანდურის, მოსე მღებრიშვილის შესრულებაში ცოცხლდება ქართველთა მრავალსაუკუნოვანი განაცადი და გულისნადები. იგი ქრობის პირას მისული, ტრადიციული კულტურის გამტარია, ხოლო ჩვენი მცირე მოგზაურობა ქართულ საკრავთა საუფლოში - დაკარგული კულტურის ძიებას ემსგავსება.

იეროფანიულ მისტერიებში ჩართული ფანდური ექსტატიურ ცეკვებსაც ახლდა თან, რასაც გვამცნობს ვერა ბარდაველიძე. ხაზგასასმელია, რომ მისი სიმარტივე მოჩვენებითია - აქ მხოლოდ დაწურული სრულყოფისა და კონტექსტის მომცველობის ნაზავი ჩანს - სრულიად გაუგებარი გარეგნული და ხშირად "მრავალსიტყვა" გამაღიზიანებლებისაკენ მსწრაფველი დღევანდელობისათვის. ფანდური გულიანი, ალალი, სანდო ადამიანივით "წრფელია". მასში ხის მასალის თავისებური სითბოც დიდი პირდაპირობითაა ამოთქმული. ემიგრანტთა წრეებში ის "პორტატულ" საქართველოდ აღიქმება, რაც ნათელი გახდა არაჩვეულებრივ პიროვნებასთან - ბატონ ოთარ პატარიძესთან კონტაქტისას.

უფაქიზესია ძველებურ ინტერიერთა გამამშვენებელი ჩონგური, რასაც ცხადყოფს, მაგალითად, კაპიტონ ცანავას უზადო ნახელავი - თავისი ცოცხალი სინატიფითა და ფორმის ჩამოქნილობით. ის საკრალურ ბგერათა ზღვაში შეცურებულ ხომალდს მიაგავს. მის ფანდურზე მეტი სილბოს მქონე ბგერადობაში, ზღვის სტიქიის არაპირდაპირ გამოძახილს თან ახლავს სავარაუდო "გახსნილობაც" მედიტერანული სივრცისადმი. ჩონგურში ჩვენი მრავალხმიანობის მატრიცაა ჩაქსოვილი. უცვალებელი სიმი ზილი-აკორდთა შეფერილობას ამდიდრებს და გამაერთიანებელიცაა. ჩონგური შეუცვლელია გულშიჩამწვდომ ლირიკულ მელოდიათა აჟღერებისას - სიმღერის თანხლების დროსაც, და სოლირების შემთხვევაშიც. მასვე ძალუძს ენერგიულად "ორკესტრული" (ანზორ ერქომაიშვილი) ხმიანობაც, რაც ჩანს დიდებული ოსტატის, გრიგოლ გარუჩავას "ხორუმში". ემოციური დიაპაზონიც ფართო აქვს - "ჩაფიქრებული" ჰანგიდან დაწყებული, და "აწყვეტილი" ჭენების დინამიკურად მტკიცე რიტმით დასრულებული. ქალბატონი მანანა შილაკაძე, ძველ ინსტრუმენტთა მკვლევარი და მესაიდუმლე - გვაუწყებს, რომ ჩონგურს მცენარეთა უკეთ ზრდისათვის აჟღერებდნენ საგანგებოდ.

უთუოდ განსაკუთრებული ფენომენია ხემიანი ჭუნირი - მისი სავსე, ნაჯერი აკორდული კომპლექსები, გეგონება - გეოლოგიურ პლასტთა სიღრმეში აღწევს. ამ საკულტო ინსტრუმენტში მიწის სტიქიის საწყისი ამოიცნობა, მაშინ როდესაც ჩანგისათვის უფრო "ასტრალურ" სფეროებთან მიახლება ჩანს სახასიათო თავისი, ბგერის მისტიკური სისუფთავით (რომელსაც ამასთან - სიმტკიცეც არ აკლია), და შეუდარებელი, "რევერბერაციული" სივრცისეულობით. მათი თანადროული აჟღერება თითქოს მთელ კოსმოსს მოიცავდა, განსაკუთრებით კერისა და კვარის ათინათებიანი შუქით ძალუმად ზემოქმედ, სვანური მაჩუბის საიდუმლოებით მოცულ ინტერიერში.

ჩვენს დასარტყამ საკრავთაგან დოლი "სიმხნევით", დაუოკებელი აქტივობითა და ულევი ენერგეტიკით გამოირჩევა. იგი ქართული ცეკვის მოთოკილი ექსპრესიისა და "გამონაკვთული" სრულყოფისაგან განუყოფელია, ხოლო დიპლიპიტო, ეს კოხტა, "ხალისიანად" მოხატული საკრავი, თავისი "თიხისეული" ჟღერადობითა და რიტმის მიკროსტრუქტურებით - უფრო კამერულია. ისინი ჩინებულად ავსებენ ურთიერთს.

ამდაგვარ მოკლე და არასრულ "თვალგადავლებაშიც" კი ჩანს ჩვენს ტრადიციულ ინსტრუმენტთა მნიშვნელოვანება, რისი უცილობელი დასტურია ივანე ჯავახიშვილის ფუნდამენტური კვლევა.

საბედნიეროდ დღესაც გვყავს არაჩვეულებრივი მუსიკოსები, "ხალხურ ინსტრუმენტთა" დიდი ენთუზიაზისტები, უმაღლესი რანგის ოსტატები - ხვიჩა ღვთისიაშვილი, ალეკო ხიზანიშვილი, დავით ყიფიანი, ლევან ვეშაპიძე და მრავალი სხვა, რომელნიც თავდაუზოგავად იღვწიან ამ ინსტრუმენტთა მთელი სიღრმის ჩაწვდომისათვის. მათი მიზანსწრაფვა დასაფასებელია, რადგან ტრადიციულ საკრავიერ მუსიკას ძალიან აკლია თანადგომა და აღიარება. მივიწყებულია ამ სფეროს მრავალი მოამაგე, თუნდაც მეტად საინტერესო, მასშტაბურ ექსპერიმენტთა განმახორციელებელი, ბატონი კირილე ვაშაკიძე.

მთავარი კი ის არის, რომ ძველებურ ქართულ ინსტრუმენტთა სამყარო კვლავ იქცეს არა მხოლოდ წარსულის კუთვნილებად, არამედ ყოველგვარი "გაპაპსება-პროფანაციის" გარეშე, დღევანდელი ცოცხალი კულტურის შემადგენლად.



*ზურაბ ლეჟავას ნახატები*

ფეხბურთი

# პირველი მეტოქე - საფრანგეთის "სოშო"






*გეგუჩაძე კენჭისყრის შედეგით არც კმაყოფილია და არც უკმაყოფილო.*

მიხეილ აბაიშვილი

გუშინ შვეიცარიის ქალაქ ნიონში მდებარე უეფას შტაბბინაში გაიმართა უეფას თასის ჯგუფური ტურნირის წილისყრა. გამოვლინდნენ ქვეჯგუფში თბილისის "დინამოს" მეტოქეები. "დინამო" აღმოჩნდა D ჯგუფში, სადაც ასევე იასპარეზებენ ინგლისის "ნიუკასლ იუნაიტედი", საფრანგეთის "სოშო", პორტუგალიის "სპორტინგი" და საბერძნეთის "პანიონიოსი". ცნობილია მატჩების განრიგიც:

*21 ოქტომბერი:*
**"დინამო" - "სოშო"**
*4 ნოემბერი:*
**"ნიუკასლ იუნაიტედი" - "დინამო"**
*25 ნოემბერი:*
**"დინამო" - "სპორტინგი"**
*1 დეკემბერი:*
**"პანიონიოსი" - "დინამო"**

ქვეჯგუფიდან მეთექვსმეტედფინალში პირველ სამ ადგილზე გასული გუნდები გადიან და, შეიძლება ითქვას, "დინამოს" ჯგუფური ეტაპის გადალახვის არცთუ ურიგო შანსი აქვს. ამისთვის საკმარისი იქნება 6 ქულის დაგროვება. რა თქმა უნდა, ჯგუფში სერიოზული მეტოქეები არიან, მაგრამ არც იმდენად ძლიერნი, რომ მათთან წარმატებაზე ფიქრი არ შეიძლებოდეს. "ნიუკასლს" თუ არ ჩავთვლით, დანარჩენი სამი გუნდი "დინამოს" მიერ წინა ეტაპზე დამარცხებულ კრაკოვის "ვისლას" არაფრით აღემატებიან.

გთავაზობთ წილისყრის შედეგებზე თბილისის "დინამოს" მთავარი მწვრთნელის გია გეგუჩაძის კომენტარს.

"წილისყრის შედეგებზე ჩემი რეაქცია ჩვეულებრივი იყო. ამ ეტაპზე სუსტი გუნდები თითქმის არ არიან და ოცდაცხრამეტივე სავარაუდო მეტოქე მეტ-ნაკლებად სერიოზული, ანგარიშგასაწევი ძალაა. ასე რომ, ჩვენს ქვეჯგუფს სუსტს ნამდვილად ვერ უწოდებ, თუმცა, უფრო რთულ ჯგუფშიც შეიძლებოდა მოვხვედრილიყავით. დღეიდან დავიწყებთ მეტოქეების შესახებ ინფორმაციის შეგროვებას. მაქსიმალურად კარგად შევისწავლით ოთხივე გუნდს და ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ქართველი გულშემატკივრები ისევ გავახაროთ.

რაც შეეხება ჩვენს უახლოეს მეტოქეს, საფრანგეთის "სოშოს", რომელსაც თბილისში 21 ოქტომბერს ვუმასპინძლებთ, ყოველ კვირას თამაშობს ისეთ გუნდებთან, როგორებიცაა "ლიონი", "მარსელი", "პარი სენ-ჟერმენი", "მონაკო" და კერკეტ კაკლადაც ითვლება - ამ გუნდთან ქულის მოპოვება ყველას უჭირს", - განაცხადა გეგუჩაძემ.

# მაიკლ ოუენს ესპანელთა რისხვა დაატყდა თავს

ნინო ტიკარაძე

*არც მთლად სახარბიელო, შეიძლება ითქვას, წარუმატებელიც კი აღმოჩნდა "ლივერპულის" ყოფილი თავდამსხმელის მაიკლ ოუენისთვის მსოფლიოს უმდიდრეს და უძლიერეს გუნდ "რეალში" გადასვლა. ბოლო რამდენიმე დღეა, ესპანური ჟურნალ-გაზეთები ინგლისელი ფორვარდის გამკიცხავი სტატიებითაა აჭრელებული.*



*ესპანურმა პრესამ ოუენი აითვალწუნა.*

"რეალსა" და "დეპორტივოს" მატჩში წარუმატებელი თამაშის გამო ესპანურმა სპორტულმა ელიტურმა გაზეთმა "Marca"-მ ინგლისელ თავდამსხმელს მაიკლ ოუენს ცუდი ფეხბურთელი უწოდა და მას მიუძღვნა ვრცელი სტატია სათაურით: "ოუენ, ეს ძალიან ცუდია!"

"ლივერპულის" მწვრთნელს რაფაელ ვენიტესს ჭიქა შამპანურით უნდა აღენიშნა ის დღე, როცა ოუენის გაყიდვის კონტრაქტს მოაწერა ხელი... ოუენი არ არის ტოტი. იგი არც ფიგუა, არც რაული, არც ზიდანი," - ვკითხულობთ სტატიაში, რომლის ავტორი დარწმუნებულია, რომ 24 წლის თავდამსხმელმა "დეპორტივოს" წინააღმდეგ თამაშისას მნიშვნელოვანი მომენტები ვერ გამოიყენა. სიმართლე რომ ითქვას, ამ მატჩის მოგება ძალიან მნიშვნელოვანი იყო მადრიდის "რეალისთვის", რადგან "რეალმა" პრიმერა დივიზიონის ექვსი თამაშიდან სამი შეხვედრა წააგო და მხოლოდ ოთხი გოლის გატანა შეძლო - ეს კლუბის ისტორიაში სეზონის ყველაზე წარუმატებელი დასაწყისია.

კლუბში ოუენის მიმართ დიდ მორალურ მხარდაჭერას იჩენს "რეალის" ყოფილი თავდამსხმელი და კლუბის ახლანდელი სპორტული დირექტორი, ლეგენდარული ემილიო ბუტრაგენიო. მისი აზრით, ოუენს ჯერ კიდევ სჭირდება დრო ადაპტაციისთვის. ბუტრაგენიო ღრმადაა დარწმუნებული, რომ ინგლისელი ლეგიონერი ამ კრიზისს აუცილებლად დაძლევს. "მე მჯერა მაიკლის. ის ახლახან ჩამოვიდა და გარემოსთან შესაგუებლად დრო სჭირდება. სხვათა შორის, იგივე პრობლემები ჰქონდათ ზინედინ ზიდანსა და რონალდოს. მე ოუენს ვესაუბრე. მას შეუძლია სიმშვიდის შენარჩუნება, ეს კი მთავარი და მნიშვნელოვანი ფაქტორია სიძნელის გადასალახავად."

ბუტრაგენიო დარწმუნებულია, რომ ოუენი აუცილებლად დაბრუნდება ესპანეთში თავის ქვეყანაში მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო მატჩების ჩატარების შემდეგ. "მეც თავდამსხმელი ვიყავი და ვიცი, როგორი მნიშვნელოვანია, როცა შანსს გაძლევენ. ყველას ვურჩევ სიმშვიდის შენარჩუნებას, რადგან მჯერა, რომ ოუენის დროც მოვა და იგი მომავალში დაგვეხმარება."

9 ოქტომბერს ინგლისი შეხვდება უელსის გუნდს, 13 ოქტომბერს კი - აზერბაიჯანისას, თუმცა, ამ მატჩებში ოუენის თამაში ჯერ კიდევ ეჭვის ქვეშ დგას. ამის მიზეზი მისი წარუმატებელი გამოსვლაა მადრიდის "რეალში, თუმცა, ოუენი საკუთარ თავში დარწმუნებულია და აცხადებს, რომ თავისი ქვეყნის დახმარება შეუძლია. მან ინგლისის ნაკრების მწვრთნელს ერიქსონს აღუთქვა, რომ ამ მატჩებში მონაწილეობის შემთხვევაში იგი საკუთარ შესაძლებლობებს მაქსიმალურად გამოავლენს, თუმცა, ერიქსონს საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღია.

ჭადრაკი

# ეკვატორთან

შვეიცარიის ქალაქ ბრისაგოში გრძელდება კლასიკურ ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის მატჩი რუს ვლადიმირ კრამნიკსა და უნგრელ დიდოსტატ პეტერ ლეკოს შორის. ექვსი პარტიის შემდეგ ანგარიში საყაიმოა - 3:3. მეტოქეები მეშვიდე პარტიას ითამაშებენ და მატჩიც ეკვატორს გადალახავს. თეთრი ფიგურებით ითამაშებს ლეკო, რომელმაც ცუდი სტარტის შემდეგ მდგომარეობა გამოასწორა და ანგარიში გაათანაბრა. შეგახსენებთ, რომ ამ წყვილში გამარჯვებული მოიპოვებს მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონის ტიტულისთვის ფინალურ მატჩში თამაშის უფლებას. მისი მეტოქე კი გარი კასპაროვსა და რუსტამ კასიმჯანოვს შორის გამარჯვებული იქნება. ოღონდ, ჯერჯერობით, ამ მატჩის გამართვის თარიღი და ადგილი უცნობია.

საოცარია, მაგრამ თუ საჩემპიონო მატჩის მიმდინარეობას გულდასმით დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ ბრძოლისა და შეუპოვრობის ხარისხი ამ მატჩში უაღრესად დიდია, იმის მიუხედავად, რომ ორი სწრაფი ყაიმი დაფიქსირდა და მეტოქეები მხოლოდ შაბათობით თამაშობენ შედეგიანად. 26 სექტემბერს, შაბათს, პირველი პარტია კრამნიკმა მოიგო. ერთი კვირის შემდეგ, 2 ოქტომბერს კი - ლეკომ. თუ ამ ლოგიკით ვიხელმძღვანელებთ, მომავალ შედეგიან პარტიას 9 ოქტომბერს უნდა ველოდოთ. თუმცა, რასაკვირველია, ეს მხოლოდ ვარაუდია.




საჭადრაკო სამყაროში კრამნიკიც და ლეკოც თავისი უნივერსალიზმით არიან ცნობილი. მათ აქვთ უნარი, შეეგუონ სიტუაციას, როცა ინიციატივა მეტოქის ხელშია, ხოლო საკუთარი სტილი დროებით უკანა პლანზე გადადონ. სწორედ ასეთი უნივერსალური მოჭადრაკეები არკვევენ ერთმანეთში ურთიერთობას. საინტერესო ამბავია, უნივერსალური მეომრები შაბათობით იმარჯვებენ. კარგი, ჩავთვალოთ, რომ ეს მხოლოდ მცირე გადახვევაა, მაგრამ თუ 9 ოქტომბრის პარტიაც შედეგიანი გამოდგა, მაშინ "შაბათობით გამარჯვებებიც" უნდა ვირწმუნოთ.

საერთოდ, ამ მატჩიდან ასეთი მთავარი დასკვნა უნდა გამოვიტანოთ: საჭადრაკო სამყაროს მოენატრა ნორმალური კლასიკური ჭადრაკის ყურება. საკმარისია, გადავხედოთ ზოგიერთ საბუკმეიკერო საიტს, მაშინვე მივხვდებით, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება ამ მატჩს. ფსონები მიიღება არა მარტო გამარჯვებასა და მატჩის შედეგზე, რაც სრულიად ბუნებრივია, არამედ ფსონი შეიძლება დაიდოს პირველ სვლაზე, სვლების რაოდენობაზე, ყაიმების რაოდენობასა და, თქვენ წარმოიდგინეთ, ერთ კონკრეტულ პარტიაში ქიშების რაოდენობაზეც.

ფული კი მთელ ამ ბუკმეიკერულ სიგიჟეში ძალიან ბევრი ტრიალებს და ესეც უაღრესად თვალსაჩინოა. სიმართლე რომ ითქვას, სწორედ ასეთი ტიპის მატჩებს ელოდება მთელი მსოფლიო და არა მხოლოდ უძველესი თამაშის მოყვარულები. საერთოდ, ბრძოლის ხარისხიც კარგად პასუხობს მსოფლიო სტანდარტებს. თუ ტრიპოლის მსოფლიო ჩემპიონატს დავუბრუნდებით, დავინახავთ, რომ იქ მოთამაშეები იმდენად ქარაფშუტულად თამაშობდნენ, რამდენადაც ეს ტრიპოლის ტურნირს - ნოკაუტ-ჩემპიონატს ეკადრებოდა. ყაიმზე კრამნიკი და ლეკოც მიდიან, მაგრამ პირველ სვლებზე დედოფლებს არ ცვლიან.

ორივე მეტოქემ თითო პარტია მოიგო. კრამნიკმა რუსული პარტიით, ეგრეთ წოდებული პეტროვის დაცვით დაამარცხა ლეკო, უნგრელმა კი მეტოქეს დედოფლის გამბიტით მოუღო ბოლო, როცა ყაიმი ყველაზე უფრო მოსალოდნელი იყო. ამდენად, მატჩის შედეგის გამოცნობა პრაქტიკულად შეუძლებელია. ცნობილია მხოლოდ, რომ ყაიმი ხელს აძლევს კრამნიკს, რომელიც მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს შეინარჩუნებს.

ახლა ცოტა იმაზეც ვისაუბროთ, თუ სად მიმდინარეობს მატჩი. შვეიცარიის პატარა ქალაქი ბრისაგო ქვეყნის სამხრეთით მდებარეობს. სავსებით შესაძლებელია, რომ ეს ქალაქი ველარასდროს იხილავს ერთად თავმოყრილ ამდენ ჟურნალისტსა და "ვიპ"-პერსონას, რომლებიც პირდაპირ შემოესივნენ ორიათასიან კურორტს ლაგო-მაჯორეს ტბის ულამაზეს ნაპირზე. ამ კურორტის ერთ-ერთ ღირსშესანიშნაობად მიიჩნევა კულტურული ცენტრის შენობა, რომელიც სიგარების მწარმოებელ კომპანია Dannemann-ს, ლეკო-კრამნიკის მატჩის გენერალურ სპონსორს ეკუთვნის. სხვათა შორის, შვეიცარიული ფირმის ძვირფასი სიგარები ხელით მზადდება და თითო სიგარის დამზადებას 20 წუთი სჭირდება. ეს კი ძალზე შრომატევადი საქმეა.

"იტალიური შვეიცარიის" სილამაზე საყოველთაოდ ცნობილია. ლეკო ხუმრობს კიდეც, რომ პეიზაჟი, რომელიც მისი ფანჯრიდან მოჩანს, კონცენტრაციაში ხელს უშლის. კრამნიკმაც აღნიშნა, რომ მატჩის გამართვის თარიღი მას აბსოლუტურად აკმაყოფილებს და დასტურად დაასახელა ხედი, რომელიც მისი ნომრიდან ჩანს. "გადაიხედეთ ფანჯრიდან და მიხვდებით, რომ ამ სიტუაციაში სიტყვები საჭირო არ არის", - განაცხადა ვლადიმირ კრამნიკმა.

კრამნიკი და ლეკო შვეიცარიული პეიზაჟებით კი მოიხიბლნენ, მაგრამ ჭადრაკის მოყვარულები დიდოსტატებს ხშირად დისკომფორტს უქმნიან. მაგალითად, მეხუთე პარტიის მსვლელობისას საჩემპიონო მატჩის ოფიციალურ ინტერნეტ-საიტს ჰაკერებმა შეუტიეს. ამის გამო საერთაშორისო ოსტატის იაკობ ოგაარდისა და პროგრამა "ფრიტცის" კომენტარები მიუწვდომელი გახდა.

სხვათა შორის, "ფრიტცი", რომელიც თავის მსგავსებს შორის არაერთხელ გამხდარა მსოფლიო ჩემპიონი, მეტოქეთა შანსებს ერთობ ორიგინალურად და საინტერესოდ აფასებს. კერძოდ, პირველ პარტიაში ის კრამნიკისთვის უპირატეს პარტიას სთავაზობდა დაინტერესებულებს, მაგრამ ადამიანმა ბევრად უფრო ჭკვიანურად და ლამაზად ითამაშა, ვიდრე მანქანამ. მეხუთე პარტიაში კი ხელოვნური ინტელექტი ფრიად გაოცებული დარჩა იმით, რომ კრამნიკი დამარცხდა, რადგან ყაიმის ალბათობა იმ პარტიაში ბევრად უფრო დიდი იყო. თუმცა, ბოლოს და ბოლოს, ეს ხომ კარგია! ჭადრაკს ხომ ძლიერი პიროვნებები და, მართალია, "უნივერსალური ჯარისკაცები", მაგრამ მაინც ცოცხალი ადამიანები თამაშობენ.

ოლიმპიზმი

# სექსი: საზიანო თუ სასარგებლო?

გიგა გურასაშვილი

*მწვრთნელთა ერთი ნაწილი თვლის, რომ სექსით ზედმეტად გატაცება სპორტსმენებზე და, შესაბამისად, შედეგებზე უარყოფითად მოქმედებს. გავრცელებული აზრის მიხედვით, სექსი საზიანოა სპორტსმენის პროფესიული მზადყოფნისთვის. თუმცა, არსებობს განსხვავებული აზრიც, თანაც, მეცნიერთა მიერ გამყარებული დასკვნებით, რომლის მიხედვით სექსი ბევრად უფრო სასარგებლო შეიძლება იყოს სპორტსმენისთვის, ვიდრე მისგან თავშეკავება, მაგრამ... მაგრამ ის, რომ ამ შემთხვევაში უპირატესობა ქალების მხარესაა.*



*ოლიმპიელები არც საროსკიპოებისთვის არიან უცხო.*

თითოეულ თქვენგანს არაერთხელ სმენია იმის თაობაზე, რომ შეჯიბრების წინ მამაკაც სპორტსმენებს ქალებთან ურთიერთობას უკრძალავენ, ხოლო ქალებს პირიქით, ურჩევენ, შეძლებისდაგვარად თავშეუკავებელნი იყვნენ პარტნიორთან. ეს ის თემაა, რომლის მიმართ, არა გვგონია, ვინმე გულგრილი დარჩეს. ასე რომ...

1994 წელს გერმანიის ნაკრების მაშინდელი მწვრთნელი ბერტი ფოგტსი საკუთარ ფეხბურთელებს მატჩის წინ სექსს უკრძალავდა - მოედანზე ენერგიით სავსე მოთამაშეები მჭირდება და არა მისავათებულებიო. ფოგტსის არგუმენტი პირველი როდია, რომელმაც სექსი საფეხბურთო მოედანს დაუკავშირა.

"უიმბლდონის" მწვრთნელი ტერი ბერტონი საკუთარ მარცხს ხშირად იმით ხსნიდა, რომ ფეხბურთელები თამაშის წინ დიდი ხნით იყვნენ დაკავებული სექსით.

ამ მხრივ ყველაზე ცუდ დღეში არიან კრიკეტის მოთამაშეები, რომელთა საერთაშორისო შეხვედრები დიდხანს გრძელდება. კრიკეტის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამარჯვებულის გამოვლენას დღეები და კვირები სჭირდება. ხანდახან იქმნება შთაბეჭდილება, რომ კონკრეტული მატჩი, შესაძლოა, უსასრულობამდეც კი გაგრძელდეს.

თუ ყველაფერ ამას დავუმატებთ საზღვარგარეთ თვეობით გაგრძელებულ ტურნეებს, მათი საცოდაობით ბევრს შეიძლება გულიც მოუკვდეს.

ალბათ, ბევრმა არ იცის, თუ რა იყო ჯორჯ ბესტის ფეხბურთიდან ნაადრევად წასვლის მიზეზი. ყოველ შემთხვევაში, ამბობენ, ბესტი ქალებმა დაღუპესო. ზოგადად კი ცნობილია, რომ არაფერზე ამბობდა უარს. როცა უნდოდა, ალკოჰოლსაც ეტანებოდა და სიგარეტსაც აბოლებდა. ქალებთან დაკავშირებით კი უკან არაფერზე იხევდა. მეტისმეტად დიდ დროს ატარებდა "მის მსოფლიოს" გამოსავლენ კონკურსებზე, რათა საკბილოები შეეგულებინა და მერე მათთან განმარტოებულიყო. თუმცა, როგორც თავად ამბობს, ქალებთან დროსტარება სულაც არ განაპირობებდა მის ფიზიკურ მზადყოფნას. უბრალოდ, უნდა იცოდეთ, როდის რა გააკეთოთო. უფრო სწორად, ბესტის მოსაზრებითა თუ გამოცდილებით, კაცსა და ქალს შორის სხვაობა მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს, თუ სექსით მატჩამდე რამდენიმე წუთით ადრე იყავით დაკავებულიო. "ერთი რამ ზუსტად ვიცი: ყველაფერ ამას ჩემს თამაშზე არავითარი გავლენა არ მოუხდენია".

საინტერესოა, რას ფიქრობენ სექსისა და სპორტის ურთიერთკავშირზე თავად სპორტსმენები. სახელოვანი ბრიტანელი სპრინტერის ლინფორდ კრისტის მოსაზრება, შესაძლოა, დარიგებად, გნებავთ, გაფრთხილებადაც მიიღოთ. კრისტის მწარე გამოცდილებით, სტარტის წინ სასიყვარულო სარეცელს იქამდე მივყავართ, რომ დილით კიდურებში ძალას ვერ გრძნობთ.

ბუნებრივია, ფოგტსისა და ბერტონის მოსაზრებებს თუ კრისტის გამოცდილებას მოწინააღმდეგეებიც ჰყავთ. მათგან განსხვავებით, ცნობილი ბეისბოლისტი და ორი სახელგანთქმული კლუბის – "ნიუ იორკ იანკისა" და "ნიუ იორკ მეტსის" ყოფილი მწვრთნელი კეისი სტენჯელი, რომელიც ხმაურიან თავყრილობებს არასდროს გაურბოდა, თავმომწონედ გვეუბნება, რომ მთელი ღამის განმავლობაში ქალთან დროსტარებას დღემდე არც ერთი ბეისბოლისტისთვის არ უვნია. ერთადერთი უსიამოვნება მთელი ღამის განმავლობაში ქალის მოძებნააო.

და მაინც, რატომაა, რომ ქალ სპორტსმენებზე აკრძალვა არ ვრცელდება?

თვეზე მეტია, რაც ათენის ოლიმპიური თამაშები დამთავრდა. ოლიმპიური თამაშები კი ის ადგილია, რომელიც ოლიმპიურ სოფელში მსოფლიოს რჩეულ ათლეტებს უყრის თავს. ოლიმპიური სოფელი კი ის ადგილია, რომელსაც რამდენიმე კვირის განმავლობაში, ყველაფერთან ერთად, დიდი გასაცნობი კლუბის – მარებელის ფუნქცია აკისრია. ოლიმპიური თამაშების დამთავრების შემდეგ, გარდა იმისა, რომ ითვლიან, რომელმა ქვეყანამ რამდენი მედალი მოიპოვა და მთლიანობაში რომელი ადგილი დაიკავა, იმასაც ითვლიან, თუ რამდენი პრეზერვატივი იქნა გამოყენებული. ბუნებრივია, გამონაკლისი არც ათენის ოლიმპიური თამაშები ყოფილა, სადაც მსოფლიოს რეკორდებთან ერთად სხვა რეკორდიც დაემხო.

ათენის თამაშებისთვის ოლიმპიური სოფლის მცხოვრებლებს საგანგებოდ დამზადებული 130 ათასი პრეზერვატივი და 30 ათასი პაკეტი საცხი დაურიგდათ, რაც, თურმე, ორჯერ მეტი ყოფილა სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე მოხმარებული იგივე საგნების რაოდენობაზე. ასე რომ, შეგვიძლია დავასკვნათ: სპორტული ვნებათაღელვის გარდა, ათენის ოლიმპიურ სოფელში არც საღამოებს ჩაუვლია სექსუალური "ორთაბრძოლების" გარეშე. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ვაჟ სპორტსმენებზე სექსი უარყოფითად მოქმედებს, მაშინ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ მხრივ უფრო აქტიურები ქალები ყოფილან. ებრაელი ექსპერტი, დოქტორი ალექსანდრ ოლშანეტსკი ატლანტის ოლიმპიური თამაშების წინ აცხადებდა: "ორგაზმის შემდეგ ქალები უკეთეს შედეგებს აღწევენ სპორტში. რაც მეტია ორგაზმი, მით მეტია მედლის დაუფლების შანსი...

ჩვეულებისამებრ, მწვრთნელები საკუთარ სპორტსმენებს სექსისგან თავშეკავებას ურჩევენ, მაგრამ ქალებისთვის ეს ცუდი რჩევაა.

ეს იმიტომ, რომ ვაჟები სხვაგვარად არიან მოწყობილი. ამიტომ სექსმა, რომელიც ქალს მობილიზებაში უწყობს ხელს, ვაჟები, შესაძლოა, გამოფიტვამდე მიიყვანოს".

ათენის ოლიმპიური თამაშების მსვლელობისას The Mirror-მა პენსიაში გასული ერთ-ერთი ბრიტანელი სპორტსმენის სიტყვები წაიმძღვარა: "როდესაც კარგ ფიზიკურ ფორმაში ხართ და ოლიმპიური თამაშებიც აღგაგზნებთ, თქვენ სექსი გჭირდებათ".

მაგრამ თუ ვაჟები ათენში სარბიელზე გასავლამდე თავს იკავებდნენ, შეჯიბრების დამთავრებისთანავე მათ დაოკებას არც აზრი აქვს და არც შემჩერებელია ვინმე. მით უმეტეს, თუ ოლიმპიელს ბრინჯაოს, ვერცხლის ან ოქროს მედალი უმშვენებს მკერდს.

"თუ ადამიანმა გაიმარჯვა, ის იმდენად აღგზნებულია, რომ სექსი სწყურია. თუ ხელმოცარულია, მაშინ მარცხის დავიწყება სურს", - ესეც იმ უცნობი ბრიტანელი სპორტსმენის სიტყვებია.

სხვათა შორის, საროსკიპოებს საკუთარი ქულათა დარიცხვის წესიც კი აქვთ შემუშავებული.

"სპორტსმენის გამოჭერაზე გარკვეულ ქულებს იწერთ, - საიდუმლოს ამხელს ვინმე 26 წლის გრძელფეხება ქერათმიანი ჯესიკა. – კერძოდ: ნახევარი ქულა ოლიმპიადის მონაწილის ლოგინში შეთრევაზე, მერე კი, შესაბამისად, ერთი, ორი და სამი ქულა ბრინჯაოს, ვერცხლისა და ოქროს მედალოსანზე. თუ ჩემპიონი ჩაგივარდათ ხელში, ჩათვალეთ, რომ ჯეკპოტი მოხსენით".

ასეთ გაჯიბრებაში საროსკიპოები საკუთარ, მარტივ პრიზებს აწესებენ – დაუვიწყარი ღამე იმ კაცთან, რომელიც ფიზიკური განვითარების მწვერვალზეა. პლუს ბონუსი – სიამაყის გრძნობა იმისთვის, რომ საწოლში ეროვნული გმირი შეათრიეთ.

"სპორტსმენთან სექსის შემდეგ ნაკლებზე აღარ დათანხმდებით, - საკუთარ გამოცდილებას გვიზიარებს ერთ-ერთი ხმაურიანი სალამოს მონაწილე. – მათ ბუნებით მოსწონთ ექსტრიმი, მათთვის ჩვეულებრივი ამბავია მეტოქეობა, ამიტომ ლოგინში თამამები და ძლიერები არიან".

მოკლედ

## რინკონი კიევში 2010 წლამდე დარჩება

ბრაზილიელმა უნივერსალმა დიეგო რინკონმა კიევის "დინამოსთან" დადებული კონტრაქტი 2010 წლამდე გააგრძელა. 2002 წლის აგვისტოში რინკონი პირველად მოხვდა კიეველთა ძირითად შემადგენლობაში. დღეს ის შეუცვლელი ფეხბურთელია კიევის "დინამოსთვის". ბრაზილიელმა ლეგიონერმა კიევის "დინამოს" რიგებში უკრაინის ჩემპიონატში 60 მატჩი ჩაატარა და 16 გოლი გაიტანა, ევროთასებზე კი 16 შეხვედრა აქვს ჩატარებული და 8 გოლი გატანილი. საუბარი კონტრაქტის გაგრძელებაზე ჯერ კიდევ 2003 წლის სეზონის შემდეგ დაიწყო. ამის მიზეზი იყო უკრაინის თასის ფინალში დონეცკის "შახტარის" კარში გატანილი გოლი, რომელმაც კიეველებს გამარჯვება მოუტანა. უკრაინის თასის ფინალში გამარჯვება რინკონისთვის პირველი უკრაინული ტიტული აღმოჩნდა. 24 წლის ბრაზილიელი 1997 წელს მსოფლიო ჩემპიონი გახდა (17 წლამდე). კიევის "დინამოში" 2002 წელს გადავიდა ბრაზილიური "ინტერნასიონალედან". რინკონის ახლანდელი კონტრაქტი 2006 წელს იწურებოდა, თუმცა, როგორც ვთქვით, კიეველებმა მას კონტრაქტი გაუგრძელეს.

## ობაფემის ტრავმა მსუბუქი აღმოჩნდა

მილანის "ინტერმა" სასიხარულო ცნობა მიიღო მარტენს ობაფენეს ტრავმასთან დაკავშირებით. მარტენს ობაფენმა ტრავმა მიიღო ჩემპიონთა ლიგის მატჩში "რომას" წინააღმდეგ. ფორვარდი იძულებული გახდა, პირველივე ტაიმში მოედანი დაეტოვებინა. თავიდან ფიქრობდნენ, რომ მარტენს წვივის პატარა ძვლის მოტეხილობა ჰქონდა, თუმცა ექიმებმა დაადგინეს, რომ მოტეხილობა არ არის. რამდენი დღე დასჭირდება მარტენსს ტრავმის მოსაშუშებლად, ზუსტად არავინ იცის, მაგრამ "ინტერნაციონალეს" ხელმძღვანელობა იმედს არ კარგავს, რომ 19 წლის ნიგერიელი 20 ოქტომბერს "ვალენსიასთან" მატჩში ძირითად შემადგენლობაში ითამაშებს.

## იცხაკ შუმი გაათავისუფლეს

ბერძნული "პანათინაიკოსის" ხელმძღვანელობამ გუნდის მთავარი მწვრთნელი, ებრაელი იცხაკ შუმი თანამდებობიდან გაათავისუფლა. ბერძნული კლუბის დირექციას ახალი მწვრთნელი დიდხანს არ უძებნია. ამიერიდან "პანათინაიკოსს" ჩეხი სპეციალისტი ზდენეკ ჩასნი გაწვრთნის. 2003 წლის ნოემბრიდან, მას შემდეგ, რაც ჩასნიმ კრეტას "ოფი" დატოვა, "პანათინაიკოსში" სკაუტის როლს ასრულებდა და ბერძნული კლუბისთვის პერსპექტიულ ახალგაზრდებს ქვეყნის ყველა კუთხეში ეძებდა. კონტრაქტის დეტალები არ ხმაურდება, ამიტომ ზუსტად ვერაფერს ვიტყვით იმის შესახებ, თუ რამდენ ხანს მოუწევს ჩეხ სპეციალისტს ბერძნული გუნდის სათავეში ყოფნა. ზდენეკ ჩასნი 1998-1999 წლებში პრაღის "სპარტას" ედგა სათავეში, ამის შემდეგ კი, 2002 წლამდე, სანამ კრეტას "ოფში" წავიდოდა, ჟიუკოვის "ვიქტორიას" წვრთნიდა.

## მიურეი შოტლანდიის ნაკრებში აიყვანეს

შოტლანდიის ეროვნული ნაკრების გერმანელმა მწვრთნელმა ბერტი ფოგტსმა ნორვეგიისა და მოლდოვის ნაკრებებთან მატჩების წინ "ჰიბერნიანის" კაპიტანი იან მიურეი გაიხსენა და ეროვნული გუნდის მაისურის მორგება შესთავაზა. ეს მატჩები 2006 წლის მუნდიალის შესარჩევი ციკლის შეხვედრებია. 23 წლის მიურეის აქამდე მხოლოდ ერთხელ, ორი წლის წინ უთამაშია ეროვნულ გუნდში, კანადის ნაკრების წინააღმდეგ. გერმანელმა მწვრთნელმა მიურეის ნაკრებში გამოძახება ასე ახსნა: "ჩვენი გუნდის ოთხი მცველი ტრავმირებულია. ისინი ვერ ითამაშებენ ვერც ნორვეგიასთან და ვერც მოლდოვასთან. ამიტომ საჭიროდ ჩავთვალე ჯეკი მაკნამარას, კრისტიან დეილის, მალკი მაკეის და ლი უილკის ნაცვლად სხვა ფეხბურთელები გამომეძახებინა". მიურეის შეუძლია როგორც ფლანგზე, ისე დაცვის ცენტრშიც ითამაშოს. მიურეისთან ერთად ფოგტსმა ნაკრებში გამოიძახა "საუთჰემპტონის" ნახევარმცველი ნილ მაკკანი, მაგრამ მაკკანმა ტრავმა მიიღო და ნაკრებში ვერ ითამაშებს. 9 ოქტომბერს გლაზგოში შოტლანდიის ნაკრები ნორვეგიას უმასპინძლებს, ხოლო ოთხი დღის შემდეგ ტირასპოლში მოლდოვის ნაკრებს ესტუმრება. სასტარტო მატჩში სლოვენიელებთან მიღწეული ფრეს მიუხედავად, ფოგტსი ფარ-ხმალს არ ყრის და აცხადებს, რომ მომდევნო ორი შეხვედრა მისი გუნდისთვის გადამწყვეტი არ იქნება.

*მოამზადა სანდრო ნავერიანმა*

ბოულინგი

# გართობაშიც პროფესიონალები ანუ BCI-ს რჩევები სტრესისგან დასაზღვევად

ბოულინგი კარგი გასართობი და სპორტის ერთობ დემოკრატიული სახეობაა. ამასთან, ბოულინგცენტრში სადღესასწაულო განწყობის შექმნაც არ უნდა იყოს მაინცდამაინც რთული. ეს ირწმუნა ბრიტანულ-ქართულმა სადაზღვევო კომპანიამ და თავისი 6 წლის იუბილეს აღსანიშნავად ბოულინგკლუბს მიაშურა.

კომპანიის გაყიდვებისა და მარკეტინგის დირექტორის ივა დავითაიას პათეტიკური განცხადებით, ბოულინგის თამაში ხელს უწყობს გუნდური პრინციპის გაღვივებას, აადვილებს კომუნიკაციურ ურთიერთობებს და, რაც მთავარია, დაძაბულ ბიზნესგარემოში მყოფ ადამიანებს სტრესისგან ათავისუფლებს. სწორედ ამ მოტივით პერსონალური რისკების განყოფილების უფროსთან, ანდერრაიტერ სოფო გასიტაშვილთან ერთად გადაწყვიტა, თავიანთი თანამშრომლებისთვის ბოულინგური გართობა შეეთავაზებინა. უკვე მეექვსე წელია, ქართული ბოულინგის პროპაგანდა ნათლად ადასტურებს მათი გადაწყვეტილების სისწორეს.

თავად BCI-ს ხელმძღვანელობა დიდი ენთუზიაზმით შეხვდა კოლეგების მოწოდებას და მთელი კოლექტივი ერთსულოვნად დარაზმა საზეიმო ბოულინგობისთვის. სხვათა შორის, კომპანია საკმაოდ წარმატებულ ბიზნესს აწარმოებს და მნიშვნელოვნად აფართოებს თავის რესურსებს. ამ ბოლო დროს ბევრი ახალი თანამშრომელიც შეემატა და ერთ გუნდად შეიკრა, სადღესასწაულო ვითარებაში ადრინდელი მუშაკებიც შემოიერთა და გაჩაღდა ბოულინგური ასპარეზი.



როგორც ყველა სპორტული შეჯიბრება, ბოულინგის ტურნირიც გარკვეული წესების დაცვას მოითხოვს. 4-მოთამაშიან გუნდებად დაყოფილი მონაწილეები შესაბამის ბილიკებზე გადანაწილდნენ და ერთობ მოწესრიგებულად შეუდგნენ ასპარეზობას. სხვაგვარად წარმოუდგენელიც იქნებოდა: სადაზღვევო კომპანია ხომ ყოველგვარი რისკისგან დაზღვევას გვთავაზობს და ასევე ცდილობს თამაშის დროს ნებისმიერი რისკის თავიდან აცილებას. სტრესისგან დასაზღვევად კი მარტო ემოციური შეძახილი საკმარისი არ არის. უპირველესად საჭიროა, სარბიელ ბილიკზე გასვლისთანავე განიმუხტო და ლოგიკურად შეარჩიო ბურთის გაგორების ტრაექტორია, ამაში, ალბათ, გახსოვთ, ინსტრუქტორიც დაგეხმარებათ. დადებითი შედეგი კი ნამდვილად არ დააყოვნებს.

BCI-ს სასახელოდ უნდა ითქვას, რომ კომპანიის წევრთა უმეტესობა საკმაოდ კარგი მოთამაშე აღმოჩნდა. სროლის ტაქტიკითა თუ სარეიტინგო მაჩვენებლით ისინი კლუბის პროფესიონალ ბოულერებს არ ჩამოუვარდებიან. ერთი-ორმა თამაშის მაღალი კლასი აჩვენა და რეკორდული შედეგითაც გააოცა თანაგუნდელები.

მოკლედ, შეჯიბრებამ საკმაოდ აზარტულად ჩაიარა. განსაკუთრებული ოვაცია კი დაჯილდოების ცერემონიალს მოყვა. „ჯი ემ სი" ჯგუფმა არც ამჯერად უღალატა ტრადიციას და, ჩვეულებისამებრ, პრიზებით დაასაჩუქრა მონაწილეები. გამარჯვებულ გუნდს ერგო ნემიროვის არაყი და ტორტი ბოულინგცენტრისგან. ნემიროვის პრიზებით საუკეთესო მოთამაშეებიც დაჯილდოვდნენ. ერთ-ერთი მონაწილეს მამობაც მიულოცეს და ასევე ნემიროვის არაყი უსახსოვრეს. მაღალი ქულის მქონე მოხდენილ ქალბატონს კი რესტორანმა „ტოკიომ" ქლიავის ლიქიორი უსახსოვრა.

TV-სპორტი

### ოთხშაბათი. 6 ოქტომბერი

**НТВ+ФУТБОЛ**
06:00 NBA TV – ყველაფერი NBA-ს შესახებ
06:30 NBA TV. სეზონი 2000-2001. "CLEVELAND CAVALIERS" - "PHILADELPHIA 76ERS"
09:00 09:00-დან 12:00-მდე შესვენება
12:00 თავისუფალი დარტყმა
12:15 საფეხბურთო უიკ-ენდი
14:00 ინგლისის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
14:55 იტალიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
15:50 თავისუფალი დარტყმა
16:05 გერმანიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
17:05 განვლილი კვირის ჰიტ-აღლუმი
18:50 ჩემპიონთა ლიგის ჰიტ-აღლუმი. "სელტიკი" – "ბარსელონა". შესვენებისას (19:40) – თავისუფალი დარტყმა
21:05 სახვალიო ტელეპროგრამა
21:10 განვლილი კვირის ჰიტ-აღლუმი
22:55 თავისუფალი დარტყმა
23:10 საფრანგეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
00:05 ესპანეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
01:00 01:00-დან 03:00-მდე შესვენება
03:00 NBA TV – დღიური
03:30 NBA TV – NBA შიგნიდან
04:00 NBA TV. NBA-ს დიდი თამაშები. წელი 1992. პირველი წრე. "GOLDEN STATE WARRIORS" - "SEATTLE SUPERSONICS". მე-3 მატჩი

**НТВ+СПОРТ**
06:00 კალათბურთი. WNBA-ს ჩემპიონატი. დასავლეთ კონფერენციის ფინალი. "SEATTLE STORM" - "SACRAMENTO MONARCHS". მე-3 მატჩი. პირდაპირი ტრანსლაცია
08:00 08:00-დან 10:00-მდე შესვენება
10:00, 13:00, 16:00, 21:00 პრესცენტრი
10:25, 13:15 "ფორმულის ჰარმონია"
10:45 ჭადრაკი. მატჩი მსოფლიო ჩემპიონის წოდებისთვის. ვ. კრამნიკი – პ. ლეკო
11:15 როდეოს ფესტივალი კალგარიში. მეორე ნაწილი
12:00 "ვარსკვლავური სამშაბათი"
13:35 "ჰოკეი-პლუს"
13:50 ჩოგბურთი. WTA ტურნირი ბელგიაში. ფინალი
16:15 აფროსნობა. საკრეისერო იახტების რბოლა. რუსეთის ჩემპიონატი
16:45 ფიგურული სრიალი. შოუ "ყინულოვანი ოლიმპი 2004" სანკტ პეტერბურგში
19:30 კალათბურთი. WNBA-ს ჩემპიონატი. დასავლეთ კონფერენციის ფინალი. "SEATTLE STORM" - "SACRAMENTO MONARCHS". მე-3 მატჩი
21:20 სახვალიო ტელეპროგრამა
21:30 "ჰოკეი-პლუს"
21:45 პროფესიული კრივი. ფელიქს ტრინიდადი – რიკარდო მაიორგა
23:45 "სპორტული გლობუსი". "Trans World Sport" წარმოგიდგენთ
00:15 ახალი ამბები
00:30 "ჰოკეი-პლუს"
00:45 00:45-დან 04:35-მდე შესვენება
04:35 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. "სანტოსი" – "კორინთიანსი". პირდაპირი ტრანსლაცია

**EUROSPORT**
10:30 ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა
11:00 ფეხბურთი. ევროგოლები
12:00 მულტისპორტი
12:30 სნუკერი. დიდი ბრიტანეთის დიდი პრიზი
15:00 ჩოგბურთი. WTA ტურნირი გერმანიაში. პირდაპირი ტრანსლაცია
18:00 სნუკერი. დიდი ბრიტანეთის დიდი პრიზი
20:45 რალი. მსოფლიო ჩემპიონატის ეტაპი იტალიაში
22:00 აფროსნობა
22:30 გოლფი. ევროპული ტური ირლანდიაში
23:00 სნუკერი. დიდი ბრიტანეთის დიდი პრიზი. პირდაპირი ტრანსლაცია
01:45 ახალი ამბები
02:00 ცხენოსნობა. მასტერსის თასი კანადაში
03:00 მულტისპორტი ოთხშაბათობით
03:15 მულტისპორტი

# კონტრრეფორმაციის პაპები

1566 წელს წმინდა საყდარზე **პიუს V, მიკელე გიზლიერი** ავიდა. სანამ ეპისკოპოსი გახდებოდა, დომინიკელი ბერი და ინკვიზიტორი იყო. რამდენ ერეტიკოსზეც მიუწვდა ხელი, იმდენი კოცონზე გააგზავნა. პაპის ტიარა რომ დაიდგა, არც მაშინ განელებია აუტოდაფეების სიყვარული. სწორედ მან განკვეთა ეკლესიისგან ინგლისის დედოფალი **ელისაბედ I** და მის კათოლიკე ქვეშევრდომებს ამბოხებისკენ მოუწოდა. მანვე დაუჭირა მხარი ჰუგენოტების დევნას საფრანგეთში და სიხარულით მიესალმა ჰოლანდიის ესპანელ დამპყრობლებს.

მაგრამ რომის კურიისთვისაც არანაკლებ მკაცრი აღმოჩნდა: გააუქმა საეპისკოპოსო პრივილეგიები, დაითხოვა მუქთამჭამელები. ასკეტივით ცხოვრობდა და ასკეტივით მოკვდა, ლოცვისა და მარხვისაგან დაუძლურებული. არც თვითონ მოუნანია თავისი სისასტიკე და არც ვინმეს სინანული გაჰყოლია საფლავში — მისმა დაკრძალვამ უაღრესად მშვიდად და მოსაწყენად ჩაიარა.

მის მომდევნო პაპს, **გრიგოლ XIII**-ს წინამორბედის სიმკაცრე არ გააჩნდა, მაგრამ ორთოდოქსული მოშურნეობა მაინც გამოიჩინა: საზეიმო ლოცვის აღსრულებით შეხვდა წმ. ბართლომეს ღამეს საფრანგეთში ჩადენილ ჰუგენოტთა მასობრივ ჟლეტას. და მაინც, ქვეშევრდომთა სულებზე მეტად რომის კურიის ფინანსური მდგომარეობა აინტერესებდა. ეკლესიის გასამდიდრებლად წარჩინებულთა მიწების კონფისკაციას მიმართა. არისტოკრატებმა იარაღი აიღეს ხელში და პაპიც იძულებული გახდა შეეწყვიტა უძრავი ქონების ექსპროპრიაცია.

ცამეტწლიანი პონტიფიკატის შემდგომ გრიგოლმა შთამომავლობას ახალი კალენდარი დაუტოვა, რომელსაც მის საპატივსაცემოდ გრიგორიანული ეწოდა. მანამდე მთელ ევროპაში იულიუს კეისრის კალენდარს იყენებდნენ, რომელიც ჩვენთვის ე. წ. ძველ სტილადაა ცნობილი. XVI საუკუნის ასტრონომებმა და მათემატიკოსებმა დააზუსტეს, რომ იულიუსის კალენდარი ყოველი 400 წლის განმავლობაში ერთი დღით ჩამორჩებოდა "ტროპიკულ წელიწადს", რის გამოც გრიგოლის დროს 21 მარტს გამოცხადებული გაზაფხულის ბუნიობა, ანუ დღისა და ღამის ხანგრძლიობის გატოლება სინამდვილეში 11 მარტს ხდებოდა. ამ წანაცვლების გამოსასწორებლად გრიგოლ XIII ბრძანა, რომ 1582 წლის 4 ოქტომბრის შემდეგი დღე 15 ოქტომბრად ჩაეთვალათ, ხოლო ასის ჯერადი წლები, თუკი მათი გამომსახველი პირველი ორი რიცხვი 4-ზე არ იყოფოდა (მაგალითად, 1700), ნაკიანი კი არა, მცხრალი ყოფილიყო. მართალია, ეს კალენდარიც არაა ზუსტი და ყოველ 100 წელიწადში დღის 0,00000061 ნაწილით ჩამორჩება, მაინც ოთხი ათასი წელი უნდა ველოდოთ იმ დროს, როცა წანაცვლების გამოსასწორებლად დამატებითი ნაკიანი წლის შემოღება დაგვჭირდება.

მიუხედავად აშკარა უპირატესობისა, გრიგორიანული კალენდარი მხოლოდ დიდი დაბრკოლებების შემდეგ მიიღეს. თვით იტალიაში წუწუნებდნენ, პაპმა ღარიბ ხალხს სიცოცხლის 11 დღე წაართვაო. ამგვარი აბსურდული ბრალდების წინაშე ალბათ მხოლოდ საქართველოს დღევანდელი განათლების მინისტრი თუ დამდგარა აუცილებლად ჩასატარებელი რეფორმის გამო. ასეთივე გააფთრებული წინააღმდეგობა გაუწიეს ახალ კალენდარს პროტესტანტულმა ქვეყნებმა. ზოგ მათგანში ახალ სტილზე გადასვლა ორი საუკუნის შემდეგ მოხდა. ბერძნულ-მართლმადიდებლური ქვეყნები კი კიდევ უფრო დიდხანს უარყოფდნენ კალენდარს, რომლის სიზუსტეს თვითონაც აღიარებდნენ. ერთადერთი მიზეზი ის იყო, რომ ახალი ინიციატივის ავტორი საძულველი კათოლიკური ეკლესია იყო — საინტერესოა, რომ მართლმადიდებლები ქრისტიანი პაპის მიერ ჩატარებულ რეფორმას იწუნებდნენ წარმართი იმპერატორის მიერ შემოღებული კალენდრის სასარგებლოდ.

**გრიგოლ XIII**-ის შემდეგ რომის საყდარზე **ფელიჩე პერეტი** ავიდა **სიქსტუს V**-ის სახელით. ეს პაპი სანგვინიკური ხასიათისა და ფერხორცით სავსე იყო. მიუხედავად ამისა, მარტოოდენ ერეტიკოსებით არ დაკმაყოფილებულა: კოცონზე ახლა უკვე ყველა იწვოდა — ყაჩაღები, ქურდები, ჰომოსექსუალები, სუტენიორები, მეძავები. რომს არ ახსოვდა ამდენი კოცონი და სახრჩობელა.

სიქსტუსმა მუსრი გაავლო კანონდამრღვევებს და ამით გააჯანსაღა "კრიმინოგენული სიტუაცია" პაპის სახელმწიფოში. მუხლებზე დააჩოქა რომის არისტოკრატიის სხვადასხვა ფრაქციები, რომლებიც აქამდე განუწყვეტელ კინკლაობაში ატარებდნენ დროს. კიდევ უფრო გაამკაცრა სამღვდელოების ცხოვრების წესი.

მისი მმართველობის დროს რომი გალამაზდა: აშენდა ახალი ეკლესიები და სასახლეები, გაფართოვდა ქუჩები. მაგრამ ეს ყოველივე მცხოვრებთა სახსრებითა და მათი ულმობელი ყოველდღიური ძარცვის ხარჯზე ხდებოდა. პაპის სიკვდილის დღეს ამბოხებული უბრალო რომაელები შეეცადნენ კაპიტოლიუმის მოედანზე მისი ქანდაკების ჩამოგდებას.

სამაგიეროდ, სიქსტუსის დაკრძალვაზე მწარედ ტიროდნენ მისი ნათესავები. პაპთან ერთად იმარხებოდა მათი უზრუნველი შემოსავლები და პრივილეგიები. სიქსტუს V-მ კვლავ დააბრუნა ნეპოტიზმის, ანუ ნათესავებზე გაცემული პროტექციებისა და თანამდებობების ტრადიცია, რომლის აღმოსაფხვრელად ამდენი ენერგია დახარჯეს კონტრრეფორმაციის მამებმა. მაგრამ ნეპოტიზმი უკვე ველარ მიიღებდა რენესანსის მსგავსად ურცხვსა და ყოვლისმომცველ ფორმას. ამიტომ სიქსტუსის ნათესავთა პარპაში იტალიაში მოინათლა როგორც "პიკოლო-ნეპოტიზმო" — პატარა ნეპოტიზმი. ეს ნიშნავდა, რომ პაპის ნათესავები და ოჯახის წევრები უკვე აღარ იღებდნენ თავადისა და ჰერცოგის ტიტულებს. მათ მეორეხარისხოვანი მაგრამ მაღალანაზღაურებადი ჩინოვნიკების ადგილებით უხდებოდათ დაკმაყოფილება. სამაგიეროდ, ჰყავდათ "კოორდინატორი", რომელსაც ოფიციალურად კარდინალი-ძმისწული ეწოდებოდა და ამ ტიტულს პაპი თავის გამორჩეულად საყვარელ ნათესავს ანიჭებდა.

ამგვარი ტრადიცია კათოლიკურ ეკლესიაში და განსაკუთრებით პაპის სახელმწიფოში XIX საუკუნემდე გაგრძელდა და ეკლესიაც და სახელმწიფოც ევროპის ყველაზე ცუდად მართულ და მოუწესრიგებელ სტრუქტურებად აქცია.



გრიგორიანული კალენდრის პირველი აღწერა

# კათოლიკური რეფორმაცია

რომის პაპის, **პავლე IV**-ის (**ჯოვანი პიეტრო კარაფა**) სიკვდილის შემდეგ ბევრი რამ დარჩა შესასწორებელი. უპირველეს ყოვლისა, სულისკვეთება: რომის კურია ველარ უძლებდა ასკეტურ სიმკაცრეებს. ბუნებრივია, რომ კარდინალთა არჩევანი **ანჯელო მედიჩის** ერგო. მიუხედავად მქუხარე გვარისა, ახალი პაპი მილანელი მდაბიო იყო და ფლორენციის მმართველებთან არავითარი ნათესაური კავშირი არ ჰქონია. ანჯელო და მისი ძმა ჯანჯაკომო წარმატებას საკუთარ მარიფათს უმადლოდნენ: ჯანჯაკომო ჯერ იმპერატორის ჯარში გენერალი გახდა და მერე მარკიზის ტიტულიც მიიღო. სასულიერო კარიერის გზაზე შემდგარმა ანჯელომ კი **პავლე III**-ის სიმპათია დაიმსახურა, რაც მალე გადაიზარდა კარდინალის მეწამულ სამოსში.

ერთი პირობა, ანჯელო მედიჩიმ იფიქრა, ჩემი აღსასრული დადგაო, იმდენად შეიძულა იგი პავლე IV-მ, მაგრამ სწორედ ამ სიძულვილის გამო შეჩერდა მასზე კონკლავის არჩევანი: კარაფათა მბრძანებლობა უნდა დასრულებულიყო. ახალმა პაპმა, **პიუს IV**-მ სწორედ ასე დაიწყო თავისი მოღვაწეობა: თავისი წინამორბედის ორი მოგვარე სიკვდილით დასაჯა, დანარჩენებმა კი გაქცევით უშველეს თავს.

სხვის ნათესავებთან მოპყრობის ამ მაგალითის შემდეგ, ოცი წლის საკუთარი ძმისწული მოიწვია და კარდინალის წოდებაში აყვანილი სახელმწიფო მდივნის თანამდებობაზე დანიშნა. ახალი პაპი ნათესავებშიც იღბლიანი გამოდგა: ეს ძმისწული იყო **კარლო ბორომეო**, შემდგომში წმინდანად შერაცხული, რომლის წინაშე რომის მოწიწებით მოიხარა ქედი.

ბორომეოს მიმართ ყველაზე ნაკლებ პატივისცემას ალბათ თვით ბიძა, პიუს IV გრძნობდა: ასკეტიზმი სრულიად არ იტაცებდა და სიცოცხლე უყვარდა, თუმცა კი ყველაფერში ზომიერებას იცავდა. პაპი გამორჩეული პიროვნება არ ყოფილა, სამაგიეროდ ჰქონდა საშუალო ადამიანის ის თვისებები, რომლებიც სახელმწიფო მოღვაწისათვის შეიძლება დიდ ნიჭზე უფრო ძვირფასიც აღმოჩნდეს: სულიერი წონასწორობა, საღი გონება, საკუთარ შესაძლებლობათა ზუსტი შეგრძნება და ადამიანების, განსაკუთრებით კი მღვდლების მიმართ ზომიერი უნდობლობა.

პაპს მშვიდობა სურდა. წამდაუწუმ იმას უმეორებდა თავის მრჩევლებს, რომ ეკლესიას აღარ ჰქონდა ძალები დამოუკიდებელი პოლიტიკის გასატარებლად და მონარქებთან კონკურენციას ველარ გაუძლებდა. ამბობდა: საჭიროა საკუთარი პრეტენზიების რესტრუქტურიზაცია.

სწორედ ამგვარი პოზიციებიდან მიუდგა პაპი ტრენტოს დიდი ხნის წინათ შეწყვეტილი კრების განახლებას. პაპის აზრით კრება ბოლომდე უნდა ყოფილიყო მიყვანილი. ოღონდ ამისათვის საჭირო იყო არა ტრენტოში და არა ეპისკოპოსებთან ბჭობა, არამედ ევროპის სამეფო კარებთან კონსულტაციები. სარწმუნოების საკითხები და პროტესტანტებთან ურთიერთობის პრობლემა იმპერატორ **ფერდინანდს**, ესპანეთის მეფეს, **ფილიპე II**-სა და საფრანგეთის რეგენტს, **ეკატერინე მედიჩის** უნდა გადაეწყვიტათ.

ასე და ამგვარად, 1562 წლის 18 იანვარს სამღვდელოება კვლავ შეიკრიბა ტრენტოს საკათედრო ტაძარში. კრებას ესწრებოდა ხუთი კარდინალი, სამი პატრიარქი, თერთმეტი მთავარეპისკოპოსი, ორდენების ოთხი გენერალი, ოთხი აბატი და საერო ხელისუფალთა მრავალრიცხოვანი წარმომადგენლობა. ევროპული პოლიტიკური ასპარეზი შეცვლილიყო: აღარ არსებობდა იმპერატორი, რომელსაც კრების მსვლელობაზე დიდი გავლენის მოხდენა შეეძლო. ამ ტიტულის მატარებელ ფერდინანდს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ავსტრიაში, მცირე — გერმანიაში და არავითარი — იტალიაში. იმპერატორმა პროტესტანტების მოწვევა მოითხოვა. პაპი დათანხმდა, მაგრამ აქვე განაცხადა, რომ ეს არ იყო ახალი კრება, არამედ ძველის გაგრძელება, რაც ერეტიკოსებთან შერიგების ყოველგვარ კარს ახშობდა. მართლაც: კრებაზე პროტესტანტები არ გამოჩენილან.

ყველაზე სახიფათო პრობლემა მოგვარდა, მაგრამ რჩებოდა ეკლესიის შინაგანი ორგანიზაციის საკითხები, რაც ძალიან ადარდებდა კურიას. ამათგან ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ეპისკოპოსთა დანიშვნა. მართლაც, ლოტარინგიის კარდინალი აცხადებდა, რომ ეპისკოპოსი თავის ძალაუფლებას უშუალოდ ღვთისგან იღებს და არა პაპისაგან. კარდინალის საუბარი ორაზროვანი იყო, მაგრამ ასე სჩვევიათ სასულიერო პირებს. საზრისი კი შემდეგი ჰქონდა: თუ ეპისკოპოსები ღვთის მიერ არიან ნაკურთხნი, ღირსებით პაპის ტოლები უნდა იყვნენ. საინტერესოა, რომ სწორედ ამგვარი განცხადებების გამო აღიარეს ერეტიკოსად **მარტინ ლუთერი**.


ტრენტოს საეკლესიო კრების სხდომა

ამ საკითხზე კრება ათი თვის განმავლობაში მსჯელობდა. ფრანგები, გერმანელები და ესპანელები ლოტარინგიის კარდინალს ეთანხმებოდნენ. მაგრამ მათი ჯამური რაოდენობაც ჩამორჩებოდა იტალიელ კარდინალთა რიცხვს. საქმე აშკარა ლანძღვა-გინებაზე გადავიდა. ფრანგებმა განაცხადეს, რომ კრება შთაგონებული იყო სულის წმინდის მიერ, რომელიც ყოველ კვირას ქისით ჩამოჰქონდათ რომიდან.

ეს მართალი იყო. ოღონდ საქმე ფულად კორუფციას არ ეხებოდა: იტალიელ კარდინალებს ქისით დაშიფრული ინსტრუქციები მოსდიოდათ რომიდან. ეს სისტემა პირველად ფლორენციის მმართველმა, ლორენცო ბრწყინვალემ გამოიყენა თავის დიპლომატებთან მუშაობისას.

ბოლოს და ბოლოს, კარდინალი **მორონე**, კრების თავმჯდომარე და პაპის ნდობით აღჭურვილი პირი, მიხვდა, რომ ამ ხაფანგიდან თავის დასაღწევი ერთადერთი გზა არსებობდა: სამღვდელოების უგულებელყოფა და პირდაპირი კონტაქტი სადავეთა მპყრობელებთან. მორონე დაუკითხავად გაემგზავრა ინსბრუკში და ფერდინანდს გერმანელ ეპისკოპოსთა ალაგმვა სთხოვა. მორიგება ადვილი იყო: ავსტრიის იმპერატორს პაპზე არანკლებ სურდა, რომ ეპისკოპოსთა ძალაუფლება გარკვეულ საზღვრებს არ გასცილებოდა.

მეორე მხრივ, იმპერატორს არც პაპის უზომო ავტორიტეტი აძლევდა მოსვენებას. ამიტომ, გარიგება რამდენიმე პუნქტით შეივსო: ეკლესიის თავი ხელუხლებელი უნდა დარჩენილიყო, ხოლო სხეულს რეფორმა უნდა განეცადა. საქმე ეხებოდა სამღვდელოების სტრუქტურას, მისდამი წაყენებულ მორალურ მოთხოვნებს და ასე შემდეგ.

მორონე იგონებდა, რომ მისი მოგზაურობის შემდეგ საეკლესიო კრების მართვა გაცილებით უფრო ადვილი შეიქნა. ოპოზიციონერმა ეპისკოპოსებმა კი სხვა რამ შეამჩნიეს: მორონეს მიერ ინსბრუკში ჩატარებულ მანევრს პაპის დესპანები პარიზსა და მადრიდშიც იმეორებდნენ. აშკარა იყო, რომ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს ტრენტოში უკვე ველარ მიიღებდნენ. ამიტომაც მოითხოვეს ოთხი მთავრის: პაპის, იმპერატორის, საფრანგეთის მეფისა და ესპანეთის მეფის შეხვედრა და მოლაპარაკება.

აქ გამოჩნდა პროტესტანტული რეფორმაციის შემდგომი ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფენომენი: ეკლესია უკვე ველარ იქნებოდა ადამიანის ცხოვრებისა და ერების ისტორიის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებათა მიმღები სუბიექტი. უფრო მეტიც, ისტორია, პოლიტიკა, სოციალური თეორია უკვე უნდა დამშვიდობებოდა თეოლოგიის ენას არათუ ქმედითობის, არამედ უბრალოდ სერიოზულობის გადასარჩენად. პოლიტიკურმა ცენტრმა საერო ხელისუფლების მხარეს გადაინაცვლა. ტრენტოს საეკლესიო კრებაზე მაინც გაგრძელდა დებატები, მაგრამ რაც არ უნდა ელაპარაკათ, სინამდვილეში სულ სხვა იგულისხმებოდა: კრების დარჩენილი ნაწილი, ფაქტობრივად, კომპრომისის კონკრეტული სახის, მის აღსაწერად და გასამართლებლად შესაფერი ენის ძიება იყო.

აქ განაგრძობდნენ საუბარს განსაწმენდელის არსებობაზე, ინდულგენციების კანონიერებაზე, წმინდანების კულტზე, ქორწინების საიდუმლოებასა და სამღვდელოების ხელდასხმაზე. არც ერთ ამ ფუნდამენტურ საკითხს არ გამოუწვევია დიდი კამათი, ყველაფერი ორთოდოქსული ტრადიციის თანახმად გადაწყდა, მაგრამ საზეიმო არაფერი იყო: ეკლესიას უბრალოდ ნაკლებად უგდებდნენ ყურს, მას უკვე შეეძლო, თავისუფლად დამტკბარიყო ორთოდოქსიის ფუფუნებით, რადგან ეს ხელს აღარავის შეუშლიდა.

რამდენიმე ნაპერწკალი მხოლოდ ზოგი ეპარქიის ავტონომიისაკენ სწრაფვამ გამოიწვია. რომის კურიას რაღაც ძალის დახარჯვა დასჭირდა მათ დასაშოშმინებლად.

პოლემიკა ერთგვარად გამოცოცხლდა ბენეფიციუმების საკითხის გარშემო. ბენეფიციუმი რენტის მსგავსი შემოსავალია, რომელსაც ესა თუ ის პირი პაპის წყალობით ღებულობს განსაზღვრული მიწის ნაკვეთიდან ან სამრევლო თემიდან. ტრენტოს კრების ეპოქაში ყველაზე მსუყე ბენეფიციუმები კარდინალთა შორის ნაწილდებოდა. ყველას ესმოდა, რომ ეს ვითარება რამენაირად უნდა დასრულებულიყო, მაგრამ პაპი ვერ განიხილავდა ამ პრობლემას კრებაზე საკუთარი ავტორიტეტის დაუზარალებლად. ერთი სიტყვით, აქაც კარდინალებისა იყო გამარჯვება.

1563 წლის 4 დეკემბერს კრების მამები უკანასკნელად შეიკრიბნენ. მათ შორის აღარავინ იყო იმათგან, ვინც თითქმის ოცი წლით ადრე ესწრებოდა მის გახსნას. ამ ხნის განმავლობაში არც მნიშვნელოვანი შედეგისთვის მიუღწევიათ. იმის მაგიერ, რომ პროტესტანტებთან საერთო ენა ეპოვა, საეკლესიო კრებამ საბოლოოდ დაამტკიცა შექმნილი უფსკრულის გადაულახავობა. იმის მაგიერ, რომ პაპისა და კურიის აბსოლუტური ძალაუფლება შეეზღუდა, საეკლესიო კრებამ საბოლოოდ გააძლიერა მათი ავტორიტეტი.

კათოლიკური მხარის ისტორიკოსები ამბობენ, რომ ტრენტოს კრებიდან ეკლესია განწმენდილი და განახლებული, ახალი ძალებით აღჭურვილი გამოვიდა. გარკვეული აზრით, ეს სიმართლეა. პროტესტანტები ხომ საგულდაგულოდ არჩევდნენ თავიანთ პასტორებს, ამიტომაც მათთან დასაპირისპირებლად აუცილებელი იყო სამღვდელოების განათლება და მის ზნეობაზე უმეტესი ზრუნვა. ამის აღიარება ტრენტოს საეკლესიო კრების დიდი დამსახურება იყო. ასევე საბერო ორდენებიც დაუბრუნეს პირველად სიმკაცრესა და ასკეტურ ყოფას. ჩატარდა სამღვდელოების არნახული "საკადრო წმენდა" — სამრევლო მღვდლებსა და ეპისკოპოსებს შეახსენეს ქრისტიანული ცხოვრების ის საწყისები, რომელთა იდეა დიდი ხანია დაკარგული იყო გამდიდრებისა და გავლენისათვის გამუდმებულ ბრძოლაში.

მეორე მხრივ, რომის კურიამაც ნაწილობრივ მაინც უარი თქვა თავის მიწიერ პრეტენზიებზე. დიდგვაროვანმა პაპებმა ვერ შეძლეს საეკლესიო კრების დასრულება, რადგან სახელმწიფო ინტერესების თანახმად მოქმედებდნენ. ყოფილ მდაბიოს, ანჯელო მედიჩის, თუმც არ დავიწყებია პოლიტიკური ხერხების მარჯვე გამოყენება, მის გონებაში ეკლესია მაინც სულიერი ფენომენი იყო და არა ამქვეყნიური სამეფო. სწორედ ეს შეგნება იყო უმთავრესი მიზეზი იმისა, რომ თავის წინამორბედებთან შედარებით ინტელექტუალურად და კულტურულად ჩამორჩენილმა პიუს IV-მ შეძლო ეკლესიის გამაგრება მისი პოლიტიკური პრეტენზიების დათმობის ხარჯზე. ამის გამო ვერ ახერხებდნენ მეფეები მასზე გავლენის მოხდენას ვერც მუქარით და ვერც დაყვავებით — იგი სხვაგან იყო, სხვა სიმაღლეზე, და ეს სიმაღლე სახელმწიფო მექანიზმებს არ ექვემდებარებოდა. რას მისცემდნენ ან რას წაართმევდნენ ძლიერნი ამა ქვეყნისანი მას ან მის ძმისწულს, კარლო ბორომეოს, რომელმაც მთელი თავისი სიმდიდრე ღარიბებს დაურიგა?

პიუს IV პაპობის ისტორიაში მთელ ეპოქას ასრულებს. მართალია, მის შემდეგაც ვხვდებით პაპებს, რომლებიც ნათესავებს "უჩალიჩებდნენ" კარდინალის წითელ მოსასხამს, მაგრამ **ჩეზარე ბორჯიას** ან **პიერ ლუიჯი ფარნეზეს** მსგავსი პარპაში უკვე აღარასოდეს განმეორდება რომის კარზე. ტრენტოს შემდეგ ეკლესიამ, როგორც იქნა, მოირჩინა ეს წყლული.

მაგრამ ისიც მართალია, რომ, როგორც ვთქვით, საეკლესიო კრების საკითხები არა ტრენტოში, არამედ ინსბრუკში, მადრიდსა და პარიზში გადაწყდა. ასე დაიდო მოკავშირეობის ხელშეკრულება ორ უდიდეს ავტორიტეტს — სახელმწიფოსა და ეკლესიას — შორის. ასე ჩაეყარა საფუძველი ევროპაში პიროვნული თავისუფლების ჩახშობას. ტრენტოს ადამიანის სინდისის პრობლემა არ გადაუწყვეტია, მან მხოლოდ უარყო ეს პრობლემა სინდისის გაუქმების გზით. მხოლოდ მოძლვარს მიენიჭა კეთილისა და ბოროტის გარჩევის უფლება. ამიტომაც მიეცა მას ჯაშუშობისა და დასმენის, მორწმუნის სულიერ სამყაროში ხელის მოურიდებლად ცეცების, "გონებრივი დანაშაულის" დასჯის უფლება. მცირე ხანში მოძლვარმა "აკრძალულ წიგნთა ინდექსიც" მიიღო იარაღად.

მართალია, ტრენტოს შემდგომ წარმოქმნილი ინკვიზიტორი-მღვდელი ზნეობრივად უკეთესი იქნება რენესანსის დროინდელ ჰუმანისტ-მღვდელზე, მაგრამ ეს "მორალური სრულყოფილება" მიიღწევა თავისუფლებისა და პიროვნული ღირსების მიმართ სასტიკი სიძულვილის ხარჯზე. ტრენტოს შემდეგ სულიერი ძალაუფლების უღელი სახელმწიფო მანქანის მოძალადე მექანიზმზე არანაკლებ ულმობელი ხდება. თავის მხრივ, ზარალდება ქრისტიანობაც: ქრისტიანი უკვე ნიშნავს ბრტყელსა და უნიჭო კონფორმისტს, რომლის სულში დარჩენილ თავისუფალ ადგილებში მხოლოდ თვალთმაქცობა და სიმხდალე იბუდებს.

**ლეილა ბეზარაშვილი და ნოდარ ლადარია**


კარდინალი კარლო ბორომეო

# თბილისელი მძღოლის ჩანაწერები

მიხეილ აბაიშვილი




ბოლო წლებში თბილისს ბევრმა სოციალურმა ქარტეხილმა გადაუარა თავზე. გამოვიარეთ სამოქალაქო ომი და მხედრიონის "რეკეტწლები", გვქონდა "ბუტკების" და "ბენზოკალონკების", ბაზრობების და რესტორნების ქალაქი, რომელსაც უკანონო მშენებლობებით სახეს უკარგავდნენ და ამახინჯებდნენ. წლების განმავლობაში ზამთარს სიბნელეში და სიცივეში ვატარებდით. ეს ყველა სახადი დედაქალაქთან ერთად თითოეულმა თბილისელმა მოვიხადეთ და თითქოს, მდგომარეობა გამოსწორდა. თუმცა, "ვარდების რევოლუციამ" ქალაქის ახალ "მამებთან" ერთად ახალი პრობლემები მოგვიტანა, რომელსაც, ვშიშობ, "ბუტკებივით" იოლად ვერ მოვერევით.

არის ასეთი ანეკდოტი: თვითნასწავლ, მაგრამ უხეირო ექიმს მიუყვანენ არც თუ მძიმედ ავადმყოფ პაციენტს, რომელიც ამ ექიმს არასწორი მკურნალობის გამო შემოაკვდება. ექიმი ამოიხვნეშებს - ეჰ, ვერც ვისწავლე და ვერც ვეშვებიო".

ამ "ექიმის" უბედურება ის გახლავთ, რომ საკუთარი პროფესიისგან საკმაოდ შორს არის, თუმცა, იმას მაინც ხვდება, რომ საქმე არ იცის. აი, ჩვენი ქალაქის "მამები" არა თუ არ ეშვება თავისი, ხშირად, ნაჩქარევი გადაწყვეტილებებით ჩვენთვის პრობლემების შექმნას, არამედ ამით ამაყობს კიდეც - აქაოდა, ქალაქს ახალი სული შთავბერეთო.

ერთ კონკრეტულ ფაქტზე მინდა თქვენი ყურადღება გავამახვილო, რომელმაც, ვარდების რა მოგახსენოთ, მაგრამ სამოძრაო რევოლუციური ცვლილებები კი ნამდვილად გამოიწვია მელიქიშვილის, ვარაზის ხევის და კოსტავას ქუჩებზე. გუშინ, დილის 8 საათსა და 30 წუთზე გმირთა მოედნის გავლით ფილარმონიასთან უნდა მოვხვედრილიყავი. ახალი წესებით, გმირთა მოედნიდან ვარაზის ხევში ავუხვიე, შემდეგ მელიქიშვილზე გადავუხვიე და დანიშნულების პუნქტთან მივედი. თუმცა, ეს მანევრი, რომელიც რამდენიმე სიტყვაში ჩავტიე, პრაქტიკულად საკმაოდ რთული და დროში გაწელილი აღმოჩნდა. ვარაზის ხევისა და მელიქიშვილის ქუჩის კუთხეში გვარიანი "ავტოსაცობი" დამხვდა, რომელიც ლამის ვარაზის ხევის შუა ნაწილის მიდამოებიდან იწყებოდა. მინორულ ტაქტში დაახლოებით 10-წუთიანი მოძრაობის შემდეგ სამშვიდობოს გავაღწიე და დანიშნულების პუნქტთან მოვხვდი. უკანა გზაზეც, ავტოებით გაძეძგილი კოსტავას ქუჩა გადმოვლახე და გმირთა მოედანზე აღმოვჩნდი. უწინ, როცა ძველებურად, ხავსმოკიდებული მოძრაობის წესებით ვსარგებლობდი, ასე ადრე ქალაქში მოძრაობა ყველა მიმართულებით თავისუფალი იყო და "ავტოსაცობის" მიმსგავსებულსაც კი ვერსად შენიშნავდი. თან, გავიმეორებ, რაც მოგახსენეთ, დილის ცხრის ნახევარზე მოხდა. აღარას ვამბობ პიკის საათებზე, როცა ქალაქის ამ ცენტრალურ მონაკვეთში როგორც ავტომობილით, ისე ფეხით გადაადგილება პრაქტიკულად შეუძლებელი ხდება.

მოდით, ვნახოთ, მოძრაობის განტვირთვის ნაცვლად, ხსენებულ ქუჩებზე მიმართულებების შეცვლამ, მკვეთრად საწინააღმდეგო ეფექტი რატომ გამოიწვია. დავიწყებ იმით, რომ ერთი შეხედვით არც თუ მცირე სიგანის მიუხედავად, მელიქიშვილის ქუჩის გამტარუნარიანობა არც ისე მაღალია. ეხლა ვნახოთ რამდენი ნაკადი იყრის თავს ამ ქუჩაზე. 1. საბურთალოდან თავისუფლების მოედნის მიმართულებით მოძრავი ავტომანქანები, რომლებიც ადრე კოსტავას ქუჩით სარგებლობდნენ; 2. სანაპიროდან რუსთაველის პროსპექტისკენ მიმავალი ავტომანქანები, რომლებიც ადრე ასევე კოსტავას ქუჩას ანიჭებდნენ უპირატესობას, 3. მარცხენა სანაპიროდან თამარ მეფის ხიდით გადმოსული ავტომანქანები, რომლებიც ასევე რუსთაველის პროსპექტისკენ მიემართებიან; 4.ვაკიდან თავისუფლების მოედნის მიმართულებით მოძრავი ავტომანქანები, რომელთა ნაკადს ასევე ერთვის კეკელიძის ქუჩიდან ჩამოსული და იგივე მიმართულებით მოძრავი კოლონა; 5.ვაკიდან გმირთა მოედნის მიმართულებით მოძრავი ავტომანქანები, რომლებიც იძულებულნი არიან, გაიარონ მელიქიშვილი და კოსტავას ქუჩით ჩავიდნენ მოედანზე.

სიტუაციას ისიც ართულებს, რომ მელიქიშვილის ქუჩაზე ერთბაშად შედის მანქანების სამი ნაკადი - ვაკიდან, ვარაზის ხევიდან და კეკელიძის ქუჩიდან, ხოლო ეს მანევრირებასთან დაკავშირებულ სერიოზულ დამატებით სირთულეებს ქმნის. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ცალმხრივი მოძრაობის გამო, ავტომობილების მოძრაობის რეგულირების თვალსაზრისით, შუქნიშნები თითქმის კარგავენ მნიშვნელობას, ფეხით მოსიარულეთათვის ვარაზის ხევის გადაკვეთა ცეცხლთან თამაშის ტოლფასი ხდება.

აღარ დავიწყებ ავტომანქანათა იმ ნაკადების ჩამოთვლას, რომლებსაც ქალაქის "მამების" ხუშტურების გამო კოსტავას ქუჩის "აბორდაჟი" უწევთ. უბრალოდ ერთ დამამძიმებელ ფაქტორსაც გამცნობთ: მიმდებარე ქუჩებზე - ღამბაშიძეზე და ნიკოლაძეზე, რომლებიც მელიქიშვილს და კოსტავას აკავშირებენ, მაცხოვრებლების დაჟინებული და სამართლიანი მოთხოვნით, მელიქიშვილის ქუჩიდან ჩამოხვევა აიკრძალა. ეს გასაგებიცაა, რადგან ახალი წესების შემოღების გამო ბევრმა მძღოლმა ამ ქუჩების დახმარებით სცადა ფონს გასვლა, რის გამოც, ფიქრის გორა და ღამბაშიძის ქუჩა ავტოსტრადას დაემსგავსა. ადრე კი ეს ქუჩები კოსტავას და მელიქიშვილის ქუჩებს განტვირთვაში ეხმარებოდნენ.

ავტოსაცობების გარდა, კიდევ ერთი პრობლემა არსებობს: ვინც მელიქიშვილზე, კოსტავაზე, კოსტავას ჩიხში, ან ფიქრის გორაზე ცხოვრობს და მანქანა არ აქვს, სახლში მისვლის დროს სერიოზული პრობლემების წინაშე დგება, რადგან მოძრაობის ახალი წესები მათ რამდენიმე ტრანსპორტის გამოცვლას აიძულებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ფეხით საკმაო მანძილის გავლა მოუწევთ.

ქალაქის ხელისუფალთა კიდევ ერთ "ნოვაციაზე" - გამსახურდიას ქუჩაზე, ყაზბეგის ქუჩის გადაკვეთასთან, ვაჟა ფშაველას გამზირის მიმართულებით, შუქნიშნის 20 მეტრით წანაცვლებაზეც ბევრი შემიძლია გესაუბროთ. ამ ყოვლად უმეცრული ცვლილების შედეგად, ხსენებულ მონაკვეთზე მოძრაობა სავსებით შეუძლებელი გახდა. იმის ახსნას აღარ დავიწყებ, თუ რატომ გამოიწვია ამ ერთი შეხედვით უწყინარმა გადაადგილებამ ავტოსაცობები. იქნებ ეს არც თუ რთული რებუსი ქალაქის თავებმა თავად ამოხსნან და შუქნიშანი თავის ადგილას დააბრუნონ.

ქალაქის ბიუჯეტს ვარაზის ხევში, მელიქიშვილის გამზირზე და კოსტავას ქუჩაზე განხორციელებული "საუკუნის პროექტი" "სულ რაღაც" 30 ათასი ლარი დაუჯდა. პრინციპში, ამ ტერიტორიაზე ასეთი "ბარდაკის" შექმნისთვის არც თუ ძვირი საზღაურია.

## სკანვორდი



## TV პროგრამა

6 ოქტომბერი

### რუსთავი - 2

**07.30** დილა მშვიდობისა **08.00** "ტელეღიპუცები" **10.00** სერიალი "ეკლები და ვარდები" **11.00** თამაში "ყველაზე ჭკვიანი" **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 01.55** კურიერი **12.20** სერიალი "შეყვარებული ქალები" **13.30** მხ. ფილმი "მებრძოლი თუ მკვლელი" **15.25** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **16.30** სერიალი "ეკლები და ვარდები" **17.25** "ტელეღიპუცები" **18.20** "ფოქს კიდსი" **18.45** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **19.45** პატრული **20.00** სერიალი "შეყვარებული ქალები" **22.00** ღამის შოუ **22.45** დოკ. ფილმი (ნ. ქაჯაია) **23.25** მხ. ფილმი "სექსუალური ფანტაზიები". მთ. რ-ში: ხავიერ ბარდემი, ვიქტორია აბრილი (18). **02.15** პატრული

### პირველი არხი

**07.30** ალიონი **09.30** მულტსერიალი "მარსუპილამი" **09.55** "იმღერე რამე" **10.25** მხ. ფილმი "ლოლიტა" **12.00, 15.00, 20.00, 23.00** მოამბე **12.15** ჩოგბურთელ ვაჟთა საერთ. ტურნირი **14.00** მოამბე ოსურ ენაზე **14.15** ჩოგბურთელ ვაჟთა საერთ. ტურნირი **16.05** სერიალი "უშიშრები" **16.30** ისტორიანი **17.00** მულტსერიალი "მარსუპილამი" **17.25** "ამბობენ" **18.00** ვესტნიკი **18.20** სერიალი "წვრილვარსკვლავთა ღამე" **19.00** "იმღერე რამე" **19.40** ბასტი-ბუბუ **21.05** სერიალი "კარიბის ზღვაზე" **22.00** ქიმერიონი - მ. მირიანაშვილი **00.00** მხ. ფილმი "შემსრულებელი" (გ)

### 202

**07.30** ალიონი **09.40** პროფილაქტიკა **18.00** ვესტნიკი **18.20** სერიალი "წვრილვარსკვლავთა ღამე" **19.00** "იმღერე რამე" **19.40** ბასტი-ბუბუ **20.00, 23.00** მოამბე **21.05** სერიალი "კარიბის ზღვაზე" **22.00** ღამის მატარებელი **00.00** მხ. ფილმი "ლოლიტა" (გ)

### კავკასია

**13.00** ქართული მუსიკა **14.00** მხ. ფილმი "სერიოზული საქმე" (გ) **16.00** "საქმე და ეკონომიკა" **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.15** სერიალი "მილედი" **19.20** სპექტრი **21.00** მხ. ფილმი "რუგანტინო" (გ) **22.30, 00.30** ქართული მუსიკა

### მზე

**09.00** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **09.30** სერიალი "ველური მთვარე" **10.30** სერიალი "სინიორ ვიანელო" **11.00, 13.00, 14.00, 16.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** სერიალი "ვუპი" **11.35** კრიმინ. დრამა "სთშ: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **12.05** ტელეჟურნალი "სცენა" **13.05** სერიალი "პოლიციელი ქალები" **14.15** "ფარული კამერა" **14.45** "მუსიკა მზეზე" **15.00** სერიალი "მარია ემილია" **16.05** სერიალი "პოლიციელი ქალები" **17.00, 19.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.20** "ფარული კამერა" **17.50** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **18.20** ტელეჟურნალი "მოდა" **19.05** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **20.45** სერიალი "სინიორ ვიანელო" **21.15** სერიალი "ვუპი" **21.45** კრიმინ. დრამა "სთშ: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **22.45** "არჩევანის ზღვარზე" **23.45** მხ. ფილმი "ცამეტი ღამე" (15) (კევინ კოსტნერი)

---

**18.00** მინისერიალი "გრაფინია დე მონსორო" მე-6ს. **19.10** დოკ. ფილმი **20.20** კონცერტი **22.15** მხ. ფილმი "სახლი ქარიშხალში" (12)

### მეორე არხი

**19.00** მულტფილმი "მარსუპილამი" **19.30** "იმღერე რამე" **20.00** სერიალი "წვრილვარსკვლავთა ღამე" **21.30** კონცერტი **22.00** ბასტი-ბუბუ **22.15** მხ. ფილმი "მოლანდება" (გ)

### იმედი

**07.00** სერიალი "უკიდურესი ზღვარი" **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **08.10** ანიმაციური ფილმი "სანდოკანი - მალაიზიის ვეფხვი" **08.25, 12.20, 14.25, 04.30** იმედის მელოდიები **08.30** დოკ. სერიალი "ყველაზე ექსტრემალური" **09.20** "აქტიორი" **10.05** სერიალი "ტყუპები" **11.15** სერიალი "ყავა და ლუდი" **12.40, 16.25, 04.00** ტვ-მარკეტი **13.15** მხ. ფილმი "ჩალის ქუდი" 1-ლი ს. (გ) (ა. მირონოვი) **15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 03.50** ქრონიკა **15.20** სერიალი "კლონი" **16.30** დოკ. სერიალი "საზღვაო ისტორიები" **17.25** სპ. პროგრამა "გოლი" **18.05** სერიალი "ტყუპები" **20.00** სერიალი "კლონი" **20.55** სერიალი "ყავა და ლუდი" მე-4ს. **22.45** "პირველები" **23.25** "ინტერ-ნიუსი" **23.55** მხ. ფილმი "თითქმის ორსული" (18) (რობერტსი) **01.30** "აქტიორი" **02.00** სერიალი "ნეშ ბრიჯესი" **02.55** "გოლი - სერია "ა" (იტალიის ჩემპიონატი)

### ОРТ

**06.00** "Доброе утро". **09.00, 12.00, 15.00, 18.00** Новости **09.20, 21.30** Сериал **"72 МЕТРА". 10.30, 19.00** Сериал **"КЛОН". 11.20** Мультсериал "Кошки-мышки". **11.30** Дисней-клуб: "Новые приключения Винни-Пуха". **12.10** Александр Михайлов в фильме **"БЕЛЫЙ ВОРОН" 14.00** Сериал **"ЖЕНЩИНЫ В ЛЮБВИ". 15.20** Сериал **"СЫЩИКИ". 16.30** "Фабрика звезд". **17.00** "Пять вечеров". Вторник. **18.20** "Пан или пропал". **20.00** Сериал **"ЧЕРНЫЙ ВОРОН". 21.00, 00.30** Время. **22.40** Спецназ. "Трезубец бойцов Нептуна". **23.50** "Фабрика звезд". **00.10** "Звезды эфира". Вероника Маврикиевна и Авдотья Никитична. **00.40** Крылья. "Семейство Туполевых". **01.10** Джеймс Белуши в боевике **"САХАРА". 03.10** Кларк Гейбл в комедии **"ЭТО СЛУЧИЛОСЬ ОДНАЖДЫ НОЧЬЮ" 05.05** Сериал "Все путешествия команды Кусто". "Рыба, поглотившая Иону".

### НТВ

**06.00** "Сегодня утром". **09.05** Сериал **"БЕЗ СЛЕДА: КОМПАНЬОН". 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 00.30** "Сегодня" **10.15** Преступление в стиле "модерн": химия истерики. **10.50** "Стресс". Ток-шоу Александра Гордона. **11.55** Сериал **"ГРАФ КРЕСТОВСКИЙ". 13.30** Сериал **"ВОЗВРАЩЕНИЕ МУХТАРА: ОХОТА НА ЗВЕЗДУ". 14.30** Сериал **"КОДЕКС ЧЕСТИ". 15.35** Чрезвычайное происшествие. **16.15** Ток-шоу "Принцип домино". **17.25** Сериал **"КАМЕНСКАЯ: СМЕРТЬ РАДИ СМЕРТИ"**. Часть 1-я. **18.35** Чрезвычайное происшествие. **19.40** Сериал **"ГРАФ КРЕСТОВСКИЙ". 20.50** Сериал **"КОДЕКС ЧЕСТИ". 22.00** "Страна и мир". **22.40** Сериал **"СЕКС В БОЛЬШОМ ГОРОДЕ". 23.20** Микки Рурк в боевике **"ГОД ДРАКОНА" 02.30** Сериал **"СКОРАЯ ПОМОЩЬ"**.

# ჯონის დედას, ჯულიას




ლივერპული ცდილობს ევროპის კულტურული დედაქალაქის სტატუსი მოიპოვოს და ამ მიზნით ათასგვარ ხერხს მიმართავს. იგივე მიზანს ემსახურება ლივერპულის ხელოვნების ბიენალე, რომელიც კიდევ რამდენიმე კვირას გასტანს. სწორედ ამ ღონისძიებასთან დაკავშირებით ქალაქის მერიამ ტაქსის მძღოლებიც კი გაწვრთნა, რათა აეროპორტიდან გამოსულ და ტაქსში მოკალათებულ ტურისტებს ქალაქში მოხვედრის პირველივე წუთებში შექმნოდათ განცდა, რომ ლივერპული საოცრად კულტურული ადამიანებით არის დასახლებული.

ამავე პროექტის ფარგლებში "ბითლზის" ქალაქში იოკო ონოს ნაწარმოებებიც გამოიფინა. თუმცა, ლენონის ქვრივის შემოქმედებას ბევრი ხელოვნებას ვერაფრით არქმევდა – ქალაქი ხომ გაავსო ონოს უზარმზარმა ბილბორდებმა, რომლებზეც უმსხვილესი პლანით ქალის სხეულის ინტიმური ადგილები იყო გამოსახული. სერიას ფრიად არაადეკვატური სახელი ერქვა – "დედაჩემი ლამაზი ქალი იყო".

თუმცა, როგორც საბოლოო ჯამში გაირკვა, ლივერპულელებმა არ მოინდომეს იოკო ონოს დედის სილამაზის ამ გზით გაზიარება. ადგილობრივები განსაკუთრებით აღაშფოთა იმ ფაქტმა, რომ იოკო ონოს ხელოვნების ნიმუში ომის მემორიალზე გამოფინეს. უზარმაზარი ბანერი თითქმის მთლიანად ფარავდა მონუმენტს. საჩივარს საჩივარი მოჰყვა და მართალია, ქალაქის სხვა ნაწილებში გამოფენილი სხეულის ნაწილები ოპოზიციის რისხვას გადაურჩა, მაგრამ ომის მემორიალი კი დედის მკერდისგან ბოლოს მაინც გაათავისუფლეს.

თუმცა, ბიენალეს ორგანიზატორები ამას უარყოფენ და აცხადებენ, რომ ონოს ფოტო მონუმენტიდან მხოლოდ იმიტომ ჩამოხსნეს, რომ ქალაქის სხვა უბანში დაზიანებული პლაკატი შეეცვალათ. "რომ გვქონოდა ზუსტად იმავე ზომის პლაკატის ხელახლა დასამზადებლად საჭირო თანხა, ამას აუცილებლად გავაკეთებდით და მონუმენტზეც იოკო ონოს ფოტო აუცილებლად დარჩებოდა", - აღნიშნავს ბიენალეს დირექტორი ლუის ბიგსი.

იოკო ონომ ფოტოების ეს სერია პირველად თავის დედას მიუძღვნა, შემდეგ კი გადაწყვიტა, პლაკატები ჯონ ლენონის დედისთვის ესახსოვრა, რომელიც ავტოავარიაში დაიღუპა.

# ცხოვრება მშვენიერია ერაყულად



იტალიელი მსახიობი და რეჟისორი რობერტო ბენინი ფილმის გადაღებას ერაყის ომის თემაზე აპირებს. სურათს "ვეფხვი და თოვლი" ერქმევა და მასში მოქმედება 2003 წლის მარტში განვითარდება – იმ პერიოდში, როცა დასავლეთის მეკავშირეთა ძალებმა ერაყს პირველად შეუტიეს. ტრაგიკული თემის მიუხედავად, ბენინი მაინც კომედიის "გამოდნობას" აპირებს.

ფილმი დღის შუქს 2005 წლის მეორე ნახევარში იხილავს. თავად ბენინი შეასრულებს ერაყში შემთხვევით მოხვედრილი პოეტის როლს, რომელიც ომის ორომტრიალში თავისდაუნებურად გაებმება.

"ბუნებრივია, ომი ფონია, მაგრამ ჩემი პერსონაჟი მასში სრულიად შემთხვევით ერთვება. ყველაზე საინტერესოა ის, თუ როგორ აღიქვამს ეს გმირი მსოფლიოს. ის გახლავთ ადამიანი, რომელიც დედამიწის ყველა მცხოვრებს წარმოადგენს", - აცხადებს ბენინი.

თავიდანვე უნდა ვივარაუდოთ, რომ ფილმი ანტიამერიკული იქნება, რადგან იტალიური ტელე-ეთერით გამოსვლისას ბენინიმ აშკარად გამოხატა უკმაყოფილება დასავლეთის როლის გამო ერაყის ომში. "დასავლეთს შოუ მიჰყავს და არად აგდებს აღმოსავლეთს. არადა, ყველამ კარგად ვიცით, თუ რამდენი ოცნების, რამდენი სიკეთის სათავეა აღმოსავლეთი და თუ როგორ გვევალება ჩვენ ამ ყველაფრის დაფასება", - აცხადებს ბენინი.

უნდა ითქვას, რომ რობერტო ბენინი ასეთ მძიმე თემას პირველად არ ეჭიდება. მან ხომ სახელი არანაკლებ მძიმე თემის – ჰოლოკოსტის ეკრანიზაციით გაითქვა ფილმში "ცხოვრება მშვენიერია". სურათმა 1998 წელს სამი "ოსკარი" მოიპოვა – ბენინი საუკეთესო მსახიობი მამაკაცი გახდა, თვითონ ფილმი – საუკეთესო უცხოური ნაწარმოები, ხოლო სცენარი – საუკეთესო თავის კატეგორიაში.

რობერტო ბენინის ერაყის თემის გადათამაშებით ასეთივე წარმატების მიღწევის იმედი აქვს.

საინფორმაციო ტექნოლოგიების
ცენტრი „მზიური“
გთავაზობთ:
კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:
- კლავიატურაზე ბეჭდვის ათთითიანი მეთოდი,
- საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word,
- აღრიცხვა,საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები – MS Excel.
- ლოკალური ქსელი,ინტერნეტი,ელ-ფოსტა.
- ოპერაციული სისტემა Windows.

ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.
მისამართი: დ.უზნაძის N70 ტელ:29-48-61
ვებ-გვერდი: WWW.mziuri.ge

მოსწავლეთა საყურადღებოდ!
საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი
„მზიური“
აცხადებს მოსწავლეთა და
სტუდენტთა მიღებას
პერსონალური კომპიუტერის
შემსწავლელ ჯგუფებში
მიიღებიან V – XI კლასების მოსწავლეები
მისამართი: დ. უზნაძის (ყოფილი კამოს) №70
☎91-03-17; 29-48-61; 95-45-75







## წამალი ''სალხინო''
ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი ''სალხინო'' და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

''სალხინო'' აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

''სალხინო'' გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. ''სალხინო'' აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი ''სალხინო'' კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ ''სალხინოს'' თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.